მკვლელობა, რომლის ფესვებიც შორს მიდის A3

"თქვენი აფხაზეთი" A8

ევროისტორია B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 16 ივნისი, 2004 წელი. №141 (690)

ფასი 50 თეთრი

### პოლიტიკა

**საქართველოს ბოლო საფეხურები**



*ამ მწვანე ბორცვუკას ხასხასა კალთა შარშან იანვარში ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრებს მოწონებიათ და სადამკვირვებლო პუნქტად გაუხდიათ.*

A3

### ეკონომიკა

**საგადასახადო კოდექსის ირგვლივ ვნებები მძაფრდება**

საგადასახადო კოდექსის ძირითადი პრინციპების ირგვლივ ვნებათაღელვა, როგორც მოსალოდნელი იყო, კვლავ გრძელდება. გუშინ "მსხვილი" მეწარმეების კვალდაკვალ უკვე "მცირე" მეწარმეები შეიკრიბნენ და განაცხადეს, რომ წარმოდგენილი კოდექსის პროექტი არც ისეთი სუპერლიბერალურია.

A4

### საზოგადოება



**"ვარდების რევოლუცია" მედიცინაში**

"ვიწყებთ ვარდების რევოლუციას მედიცინის სფეროში", - განაცხადა გუშინ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ვლადიმერ ჭიპაშვილმა.

A6

### სტუმარი

**Sokwanele-Zvakwana ბატონებო, ზოგი სხვამაც გაიღოს...**



როდესაც ქვეყანაში ყველაფერი დუნედ მიედინებოდა, არასამთავრობოები ტალღის ქიმზე ყოფნას ახერხებდნენ. დღეს ყველაზე სერიოზული პრობლემა ახალ სიხშირეებზე გადაწყობაა.

A7

### ამინდი

| | 16/07 | 17/07 |
|---|---|---|
| თბილისი | 32 | 31 |
| ქუთაისი | 33 | 32 |
| ბათუმი | 29 | 29 |
| სოხუმი | 28 | 28 |
| ფოთი | 30 | 30 |
| თელავი | 30 | 29 |
| ზუგდიდი | 32 | 31 |
| გორი | 29 | 27 |
| ახმეტა | 30 | 29 |
| ჭიათურა | 33 | 30 |
| გაგრა | 27 | 26 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9200 |
| ევრო | 2.3151 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4817 |
| რუბლი | 0.0662 |

# რევოლუცია პოლიციაში გრძელდება

**შს ახალმა მინისტრმა აჩვენა, რომ დანგრეული სისტემის "გაკეთილშობილება" შესაძლებელია**

ინგა ალავიძე

*პრეზიდენტის გადაწყვეტილებით განხორციელებული თანამდებობრივი გადაადგილების შემდეგ, ფაქტობრივად, ერთადერთი უწყება, სადაც რევოლუციური საკადრო ცვლილებები განხორციელდა, შინაგან საქმეთა სამინისტროა. შს ახალმა მინისტრმა საქმიანობის ერთი კვირის თავზე სისტემაში უკვე სამოცზე მეტი თანამდებობის პირი შეცვალა.*

გაგრძელება A7 გვერდზე



იური ლობოდინის ფოტო

## პარლამენტის ბიუჯეტი სახელმწიფოსას უსწრებს

**დეპუტატების გასამრჯელოს ზრდა სხდომებზე მათი დასწრების უკუპროპორციულია**

*აზერბაიჯანის პრეზიდენტს საქართველოში პოლიტიკური ცხოვრების რიტმის დარღვევა დაბრალდა: ნინო ბურჯანაძის განმარტებით, ილჰამ ალიევის გადაადგილების გამო ქუჩები გადაიკეტა და დეპუტატებმა პარლამენტში დროულად მისვლა ვერ მოახერხეს. თუმცა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ამ ვერსიის უზუსტობაში მალე თავადვე დარწმუნდა - გზები გაიხსნა, მაგრამ ამას სხდომათა დარბაზში დეპუტატთა მოზღვავება არ მოჰყოლია.*

გიორგი ასანიშვილი

გუშინ ყველაფერი იმისკენ მიდიოდა, რომ კვორუმის არარსებობის გამო, პლენარული სხდომა უნდა ჩაშლილიყო, მაგრამ ერთ მომენტში დარბაზში 120 პარლამენტარის "დაჭერა" მაინც მოხერხდა და საკანონმდებლო ორგანომ მუშაობის დაწყების "უფლება" მიიღო.

მიუხედავად ამისა, პარლამენტის თავმჯდომარემ მომხდარს არ წაუყრუა და ფრაქციათა ხელმძღვანელებს "ხალხის მოყვანაზე ზრუნვა" საკმაოდ მკაცრად მოსთხოვა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამჟამინდელი მოწვევის საკანონმდებლო ორგანოში ყველაზე დიდ ფრაქციას (141 დეპუტატი) "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატები" წარმოადგენს, რომელიც ფრაქცია "მაჟორიტართან" ერთად, საპარლამენტო უმრავლესობას შეადგენს, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, თუ ვისი მისამართით გაისმა სპიკერის საყვედური. ამდენად, ალბათ, ნიშანდობლივია, რომ ამ საყვედურიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატებისა" და საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მაია ნადირაძემ წინა დღეს, ბიუროს სხდომაზე გამოუცხადებლობისთვის საჯაროდ მოიბოდიშა.

**"დღევანდელი სხდომა ძალიან სერიოზული ნიშანი უნდა გახდეს. აღარ განმეორდება ის, რომ წინა თვეში სხდომების გაცდენებზე რეაგირება არ მოვახდინეთ",** - ფინანსური "რეპრესიებით" იმუქრება ნინო ბურჯანაძე.

გაგრძელება A3 გვერდზე

## "სალოლ, მიშა! სალოლ, ილჰამ!"

სოფო ბუკია

აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის ორდღიანი ვიზიტი საქართველოში გუშინ მარნეულში სტუმრობით დასრულდა.

დღის თორმეტი საათისთვის მიხეილ სააკაშვილისა და მისი აზერბაიჯანელი კოლეგის კორტეჟი მარნეულის კულტურის სახლს მიადგა.

ორი ქვეყნის დროშებით, ილჰამ ალიევის, მისი ლეგენდარული მამისა და საქართველოს პრეზიდენტის "პოსტერებით" ხელდამშვენებული საქართველოს აზერბაიჯანელი მოქალაქეები არ დაბნეულან - ორივე პრეზიდენტს ქართული რევოლუციის სიმბოლო -ვარდები მიართვეს და, რომ არავის სწყენოდა, "მიშა"-სა და "ილჰამ"-ს თანაბარი სიხშირით სკანდირებდნენ.

თავდაპირველად სცენაზე მარნეულელი მოქალაქე გამოჩნდა, რომელმაც ორივე პრეზიდენტს მარნეულში კულტურული ცენტრის დაარსების ხელშეწყობა სთხოვა, სადაც აზერბაიჯანელები გაძლიერებულად შეისწავლიან ქართულ ენას.

შემდეგ მიკროფონთან ილჰამ ალიევი მივიდა, რომელიც მარნეულელებს მშობლიურ ენაზე ესაუბრა. საქართველოს პრეზიდენტმა თავისი სიტყვა ქართულად წარმოთქვა: **"მე თქვენი პრეზიდენტი ვიქნები ისე, როგორც ყველა სხვა ქართველის. ჩვენ ვართ ძმები პირველ ყოვლისა..."** - მიმართა სააკაშვილმა შეკრებილებს და ორი სიტყვა აზერბაიჯანულადაც დააყოლა. ალიევი და სააკაშვილი ერთმანეთს გადაეხვივნენ, რისთვისაც დამსწრეთა განსაკუთრებული ოვაციები დაიმსახურეს. "სალოლ, მიშა! სალოლ, ილჰამ!" - ისმოდა "პარტერიდან".

აზერბაიჯანის პრეზიდენტი სამშობლოში უსაჩუქროდ არ გაუშვეს - საქართველოს პრეზიდენტმა მას ბედაური აჩუქა. ამბობენ, აზერბაიჯანელი ლიდერისთვის მირთმეული საჩუქარი ათასობით დოლარი ღირსო. "ნაჩუქარი ცხენის" კბილების ვარგისიანობაში ალიევი გუშინვე დარწმუნდა: ალიევის ცხენმა ბაქოში გამგზავრებამდე სადილობა მოასწრო - სააკაშვილის ვარდი თავის ეკლებიანად გადასანსლა და ორივე პრეზიდენტი მხიარულ გუნებაზე დააყენა.

ილჰამ ალიევის დაცვის წევრებს საკუთარი "ობიექტის" მანქანამდე მიყვანა არ გასჭირვებიათ - ალიევმა ხალხს ხელი დაუქნია და მშვიდად ჩაიარა წითელი ხალიჩა; სააკაშვილის დაცვის წევრებმა კი ბევრი ოფლი ღვარეს, ვიდრე პრეზიდენტი მანქანამდე მიაცილეს: სააკაშვილი ჩვეულ

გაგრძელება A3 გვერდზე

ფართო საინფორმაციო სპექტრი, ანალიტიკა, საბიუჯეტო, საბანკო, ენერგეტიკული სფეროს მონიტორინგი, ჟურნალისტური გამოძიებები, კულტურისა და სპორტის სიახლეები, საკუთარი კორესპონდენტების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწოდებული უახლესი ამბები.

"24 საათის" დანართები - "სამართალი", "ბიზნესი", "დედაქალაქი", "მონადირე", "ავტომობილი", "ევროისტორია", "სპეცსამსახურები", "მეცნიერება და ტექნიკა", "გულახდილად".

ერთობლივი პროექტები "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" და "სოროსის ფონდთან" განუმარტავს მოქალაქეებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, გაათვითცნობიერებს მათ სამართლებრივ და საგანმანათლებლო საკითხებში.

"24 საათი" ექსკლუზიურად აქვეყნებს ოფიციალურ დოკუმენტებს - პრეზიდენტის, მთავრობისა და სხვა სახელისუფლებო სტრუქტურების ბრძანებებს, დადგენილებებს, სახელმწიფო მნიშვნელობის ნორმატიულ აქტებს.

ხელშეკრულებები ხელმოწერის თაობაზე უნდა დაიდოს უშუალოდ გაზეთის დირექციასთან, რათა გამოირიცხოს გაუგებრობები და უზრუნველყოფილი იყოს მოწოდების სტაბილურობა.

24 საათი

ხელმოწერის ტარიფები: 1 თვით - 13 ლარი;
3 თვით - 39 ლარი;
6 თვით - 78 ლარი.

რედაქციის მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული
ტელეფონი: 20 24 24 ან 20 24 10.
საბანკო რეკვიზიტები: "თიბისი" ბანკის ცენტრალური ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101000, ა/ა 28467440

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პროექტი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ევროისტორია | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# საქართველოს ბოლო საფეხურები



ძლივს მოვკარით თვალი რამდენიმე ფერად კარავს და ადამიანის სილუეტს OP-NA №6-ზე.

*საქართველო-დაღესტნის საზღვარზე, 3000 მეტრზე უფრო მაღლა მდებარე ერთ-ერთ პატარა ფერდობს OP-NA № 6 რქმევია. ამ მწვანე ბორცვუკას ხასხას კალთა შარშან ივნისში ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრმა მოწონებით და სადამკვირვებლო პუნქტად გაუდგიათ. მას შემდეგ ბევრ წყალს არ ჩაუვლია, მაგრამ ჩვენი კოდორებული ფერდობის ბედი სხვა მისმა მსგავსებმაც გაიზიარეს.*

ყველაფერი კი დაბომბვებით დაიწყო. ამ რამდენიმე წლის წინათ რუსეთის მხრიდან შემოფრენილმა უცნობმა მფრინავმა ობიექტებმა საქართველოს სასაზღვრო ზოლი რამდენჯერმე რომ დაბომბეს, მაშინდელმა ხელისუფლებამ, საზღვრის მონიტორინგის თხოვნით, ეუთო-ს მიმართა. მონიტორინგი 2000 წლის ივნისიდან დაიწყო. ეს გულისხმობს ეუთო-ს დამკვირვებლების მიერ საქართველოს საზღვრის ყველა დარღვევის დაფიქსირებას და ინფორმაციის ვენაში მიწოდებას. საქართველოს შემთხვევაში, ეს ინფორმაცია გაერო-ს უსაფრთხოების საბჭოს ეგზავნება და დამნაშავე მხარე იტუქსება. რა თქმა უნდა, ყურს არავის აჩვენებენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს საკმაოდ უსიამოვნო პროცედურაა. ეუთო-ს დროშებს, თურმე, თავად დიდი რუსეთიც კი ერიდება. ჩვენი მესაზღვრეები ამბობენ - მას შემდეგ, რაც ეუთო მოვიდა, საზღვრის უხეში დარღვევა აღარ ყოფილაო. ამოყოფენ, თურმე, რუსული "კრკადილები" ცხვირებს, დაინახავენ ეუთო-ს დროშებს და უკანვე ბრუნდებიან. თუმცა, ეს ინფორმაციაც მხოლოდ საქართველო-დაღესტნის საზღვარს ეხება, სადაც გუშინ ჟურნალისტებს ეუთო-მ ექსკურსია მოუწყო. სხვაგან რა ხდება, ჩვენთვის უცნობია, მაგრამ დაბომბვები რომ აღარ არის, ცხადია.

ერთი სიტყვით, შეგვყარა გუშინ ეუთო-მ კრწანისის ქუჩაზე თავის ყვითელ ოფისში და მუშაობის რეჟიმი გაგვაცნო. მერე ადგილზე წაგვიყვანა. თელავამდე ავტობუსით ვიმგზავრეთ, იქიდან კი ვერტმფრენით გაგვიფრინეს სამხილო მთებისაკენ, მაგრამ კოჯრო ნისლში ჩაგვივარდა - ვერტმფრენმა OP-NA №6-ს ერთი წრე დაარტყა და ყვარლისკენ გაგვაქანა. ძლივს მოვკარით თვალი რამდენიმე ფერად კარავს და ადამიანის სილუეტს. ესენი არიან ჩვენი დამკვირვებლებიო, - ჩაგვყვირეს ყურში ეუთო-ს წარმომადგენლებმა.

ყვარელში, საქართველო-დაღესტნის საზღვარზე ეუთო-ს დამკვირვებლების საქმიანობის შესახებ გვესაუბრა მორიგე ოფიცერი, ბელორუსის მოქალაქე დმიტრი ვალიუშკინი. OP-NA №6-ის მაგვარ თითოეულ პოსტზე 24-საათიანი მორიგეობაა. განრიგის კლასიკური ვარიანტია: ეუთო-ს სამი დამკვირვებელი, ხუთი ქართველი დამცველი და ერთი ექიმი. ეუთო-ს მისიას ყველანაირი საშუალება აქვს საიმისოდ, რომ საზღვარზე დაუკითხავად ჩიტიც ვერ გადმოფრინდეს; ოღონდ ამ ინფორმაციას ქართველ მესაზღვრეებს არ აწვდიან (ეს მათ კომპეტენციაში არ შედის) და, თბილისის ოფისის გავლით, პირდაპირ ვენაში აგზავნიან.

ამიტომ, ჩვენმა მესაზღვრეებმა, რომელთა საგუშაგოები ეუთო-ს პოსტებიდან 1-2 კილომეტრშია, ისევ ძველებურად უნდა იწვალონ და საზღვრის დამრღვევი სუბიექტ-ობიექტები უტყუარი იარაღით - გუმანით, ინტუიციით, ან თუ გნებავთ, ყნოსვით აღმოაჩინონ.

**P.S. სპეციალურად საქართველოს პრეზიდენტისათვის:**

თქვენო აღმატებულებავ! ყვარელში რომ თქეში იყო და ვენახების 80 პროცენტი გაფუჭდა, კიდევ ერთი ცუდი საქმეც მომხდარა - მაღალი ძაბვის ელექტრობოძი წაქცეულა. დიდი არაფერი, მაგრამ ამის გამო, რაიონის დიდ ნაწილს დენი აღარ მიეწოდება. არადა, 20 დღე გავიდა. თანაც, დენი რომ არ არის, წყალსაც ველარ ქაჩავენ. იქაურები ამბობენ - ახლა ვინც იტყვის, ყვარელი წყალს მიაქვს, ამოვიდეს და ის წყალი გვანახოსო. იმასაც ამბობენ, აქ პატრონი არა გვყავსო, და ჩვენი საშუალებით ცდილობენ, ხმა თქვენამდე მოაწვდინონ.

*ზაზა ფაჩუაშვილი*

# ოზურგეთს ბუნებრივი გაზი უახლოვდება

საქმეს ისეთი პირი უჩანს, თავისი საქალაქო ცხოვრების მატიანეში ოზურგეთი სრულიად ახალ ფურცელს ჩაწერს. წლის ბოლოს ქალაქის ერთი მოზრდილი უბანი ბუნებრივ აირს მიიღებს. გაზი ოზურგეთში აბაშა-ქობულეთის მაგისტრალის განშტოებიდან შემოვა. დაჩქარებული ტემპებით მიმდინარეობს უკვე არსებული გაზსადენის ქსელის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები, რომელსაც ასრულებს თერჯოლის საექსპლოატაციო სამმართველო. დღეისთვის მაგისტრალური ხაზის დიდი ნაწილი აღდგენილია, რაც სულაც არ არის იოლი საქმე, რადგან აქა-იქ წლების წინათ აგებული გაზსადენის ტრასა დაზიანებულია, ზოგან კი მილები მოპარულია, განსაკუთრებით ეს ითქმის სოფელ გურიანთიდან ქალაქამდე გაძარცვული 400 მეტრი სიგრძის მონაკვეთის აღდგენაზე. როგორც მშენებლები აცხადებენ, ამ ტრასის აღდგენის შემდეგ ბუნებრივი აირის ოზურგეთისათვის მიწოდებას წინ არაფერი დაუდგება.

ოზურგეთის რაიონის გამგეობა და გურიის მხარის ადმინისტრაცია სისხლხორცეულად არის დაინტერესებული გაზიფიკაციის სამუშაოების დროულად დამთავრებით, რადგან ენერგოდეფიციტით გაჩერებული სამრეწველო ობიექტების ერთი ნაწილი მაინც ამოქმედდება, რაც რაიონის ეკონომიკის გამოცოცხლებას გამოიწვევს. ბუნებრივი აირი ერთგვარ შვებას მოუტანს მოსახლეობასაც, ისიც სათქმელია, რომ ნაწილობრივ მაინც შეჩერდება ტყეების ბარბაროსული ჩეხვა, რაც ბოლო წლებში არნახულ მასშტაბებს აღწევს.

*თამაზ ხარაიშვილი*
*ოზურგეთი*

# ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის პროგრამა არასრულწლოვანი პატიმრებისთვის

გუშინ სახალხო დამცველის ოფისში საერთაშორისო მოძრაობა "გვიყვარდეს ერთმანეთი"-ს წარმომადგენლებმა არასრულწლოვანი პატიმრების ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის პროგრამის პრეზენტაცია მოაწყვეს. როგორც პრეზენტაციაზე პროექტის ავტორმა ქეთევან ფანცხავამ განაცხადა, პროექტის მიზანია ახალგაზრდობის უფლებების დაცვა, განათლების დონის ამაღლება, არასრულწლოვან პატიმართა ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია, მათი ნიჭისა და შესაძლებლობების ხელშეწყობა.

როგორც საერთაშორისო მოძრაობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, მათ ორგანიზაციაში არსებული საბავშვო კინოცენტრი "ფიფქია" არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის სხვადასხვა არტ-პროგრამის განხორციელებასაც გეგმავს. ამ პროგრამის ფარგლებში პატიმრებს კინოს ისტორიას, ხატვას და დეკორატიულ გამოყენებით ხელოვნებასაც შეასწავლიან. დაგეგმილია საპატრიარქოს წარმომადგენლებთან, მსახიობებთან, მწერლებთან, სპორტსმენებთან და სხვა გამოჩენილ ადამიანებთან შეხვედრების ორგანიზებაც. საერთაშორისო მოძრაობა ამ პროგრამას სახალხო დამცველის აპარატის ბავშვთა უფლებების ცენტრთან ერთად განახორციელებს. აღნიშნული ცენტრის წარმომადგენლები საქართველოს იუსტიციის სამინისტროს არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულების მოზარდებს ტრენინგებსაც ჩაუტარებენ.

*ინტერ-პრესი*

# ბათუმელ სტუდენტს ბრალდებას კიდევ უფრო უმძიმებენ

იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით დაკავებულ ბათუმელ სტუდენტს ლაშა ჩახვაძეს ბრალდებას კიდევ უფრო უმძიმებენ. როგორც დაკავებულის ადვოკატმა ქეთი ბექაურმა განაცხადა, მისთვის ცნობილი გახდა, რომ უახლოეს ხანში გენერალურ პროკურატურაში აჭარის შს სამინისტროდან გამომძიებელი გამოცხადდება, რომელსაც ჩახვაძის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის ახალი საქმე წარმოებაში აქვს. ადვოკატი აღნიშნულ ფაქტს მორიგ პროვოკაციას უწოდებს. გუშინვე გენერალურ პროკურატურაში "აღორძინების" პარტიის თბილისის ორგანიზაციის წევრი დიტო ჩხეიძე ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის იმ თანამშრომლებს შეხვდა, რომლებმაც, საქმის მიხედვით, ჩახვაძეს დაკავების დროს იარაღი ამოუღეს. ჩხეიძისა და პოლიციელთა დაპირისპირება გენერალურ პროკურატურაში შედგა. როგორც დაკავებულის ადვოკატი ბექაური განმარტავს, ჩხეიძის ჩვენების თანახმად, ჩახვაძეს და მასთან ერთად თავის დროზე დაკავებულ მიქელაძეს იარაღი საერთოდ არ ჰქონია და პოლიცია ყალბი მტკიცებულების დადასტურებას ცდილობს.

დაკავებულის ინტერესების დამცველი ჩახვაძეს პოლიტიკურ პატიმარს უწოდებს და მის მიმართ აღძრული საქმის დაუყოვნებელ შეწყვეტას მოითხოვს. ადვოკატის ინფორმაციით, ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ამოღებულ იარაღზე არც ჩახვაძის და არც მიქელაძის თითის ანაბეჭდები არ აღმოჩნდა.

ლაშა ჩახვაძე მიმდინარე წლის თებერვალში მის მეგობარ მერაბ მიქელაძესთან ერთად დააკავეს. მათ იარაღის უკანონო ტარება ედებათ ბრალად.

*ინტერ-პრესი*

# გაჭიანურებული სასამართლო პროცესი ისევ გადაიდო

მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში ორი წლის წინათ დაწყებული პროცესი ზურაბ ფერიშვილსა და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისრაციას შორის კიდევ ერთხელ გადაიდო. ორი წლის წინათ ტრანსპორტის მინისტრმა მერაბ ადეიშვილმა სრულიად გაუგებარ ვითარებაში მოხსნა ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ზურაბ ფერიშვილი და უწყების თხუთმეტამდე თანამშრომელი. გაუგებარ ვითარებას იმიტომ ვამბობთ, რომ იმ პერიოდში ადეიშვილსა და ფერიშვილს შორის, ზოგადად, ცუდი ურთიერთობა არ ყოფილა. არც ხსენებული 15 ადამიანის მიმართ არსებობდა რაიმე პრეტენზია. ის, რომ ადეიშვილს საფუძვლიანი პრეტენზია არ გააჩნდა, სასამართლო პროცესის მიმდინარეობიდანაც ჩანს. საქმეში სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი არ არის მითითებული. ადეიშვილის მხარის ერთადერთი არგუმენტი ის არის, რომ ფერიშვილმა სარჩელი ვადების დარღვევით შეიტანა. თუმცა, ფერიშვილი აცხადებს, რომ **"ვადები არ დარღვეულა და ეს საკითხი თითზე მხოლოდ იმისთვის დაიხვიეს, რომ პროცესი დროში გაწელილიყო, თუმცა დათმობას ნამდვილად არ ვაპირებ - პრინციპის საქმეა, სხვა თუ არაფერი. განთავისუფლებული 15 თანამშრომლიდან ერთი ინფარქტით გარდაიცვალა, მეორე კი ნერვიულობის ნიადაგზე დაბრმავდა".** საერთოდ, ამ სასამართლო პროცესის ისტორია ძალიან უცნაურია. ის დაიწყო რაიონულ სასამართლოში, რომელმაც გადაწყვიტა, რომ საქმე საოლქო სასამართლოს უნდა განეხილა. საოლქომ ვერ გაიგო, მას რისთვის გადაეცა საქმე და უზენაეს სასამართლოში გადააგზავნა. იგივე მოხდა უზენაეს სასამართლოში, რომელმაც საქმე ზედა პალატას გადასცა. ამ უკანასკნელმა კი მიიჩნია, რომ საქმე მხოლოდ რაიონული სასამართლოს დონეზე უნდა გადაწყდეს. გუშინ სასამართლო პროცესი იმიტომ გადაიდო, რომ მოწმედ მოწვეული მერაბ ადეიშვილი არ გამოცხადდა. მისმა წარმომადგენელმა გოჩა სვანიძემ სასამართლოს ასეთი ახსნა-განმარტება მისცა: **"ადეიშვილმა ასე მითხრა, - ეს საქმე საერთოდ არ მაინტერესებსო"**. მოსამართლე არკადი პარუნიანს ეს არ გაჰკვირვებია. რაც შეეხება თავად სვანიძეს, კომენტარი მასაც ვთხოვეთ, თუმცა ასეთი მკვახე პასუხი მივიღეთ: **"მე თქვენს გაზეთს კომენტარს არ ვაძლევ და შეგიძლიათ, ასე დაწეროთ".** აღნიშნულის ახსნა სვანიძემ არ ისურვა, თუმცა ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ სვანიძე "24 საათზე" განაწყენებული მას შემდეგ არის, რაც გაზეთში მის დაცვაში მყოფი "საქაერონავიგაციის" ყოფილი ხელმძღვანელი ალექსანდრე სილაგაძე და ზურაბ ჭანკოტაძე არაერთ დარღვევაში ვამხილეთ. ამის შემდეგ რედაქციაში სილაგაძის წერილი მოვიდა. ბატონი ალექსანდრე მისი უსტარის გამოქვეყნებას ითხოვდა ჩვენი კომენტარის გარეშე. შევახსენებთ ბატონ სილაგაძესა და მის ადვოკატს, რომ ჩვენ თავის დროზე საგაზეთო ადგილი მათაც დავუთმეთ და მასალა მათი კომენტარის გარეშე არ გასულა. გარდა ამისა, თუკი სვანიძე "24 საათს" კომენტარს არ მისცემს, ეს მისი პრობლემაა და სულაც არ ნიშნავს იმას, რომ შავბნელი ავიაისტორიების გამოქვეყნება შეწყდება.

*ოთარ ქირია*

# სემეკ-ის მომავალი სხდომა მომავალ ოთხშაბათს გაიმართება

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) მორიგი სხდომა 23 ივნისს, 12 საათისთვისაა დანიშნული.

დღის წესრიგში ოთხი საკითხია: "თბილგაზისთვის" ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და განაწილების ლიცენზიების მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ; შპს "სუპერგაზი-იტალიისთვის" ბუნებრივი გაზის მიწოდების ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ; ელექტროენერგეტიკულ სექტორში ელექტროენერგიის წარმოების, განაწილებისა და გადაცემა-დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტების მიერ ლიცენზიის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ და "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის", სს "კახეთის ენერგოდისტრიბუციის" და სს "თელასის" მოქმედების არეალში არსებული ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიანტების საქმიანობის შესახებ.

პირველი საკითხი - მიმდინარეა. "თბილგაზის" ტექნიკური გაუმართაობის მარადიული პრობლემა ჯერ ისევ მოუგვარებელია, მისთვის ლიცენზიის ჩამორთმევა კი თბილისის გაზის გარეშე დატოვებას ნიშნავს.

რაც შეეხება ლიცენზიანტებისთვის ლიცენზიების შემოწმებისა და გამანაწილებელი ენერგოკომპანიების არეალში არსებული ლიცენზიანტების საქმიანობის საკითხების განხილვას, ეს ნიშნავს, რომ მომავალ ოთხშაბათს მცირე ლიცენზიანტების არსებობას წერტილი დაესმება.

ე.წ. "მცირე ლიცენზიანტების" ინსტიტუტის გაუქმების თაობაზე საუბარი, უკვე დიდი ხანია, გრძელდება. მათთვის ლიცენზიების ჩამორთმევის წინაპირობად კი "ლიცენზირების პირობების დარღვევები" უნდა იქცეს.

"საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში" (გსეკ) აცხადებენ, რომ "მცირე ლიცენზიანტებს შორის არც ერთი არ მოიძებნება, დარღვევა რომ არ ჰქონდეს." ამავე აზრს იზიარებს დარგის სახელმწიფო კურატორი - ენერგეტიკის სამინისტროც. ამ მოსაზრებას არ ეთანხმებიან თავად მცირე ლიცენზიანტები და აცხადებენ, რომ მათი ბიზნესი სუფთად, კანონიერად არის წარმოებული.

საბოლოოდ, საქართველოს ენერგოსექტორში ბუნებრივი მონოპოლიის აღდგენის საზღაურად, იმ მცირე ლიცენზიანტებს, რომლებმაც თავისი ბიზნესი სუფთად, დარღვევების გარეშე აწარმოეს და მაღალი ტექნიკური მაჩვენებლების მქონე ელექტროქსელები საკუთარი ძალისხმევით ააშენეს, გსეკ-ი ე.წ. "დენის გატარების საზღაურს" შესთავაზებს. ამ საზღაურის ოდენობის დაანგარიშება, წინასწარი ინფორმაციით, დაახლოებით იმავე პრინციპით მოხდება, რა პრინციპითაც "სახელმწიფო ელექტროსისტემისთვის" გადასახდელი მარჟა დგინდება.

*მაია ურუშაძე*

# საფრანგეთში ენერგეტიკული კომპანიების პრივატიზება არ მოსწონთ

პარიზის და საფრანგეთის სხვა დიდი ქალაქების ქუჩებში ქვეყნის ენერგეტიკული კორპორაციების ათასობით თანამშრომელი კომპანიების პრივატიზაციის წინააღმდეგ საპროტესტო აქციებს მართავს. პარალელურად, გაფიცვა ეწყობა ელექტროსადგურებში, რის შედეგად რამდენიმე დასახლებულ პუნქტს ელექტროენერგიის მიწოდება ცოტა ხნით შეუწყდა. პროფკავშირები დარწმუნებულნი არიან, რომ ენერგეტიკული კომპანიების "ელექტრისიტე დე ფრანსის" და "გაზ დე ფრანსის" პრივატიზაცია წარმოებაში ავარიებს გამოიწვევს, თუმცა საფრანგეთის მთავრობა ამტკიცებს, რომ კორპორაციების დენაციონალიზაცია ევროკავშირის ხელმძღვანელობის მოთხოვნაა, რომელიც უნდა შესრულდეს.

*ინტერ-პრესი*

# ერთი ნაბიჯით წინ - ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში

*ტრეფიკინგის შესახებ ანგარიშში, რომელიც აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა სახელმწიფო დეპარტამენტს წარუდგინა, საქართველო მეორე კატეგორიაში მოხვდა. ეს გახლავთ მეოთხე ყოველწლიური ანგარიში ადამიანთა ტრეფიკინგის შესახებ, რომლის მიზანია მოუწოდოს სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებს, გააძლიერონ თანამშრომლობა და მონობის თანამედროვე ფორმის წინააღმდეგ საბრძოლველად ახალი მეთოდები ეძებონ.*

კოლინ პაუელის მოხსენების მიხედვით, საქართველომ წინ წაიწია და მეორე კატეგორიაში მოხვდა, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ქვეყანამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა, **"თუმცა, მიღწეული პროგრესი ჯერ კიდევ არ არის საკმარისი,"** - აცხადებს კოლინ პაუელი.

ანგარიში ადამიანთა ტრეფიკინგის შესახებ, რომელიც 140 ქვეყანას აერთიანებს, წარმოადგენს ყველაზე დეტალურ ანგარიშს მსოფლიოს მასშტაბით. იგი აღწერს მთავრობათა საქმიანობას ადამიანთა ტრეფიკინგის სასტიკი ფორმების წინააღმდეგ ბრძოლაში. მისი მიზანია, მსოფლიოში საზოგადოებრივი შემეცნება აამაღლოს და მოუწოდოს ქვეყნებს, ტრეფიკინგის წინააღმდეგ საბრძოლველად უფრო ნაყოფიერი ზომები გაატარონ.

**"ბოროტმოქმედებს და კრიმინალთა ორგანიზებულ ჯგუფებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ყველაზე გაჭირვებული ხალხი ჰყავთ მიზანში ამოღებული. ჩვენ პარტნიორობის სულისკვეთებით ვართ განმსჭვალულნი და მთავრობებს მოვუწოდებთ, გაზარდონ თავიანთი მცდელობა ამ სისასტიკის აღმოსაფხვრელად და ადამიანები ტრეფიკინგისგან დაიცვან,"** - აცხადებს აშშ-ს ყოფილი კონგრესმენი ჯონ მილერი, რომელიც უძღვებოდა შეერთებული შტატების მთავრობის კურსს ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ტრეფიკინგის შესახებ ანგარიშში ნათქვამია, რომ მსხვერპლს ხშირად წარმოადგენენ ადამიანები, რომლებსაც ძალდატანებით, მოტყუების ან იძულების გზით, შრომით ან სექსუალურ ექსპლუატაციას უწევენ. აშშ მთავრობის შეფასებით, ყოველწლიურად 600 ათასიდან 800 ათასამდე ასეთი ადამიანი კვეთს სახელმწიფო საზღვრებს. აქედან 47 პროცენტი ქალია, 34 პროცენტი - 18 წლამდე გოგონა, ხოლო 16 პროცენტი - 18 წლამდე ასაკის ბიჭი. მსხვერპლთა სამი მეოთხედი, ანუ 80 პროცენტზე მეტი ქალია, 50 პროცენტი კი - ბავშვი.

გარდა ამისა, სავარაუდოდ, მილიონობით ადამიანი ხდება ტრეფიკინგის მსხვერპლი სხვადასხვა ქვეყნის საზღვრებს შიგნით. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გასული წლის განმავლობაში საზღვარგარეთ ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამისთვის 70 მილიონ აშშ დოლარზე მეტი გამოყო.

მთავრობების მხრიდან ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯები ანგარიშში კატეგორიების მიხედვით ფასდება და წლის განმავლობაში გატარებულ კონკრეტულ ღონისძიებებს ეყრდნობა.

ერთი სიტყვით, საქართველომ ერთი ნაბიჯით წინ გადაინაცვლა. ტრეფიკინგის შესახებ წინა ანგარიშში ის მესამე კატეგორიაში იყო.

*24 საათი*

## ოფიციოზი

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №599

*2004 წლის 14 ივნისი ქ. თბილისი*

ლ. ნიკოლეიშვილის საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს ლევან ნიკოლეიშვილი საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილედ.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №600

*2004 წლის 14 ივნისი ქ. თბილისი*

ა. მესხელის საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს ამირან მესხელი საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილედ.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №601

*2004 წლის 14 ივნისი ქ. თბილისი*

გ. უგულავას საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პირველ მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს გიორგი უგულავა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პირველ მოადგილედ.

*ზურაბ ჟვანია*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველო რუსეთს სამხედრო საკითხებზე მოლაპარაკებების განახლებას სთავაზობს. "ქართული მხარე მზადაა, ამ მიზნით 23-24 ივნისს მოსკოვს ეწვიოს და რუსულ მხარესთან შესაბამისი მოლაპარაკებები აწარმოოს," - აცხადებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი გომიაშვილი. მისი თქმით, ქართული მხარის დელეგაციას საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძე უხელმძღვანელებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა "ამცახარას" ერთ-ერთი ლიდერის გარი აიბას მკვლელობასთან დაკავშირებით, აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის რამდენიმე მინისტრი დაკავებული თანამდებობიდან გადადგა. სოხუმის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, გადადგომის შესახებ განცხადება დაწერეს პირველმა ვიცე-პრემიერმა ასტამურ თარბამ, რომელიც ძალოვანი უწყებების მუშაობას კურირებდა, საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ და უშიშროების მინისტრმა გივი აგრბამ. იმავე წყაროს ცნობით, პრემიერ-მინისტრ რაულ ხაჯიმბას, ჯერჯერობით, მინისტრთა განცხადებები გადადგომის შესახებ არ მიუღია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთში საქართველოს ელჩად შესაძლოა ზურაბ ხონელიძე დაინიშნოს. სარწმუნო წყაროს განცხადებით, ზურაბ ხონელიძის ელჩად დანიშვნის საკითხი თითქმის გადაწყვეტილია. იგი ორი დღეა, თბილისში იმყოფება და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებს მართავს. ზურაბ ხონელიძე ამჟამად საქართველოს მუდმივი წარმომადგენელია დსთ-ში. იგი 12 წელია, დიპლომატიურ საქმიანობას ეწევა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მოსკოვიდან ცხინვალში დაბრუნებული, სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი ცხინვალის ხელისუფლების წარმომადგენლებს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის მისაღწევად ქართულ მხარესთან ომის თავიდან აცილებისაკენ და კოორდინირებული მუშაობისაკენ მოუწოდებს. გუშინ რუსეთიდან ცხინვალში დაბრუნებულმა ედუარდ კოკოითმა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მთავრობის წევრებთან, დეპუტატებთან, დეპარტამენტებისა და კომიტეტების სხვა ხელმძღვანელებთან 2-საათიანი თათბირი გამართა. "შექმნილ ვითარებაში ჩვენი მთავარი ამოცანაა, ქართულ მხარესთან ომის და სხვა პროვაკაციების თავიდან აცილებით მივაღწიოთ მთავარ მიზანს - რესპუბლიკის დამოუკიდებლობას,"- აღნიშნა კოკოითმა, რომელმაც თვითაღიარებული რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოებს თბილისთან გართულებულ სიტუაციაში მაქსიმალური ორგანიზებულობით, გონიერად და პასუხისმგებლობით მოქმედება მოსთხოვა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "საქართველოს ლეიბორისტული პარტია" ქართულ-სომხური პოლიტიკური კონგრესის შექმნის ინიციატივით გამოდის, რომელშიც ორი ქვეყნის პოლიტიკური პარტიები გაერთიანდებიან. საქართველოსა და სომხეთს შორის პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების შესახებ საკუთარი მოსაზრებები "ლეიბორისტული პარტიის" ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა გუშინ, საქართველოში სომხეთის ელჩს გიორგი ხოსროევს გააცნო, რომელიც "ლეიბორისტთა" ოფისში ერთი საათის განმავლობაში სტუმრობდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის განცხადებით, "ამცახარას" აღმასრულებელი მდივნის გარი აიბას მკვლელობა და არძინბას მთავრობის რამდენიმე წევრის თანამდებობიდან გადადგომა სეპარატისტთა საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირდება. მისივე თქმით, ეგრეთ წოდებული საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა, რომელიც თავის დროზე სეპარატისტული მოძრაობა "აიდგილარას" ხელმძღვანელი იყო, პრეზიდენტობის ერთ-ერთი რეალური კანდიდატია და იგი მხარდაჭერას სწორედ აიბას დაქვემდებარებაში მყოფი შეიარაღებული დაჯგუფებებისგან ელოდებოდა. ნადარეიშვილის აზრით, სოხუმში კარგა ხანია იციან, რომ არძინბა კიდევ ერთი ვადით პრეზიდენტი ველარ იქნება და ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად ბრძოლა იქაურ კლანებს შორის კიდევ უფრო დაიძაბება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე მიიჩნევს, რომ საქართველომ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განლაგებული რუსეთის სამშვიდობო ძალების წინაშე უნდა დასვას საკითხი - არიან თუ არა ისინი მზად, ის ვალდებულები შეასრულონ, რაც მათ დაკისრებული აქვთ სამშვიდობო მანდატით. თუ ისინი ამაზე ოფიციალურად უარს აცხადებენ, საქართველო მზად არის, შესაბამისი ზომები მიიღოს და აბსოლუტურად გააკონტროლოს სიტუაცია, - განუცხადა ჟურნალისტებს გივი თარგამაძემ. მისი აზრით, ვინაიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდლობა მანდატს უხეშად არღვევს, საქართველომ უპირობოდ უნდა მოითხოვოს შერეული სამშვიდობო კონტინგენტის სარდლის სვიატოსლავ ნაბზდოროვის პოსტიდან გათავისუფლება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლება აცხადებს, რომ ქართული მხარის მიერ გავრცელებული დეზინფორმაცია, სოფელ ერედვის მახლობლად სამხედრო პირების გამოჩენის შესახებ, ამ რაიონში შინაგანი ჯარების შეყვანის სურვილის გამართლებას ისახავს მიზნად. სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის, შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარის ბორის ჩოჩიევის განცხადებით, შესაძლოა, ეს ინფორმაცია ქართულ მხარეს რომელიმე მწყემსმა მიაწოდა და იგი არ გადაუმოწმებიათ. იგი ვარაუდობს, რომ ქართულ მხარეს განზრახული აქვს დამატებითი შინაგანი ჯარების შეყვანა კონფლიქტის რეგიონში. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული მშვიდობის მხარდამჭერი შერეული კოლექტიური ძალების სარდალი, გენერალ-მაიორი სვიატოსლავ ნაბზდოროვი უარყოფს ქართული მხარის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომლითაც სამშაბათს დილით, ქართულ სოფელ ერედვის შემოგარენში, სამხედრო ავტომობილები გამოჩნდნენ. ნაბზდოროვის განცხადებით, მან დამკვირვებელთა ჯგუფთან ერთად, სამშაბათს, დილის 5 საათზე ეს რაიონი დაათვალიერა და ვერც ერთი მანქანა ვერ აღმოაჩინა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ვენეციის კომისია 18-19 ივნისს ვენეციაში პლენარული სხდომის დროს მიიღებს დასკვნას საქართველოს ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ, რომლის მიღებაზე მოთხოვნა მიმდინარე წლის 26 მაისს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ წარადგინა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპარლამენტო უმრავლესობა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეზღუდვას ცდილობს. პარლამენტში მომზადდა "კონტროლის პალატის შესახებ" კანონში ცვლილებების პროექტი, რომლითაც კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილეების დანიშვნის პრეროგატივა, პარლამენტის თავმჯდომარის ნაცვლად, პარლამენტის პლენარულ ან ბიუროს სხდომას ენიჭება. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# "სალოლ, მიშა! სალოლ, ილჰამ!"

პირველი გვერდიდან

ამპლუაში იყო - მარნეულელებს სათითაოდ ხელს ართმევდა, ეხვეოდა და კოცნიდა.

"24 საათმა" მარნეულელებს ერთი უხერხული კითხვით მიმართა, ბავშვებს რომ ეკითხებიან ხოლმე - "დედა უფრო გიყვარს თუ მამაო" - ამის მსგავსით... "ილჰამ ოჩენ დოსტოინი ჩელოვეკ, უ ნევო ველიკი ოტეც ბილ, ნო მიშა როდნოი..." - აღნიშნა ერთ-ერთმა.

"ილჰამ ი მიშა პოდრუჟილის," - უხაროდათ გუშინ მარნეულში.

ოთხი საათისთვის აზერბაიჯანის პრეზიდენტის კორტეჟმა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარი გადაკვეთა. ილჰამ ალიევი სამშობლოში ავტომანქანით დაბრუნდა.

გამგზავრებამდე ალიევმა თბილისის ბოტანიკური ბაღისა და აზერბაიჯანის საზოგადო მოღვაწეთა საფლავების მონახულება მოასწრო, მეჩეთში ილოცა და აბანოთუბანში ჰეიდარ ალიევის სახელობის სკვერის გახსნას დაესწრო.



"ილჰამ ოჩენ დოსტოინი ჩელოვეკ, უ ნევო ველიკი ოტეც ბილ, ნო მიშა როდნოი..." - აღნიშნა ერთ-ერთმა. "ილჰამ ი მიშა პოდრუჟილის," - უხაროდათ გუშინ მარნეულში.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

# პარლამენტის ბიუჯეტი სახელმწიფოსას უსწრებს

პირველი გვერდიდან

არადა, სხდომაზე მიუსვლელობა დეპუტატების მხრიდან ნამდვილი უმადურობაა: მიმდინარე წლის 1 ივნისიდან მათი თვიური შემოსავალი (ძირითად ხელფასს დამატებული სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებისთვის გამოყოფილი სახსრები) თითქმის გაორმაგდა და 750-დან 1300 ლარამდე გაიზარდა. იმის ნაცვლად, რომ თავისი მადლიერება სხდომებზე დასწრებით მაინც გამოეხატა, ბევრმა პარლამენტარმა საერთოდ "აიშვა თავი".

ასეთი სოლიდური ხელფასები, ცხადია, ციდან არ ცვივა - იგი მიმდინარე წელს, პარლამენტის 13 მილიონ ლარამდე გაზრდილი ბიუჯეტის "წყალობაა". თუმცა, დეპუტატები ამ "ნიშნულზე" გაჩერებას არ აპირებენ და მომავალ წელს მთავრობისგან უკვე 17,2 მილიონი ლარის გამოყოფას ითხოვენ.

არადა, თავდაპირველი "განაცხადი" 16,7 მილიონ ლარზე გაკეთდა და ფინანსთა სამინისტრო ამასაც თავაზიანად შეეწინააღმდეგა.

**"იქნებ, პარლამენტის ხარჯების ზრდის ტემპი სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ზრდის ტემპისთვის დაგექვემდებარებინათ?"** - მორიდებით ითხოვა ზურაბ ნოღაიდელის უწყების წარმომადგენელმა.

თხოვნამ არ გაჭრა.

**"პარლამენტი ჯდება იმ ჩარჩოებში, რომელიც მთავრობამ შემოგვთავაზა",** - უკან დახევა არ ისურვა პარლამენტის თავმჯდომარემ, რომელსაც არც ის დაუმალავს, რომ ფინანსთა სამინისტროსგან უფრო რადიკალურ მიდგომას მოელოდა.

როდესაც დაინახეს, რომ მთავრობამ მათი 16,7-მილიონიანი "პროექტი" კატეგორიულად არ უარყო, პარლამენტარებს მადა უფრო გაეხსნათ. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ბეჟან ბუცხრიკიძემ უცებ "აღმოაჩინა", რომ კაპიტალური ხარჯები საკმარისი არ არის და დამატებით კიდევ ნახევარი მილიონი ლარის გამოყოფა მოითხოვა.

ბუცხრიკიძის "ინიციატივა" პარლამენტის თავმჯდომარემაც აიტაცა. მან მთავრობას შესჩივლა, რომ მიწისქვეშა წყლები პარლამენტის შენობის ქვეშ გროვდება და ერთი შეხედვით კაპიტალურ ნაგებობას კატასტროფას უქადის...

დეპუტატებს, რა თქმა უნდა, ერთი წუთითაც არ უფიქრიათ, რომ თავიანთი "მეორე სახლის" გადასარჩენად საჭირო სახსრები გაორმაგებული ხელფასების თუნდაც ოდნავ შემცირების გზით გამოენახათ. ისინი, როგორც აღვნიშნეთ, ამისთვის დამატებით ასიგნებას ითხოვდნენ.

ზოგიერთი პარლამენტარის მადა კი პირდაპირ განსაცვიფრებელია. მაგალითად, არნოლდ ჟვანია გუშინ დაჟინებით ამტკიცებდა, რომ მთავრობას პარლამენტართა თანაშემწეებიც დაეფინანსებინა (?!).

როგორც ჩანს, დეპუტატებმა კარგად არ იციან, რისთვის იღებენ ჯამაგირს - მასში, როგორც აღვნიშნეთ, სადეპუტატო უფლებამოსილების შესრულებისთვის განკუთვნილი ყოველთვიური ხარჯებიც შედის, რომელიც მიმდინარე წლის 1 ივნისიდან 250 ლარიდან 800 ლარამდე გაიზარდა. თანაშემწე კი პარლამენტარს სწორედ სადეპუტატო უფლებამოსილების უკეთ შესასრულებლად სჭირდება. როდესაც მთავრობა დეპუტატს ამ თანხას უხდის, ეს ნიშნავს, რომ მან თანაშემწეც აქედან უნდა "გაისტუმროს", რაც არნოლდ ჟვანიასა და ზოგიერთი სხვა პარლამენტარისთვის კატეგორიულად მიუღებელია.

მოსახდენი მოხდა: პარლამენტმა თავისი ბიუჯეტი (2005 წლის), 17.261.900 ლარის ოდენობით, 112 ხმით, გუშინ დაამტკიცა.



როგორც ჩანს, დეპუტატებმა კარგად არ იციან, რისთვის იღებენ ჭამაგირს - მასში, როგორც აღვნიშნეთ, სადეპუტატო უფლება-მოსილების შესრულებისთვის განკუთვნილი ყოველთვიური ხარჭებიც შედის

იური ლობოდინის ფოტო

# ნაბდზოროვის უპასუხისმგებლობამ კულმინაციას მიაღწია

ვერიკო თევზაძე

სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა აცხადებს, რომ ორი კვირაა, რაც სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე საქართველოს ხელისუფლება ვერანაირ ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ პროექტს ვერ ახორციელებს. ამასთანავე, ჩვენს წინააღმდეგ მიმდინარეობს საინფორმაციო ომი. ხაინდრავას თქმით, რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდლის სვიატოსლავ ნაბდზოროვის უპასუხისმგებლობამ კულმინაციას მიაღწია ერედვი-ხეითის მონაკვეთზე 14 ივნისს, გვიან ღამით მომხდარი ინციდენტის დროს. როგორც გოგა ხაინდრავამ ბრძანა, მან მომხდარის შესახებ პირველსავე წუთებში აცნობა ნაბდზოროვს და მისგან ამგვარი პასუხი მიიღო: **"სანამ არ გათენდება, იქ ხალხს ვერ გავგზავნი..."** თუმცა, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, სარდალმა ქართული მხარისთვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდება ვერც დღის სინათლეზე მოახერხა.

სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა შეშფოთებას გამოთქვამს ყოველივე ამის გამო. "სამშვიდობო ურთიერთობების ყველა მექანიზმი ამოიწურა," - განუცხადა მან "24 საათს" და დასძინა, რომ უპრიანი იქნება, თუ ამ ურთიერთობების მანდატს გადავხედავთ. **"ქართულ და ოსურ მოსახლეობას შორის კონფლიქტი არ არსებობს, იქ გარკვეული ჯგუფი ძალაუფლების შენარჩუნებას ცდილობს,"** - განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა.

საკოორდინაციო კომისიის სხდომის ოსური მხარის მიზეზით ორგზის ჩაშლის შემდეგ, გოგა ხაინდრავა აუცილებლად მიიჩნევს, რომ რუსული და ქართული მხარეები, თუნდაც ამ ორი ქვეყნის უშიშროების საბჭოს მდივნების დონეზე, დიალოგის მაგიდასთან დასხდნენ და ყველა ხსენებულ საკითხზე დეტალურად მოილაპარაკონ. ჩვენთან საუბრისას ხაინდრავამ ბრძანა, რომ ამის შესახებ გუშინ იგი კონსულტაციებს აწარმოებდა რუსეთის საგანგებო დავალებათა ელჩთან მაიოროვთან, ასევე - შერეული საკონტროლო კომისიის ოსური და რუსული მხარის წარმომადგენლებთან.

შეგახსენებთ, რომ 14 ივნისს, გვიან ღამით ცხინვალიდან გამოსული ავტოკოლონა გადაადგილდა საქართველოს იურისდიქციის ქვეშ მყოფი სოფელ ერედვის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომლის სიახლოვესაც დიდი და პატარა ლიახვის ხეობის ქართული სოფლების დამაკავშირებელი ახალი საავტომობილო გზის მონაკვეთია. "24 საათის" შეკითხვაზე - მზად არის თუ არა საქართველოს ხელისუფლება, დაიცვას ეს გზა ოსური მხარის პროვოკაციებისგან (ადვილი შესაძლებელია, ოსი სეპარატისტები გზის აფეთქებას შეეცადონ) - გოგა ხაინდრავამ დადებითად უპასუხა.

# "როდინა" აფხაზეთს მხარდაჭერას ჰპირდება

სოხუმში ვიზიტით მყოფი სახელმწიფო სათათბიროს ფრაქცია "როდინა" რუსეთის ხელისუფლებისაგან აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას და აფხაზეთისთვის ეკონომიკური ბლოკადის მოხსნას მოითხოვს. "რუსეთი დიდ ინტერესს იჩენს იმ პროცესებისადმი, რომელსაც სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში აქვს ადგილი და თავის ამოცანად ამ რეგიონებში უსაფრთხოების უზრუნველყოფას მიიჩნევს," - განაცხადა ფრაქციის თავმჯდომარემ დიმიტრი როგოზინმა აფხაზეთის ხელისუფლებასთან სოხუმში გამართულ შეხვედრაზე. როგოზინის თქმით, მისი ფრაქცია სახელმწიფო სათათბიროში არჩევის პირველივე დღეებიდან აყენებდა საკითხს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური სტატუსის საბოლოოდ განსაზღვრის შესახებ. მისი თქმით, ფრაქცია "სამშობლო" მოითხოვს რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას და აფხაზეთისათვის ბლოკადის მოხსნას, რომელსაც აფხაზეთის მოსახლეობისათვის ცუდის მეტი არაფერი მოუტანია". დიმიტრი როგოზინის გარდა, დელეგაციის შემადგენლობაში არიან ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრ ბაბაკოვი, ამავე კომიტეტის წევრი იური სენტიურინი, მრეწველობის, მშენებლობისა და მაღალი ტექნოლოგიების კომიტეტის წევრები ოლეგ მაშენკო და ალექსანდრ ფომენკო, ვეტერანთა საქმეთა კომიტეტის წევრი იგორ როდიონოვი, საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის წევრი შამილ სულტანოვი, ბიუჯეტისა და გადასახადების კომიტეტის წევრი ივან ხარჩენკო, ხმის დამთვლელი კომიტეტის წევრი სერგეი ჩაპლინსკი, დელეგაციას თან ახლავს კრასნოდარის მხარის ადმინისტრაციის წარმომადგენლობა.

*ინტერ-პრესი*

**რას წარმოადგენს მართვის სისტემა და როგორ მივიღოთ ISO სერთიფიკატი**

დამოუკიდებელი საერთაშორისო სერტიფიცირების ორგანო - **Moody International,** საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია - **Quadra** და მისი პარტნიორი საქართველოში - **CTC**, გიწვევთ სემინარზე:

**ხარისხის მართვისა და ინტეგრირებული მართვის სისტემები** -

მათი დანერგვა, სერტიფიცირება, შენარჩუნება და მოსალოდნელი სარგებელი.

შეხვედრა გაიმართება სასტუმრო **Marriott**-ში 23 ივნისს 10:00-დან 14:00სთ-მდე.

რეგისტრაცია მიმდინარეობს 21 ივნისამდე.
დაგვიკავშირდით - **CTC**-ის ოფისი:
ელ-ფოსტა: ctc@ctc.org.ge,
ტელ.: 32 53 81; 25 19 82/75.
საკონტაქტო პირი: ელენე ჯიბლაძე

# მკვლელობა, რომლის ფესვებიც შორს მიდის

*კახეთის რეგიონში ძველი ხელისუფლების ცოდვებს დღითიდღე ფარდა ეხდება. ამჯერად საქმე სოფელ აკაურის, ე.წ. ასლან აბაშიძის ღვინის ქარხანაში გადამალულ დიდი რაოდენობით იარაღს ეხება, რომლის შენობიდან გატანას რამდენიმე დღის წინ 29 წლის გოგიტა რამაზოშვილის სიცოცხლე შეეწირა. მომხდართან დაკავშირებით სოფელი აღელვებულია და აბაშიძის ქონების მისაკუთრებას ცდილობს.*

ზვიად რუაძე

სოფელ აკურის, ანუ როგორც ხალხში ეძახიან, ასლან აბაშიძის ღვინის ქარხანაში დატრიალებულმა ტრაგედიამ აქაური მოსახლეობა ხმამაღლა აალაპარაკა. მკვლელობა გასულ კვირას მოხდა. დეტალებზე კი, მიუხედავად დიდი მცდელობისა, ძალოვანი უწყების თანამშრომლები არ საუბრობენ. მხოლოდ იმას აცახადებენ, რომ ეს უბედური შემთხვევა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მოხდა: **"როგორც დარაჯის ჩვენებიდან გაირკვა, მკვლელობა შუქის ჩაქრობის გამო მოხდა. მკვლელმა ზურაბ წილოსანმა აწ გარდაცვლილ რამაზოშვილს შუქის ჩაქრობა სთხოვა. მან კი წინააღმდეგობა გაუწია, რასაც ურთიერთშელაპარაკება მოჰყვა,"** - განაცხადა ჩვენთან საუბარში თელავის რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა ლევან ღვედაშვილმა. გარდაცვლილის ახლობლები კი აღნიშნავენ, რომ გოგიტა რამაზოშვილი ქარხანაში საიდუმლო საცავმა შეიწირა. **"ჩემმა შვილმა ქარხანაში სულ ერთი თვეა, რაც დაიწყო მუშაობა. განა კი რა ისეთი შელაპარაკება მოხდა, რომ ასე გაწირა წილოსანმა გოგიტა. ეჭვს იმის შესახებ, რომ ძაღლის თავი სხვაგან მარხია, ის იწვევს, რომ დარაჯი ჩვენთან სულ სხვა რამეს საუბრობს, პოლიციასთან კი - სხვას,"** - ამბობს გარდაცვლილის დედა ლალი რამაზოშვილი.

მკვლელობა ღამის თორმეტ საათზე მოხდა, რამაზოშვილებს კი მომხდარის შესახებ დილის ხუთ საათზე შეატყობინეს. უფრო მეტიც, როგორც გარდაცვლილის ოჯახის წევრები აცხადებენ, ცხედარი მთელი ორი საათის განმავლობაში მორგის წინ ეგდო და ექსპერტიზა მას შემდეგ ჩაუტარდა, როცა რამაზოშვილებმა ცხედრის სახლში გადასვენება მოინდომეს.

მომხდართან დაკავშირებით ქარხნის თანამშრომლები არაფერს ამბობენ, რადგან, როგორც დარაჯი ირწმუნება, იმ დროს ყველა თავის ტყავს გაუფრთხილდა და ყველამ ქარხნის დირექტორის ვახტანგ წილოსანის მკვლელ ნათესავს დაუჭირა მხარი. ექსპერტიზის დასკვნით გაირკვა, რომ გოგიტა რამაზოშვილს სასიკვდილო ჭრილობა არ ჰქონდა, იგი სისხლისგან დაიცალა.

როგორც ითქვა, ქარხანა ბოლო ორი წლის განმავლობაში ასლან აბაშიძის კუთვნილება იყო, თუმცა ამის შესახებ ოფიციალური დოკუმენტაცია არ მოიპოვება. როგორც თელავის რაიონის ქონების მართვის სამსახურში "24 საათს" განუცხადეს, საწარმო მართლაც აბაშიძეს ეკუთვნის, მაგრამ კურატორობას ქარხანას პარტიის ყოფილი ლიდერი და დეპუტატობის ექსკანდიდატი ნოდარ მოდებაძე უწევს. მოდებაძე კი აცხადებს, რომ იგი ქარხნის 50 პროცენტის მფლობელია და აქ ასლან აბაშიძე არაფერ შუაშია. აჭარის ყოფილი დიქტატორის დროს ამ ქარხანაში, როგორც აკურელები ამბობენ, ყოველდღიურად აჭარიდან 15-20-კაციანი დაცვა მიდიოდა, ხოლო საწარმოში ხშირად ჩნდებოდა ჯემალ გოგიტიძე. **"რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, ეს ქარხანა აჭარის კრედიტით შეიძინა მოდებაძემ, ხოლო ოფიციალურ მეპატრონედ აბაშიძის ქალიშვილს ასახელებდნენ. გარდა ამისა, ქარხანაში აჭარის დროშაც ფრიალებდა. ყოველდღე კი უცხო, ნაირნაირი მანქანები მიდიოდა,"** - აცხადებენ აკურელები. ყველაზე საინტერესო ფაქტი საწარმოს ყოფილმა თანამშრომელმა გვიამბო, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა: **"ამ ქარხანაში 2002 წლიდან დიდი ფუსფუსი იყო. ეჭვს, რომ აქ რაღაცა ხდებოდა, განსაკუთრებით რევოლუციის პერიოდში, ბადებდა შემდეგი გარემოება: საღამოს საათებში ქარხნის კუთვნილი ფერმებიდან მწყემსებს უშვებდნენ და შენობასაც აჭარიდან ჩამოსული ხალხი იცავდა. ის, რომ იარაღი იმალებოდა ქარხანაში, ჩუმად ყველამ ვიცოდით."** გოგიტა რამაზოშვილის მკვლელობას აკურელები სწორედ ამ ფაქტს მიაწერენ. **"გოგიტა, ფაქტობრივად, ქარხანაში ნოდარ მოდებაძემ მიიყვანა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ გოგიტამ იცოდა იარაღის სამალავის არსებობა და როცა წილოსანმა ობიექტიდან მოდებაძესთან შეუთანხმებლად დაიწყო იარაღის გატანა, გოგიტამ გაიგო და მოდებაძესთან რომ არ გაემხილა, მისმა ძმისშვილმა ზურაბ წილოსანმა ამიტომ მოკლა,"** - გვითხრა გარდაცვლილის ნათესავმა ნინო გუგოტიშვილმა.

აღნიშნულ მოსაზრებას თელავის პოლიციის უფროსი ბაადურ გულიაშვილი აბსურდულს უწოდებს: **"ეს სრული ჭორია. ამ საქმისადმი ასე მიდგომა არ არის საჭირო,"** - ამბობს გულიაშვილი. ქარხნის მიმდებარე ტერიტორიზე მაცხოვრებლები კი ამბობენ, რომ მკვლელობის დღეს ქარხანაში "ზილის" მარკის სატვირთო ავტომობილიც იდგა: **"მანქანა ჯერ იარაღით დატვირთეს, შემდეგ კი მაღლიდან ჯართი დააყარეს. შიგ, მძღოლთან ერთად, ვიღაც ქალბატონიც იმყოფებოდა,"** - ამბობს აკურელი ლალი ქევხიშვილი. მისივე თქმით, მკვლელობის დროს ქარხნის ეზო უამრავი უცხო მანქანით აივსო, მოგვიანებით კი ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე ვერტმფრენიც დაჯდა.

აკურელები ხმამაღლა საუბრობენ იმის შესახებ, რომ ამ ქარხანაში იარაღი "ვარდების რევოლუციის" წინა დღეს შეიტანეს. **"რამდენადაც ჩვენთვის - სოფლის მოსახლეობისთვის იყო ცნობილი, ბუნტი კახეთიდან მზადდებოდა. ამაში კი ასლან აბაშიძეს ხელს მედეა მეზვრიშვილიც უწყობდა, რადგან ამ რეგიონში მის გარეშე არაფერი წყდებოდა,"** - ამბობს ქარხნის ყოფილი თანამშრომელი მარინა აბეჩხრიშვილი. ამ ფაქტს თელავის ყოფილი გამგებელი კატეგორიულად უარყოფს და მორიგ პროვოკაციად მიიჩნევს. **"აბა, როგორ გეკადრებათ. მე რომელი იარაღის შემგროვებელი ვიყავი. მაგას ვინც მბობს, იმასა არც ღმერთი სწამს. ეგ ქარხანა, კიდევ, დეპუტატმა შეიძინა და მე რა მესაქმება,"** - აცხადებს მეზვრიშვილი.

ამჯერად ზურაბ წილოსანი დაკავებულია და მის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით. სოფელი კი არ ჩერდება და შურის ძიებას, როგორც ისინი ამბობენ, ასლან აბაშიძის კუთვნილი მიწების მიტაცებით გეგმავს, ხოლო სახელმწიფოს ქარხნის დაბრუნებას სთხოვს. **"ეს ნაკვეთები ხალხს გვქონდა თავის დროზე. მოგვყავდა მზესუმზირა და სიმინდი. შარშანწინ კი ჩამოგვართვეს და ნაკვეთების გარეშე დავრჩით. ახლა ამ მიწებს ჩვენით დავიბრუნებთ,"** - ამბობენ აკურელები.

International Finance Corporationa Member of the World Bank Group

**სააქციო საზოგადოებების ხელმძღვანელობის საყურადღებოდ!**

**საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტი** აცხადებს კონკურსს სააქციო საზოგადოებებისათვის, კორპორაციული მართვის დანერგვის პილოტურ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად.

კორპორაციული მართვა ესაა სისტემა, რომლის მეშვეობითაც კომპანიის მართვა და კონტროლი ხორციელდება. საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტის კორპორაციული მართვის გაუმჯობესების კომპონენტი მიმართულია ქართული საწარმოების გაჯანსაღებასა და მათ მიერ დამატებითი ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობის შექმნაზე. პირველ ეტაპზე შეირჩევა 5 სააქციო საზოგადოება. შერჩეული სააქციო საზოგადოებები პილოტურ პროგრამაში მონაწილეობის შემდეგ შეძლებენ:

კომპანიის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას;

გაზრდილი ქონების ღირებულების, გუდვილის, საზოგადოების აქციების ღირებულების ხარჯზე სარგებლის მიღებას;
დივიდენდების გაზრდას / გაცემას;
გარეშე ფინანსირებაზე გასვლას (კაპიტალის ბაზრები);
შრომითი რესურსების მოზიდვას (მმართველები და თანამშრომლები);
სამუშაო ადგილების ზრდასა და ზოგადად ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას.

მსურველი სააქციო საზოგადოება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:
1. კომპანია უნდა იყოს რეგისტრირებული სააქციო საზოგადოებად;
2. კომპანიაში სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობა არ უნდა აღემატებოდეს 25%-ს.

დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ დაუკავშირდეთ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტს შემდეგ მისამართზე:
თბილისი, ი. ჭავჭავაძის I ჩიხი, 5ა.
ტელ.: 91 26 89, 91 29 58, 91 30 96
ფაქსი: 91 34 80
პილოტური პროგრამის პირველი ეტაპის დახურვის თარიღია ა.წ. 16 ივლისი.

# საგადასახადო კოდექსის ირგვლივ ვნებები მძაფრდება

*საგადასახადო კოდექსის ძირითადი პრინციპების ირგვლივ ვნებათაღელვა, როგორც მოსალოდნელი იყო, კვლავ გრძელდება. გუშინ "მსხვილი" მეწარმეების კვალდაკვალ უკვე "მცირე" მეწარმეები შეიკრიბნენ და განაცხადეს, რომ წარმოდგენილი კოდექსის პროექტი არც ისეთი სუპერლიბერალურია, როგორადაც მას მთავრობა და, კერძოდ, ქვეყნის ეკონომიკის მინისტრი კახა ბენდუქიძე წარმოადგენენ.*

**"კოდექსის პროექტში კვლავინდებურად არ არის გათვალისწინებული მცირე მეწარმეთა ინტერესები. ახალი კოდექსი ისეთივეა, როგორც ძველი, რომელიც 1997 წელს იქნა მიღებული. მაშინ მიღებული კოდექსით, მცირე და მსხვილი ბიზნესი ერთნაირად იბეგრებოდა. ამასვე ითვალისწინებს ახალი კოდექსის პროექტიც,"** - განაცხადა პრეს-კონფერენციაზე ასოციაციის პრეზიდენტმა ანზორ საკანდელიძემ.

მისი თქმით, ასოციაციამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უკვე მიმართა პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას და რეაგირება სთხოვა.

მცირე მეწარმეები მოითხოვენ, კოდექსში გამოყოფილი იყოს ცალკე თავი, რომელიც მცირე მეწარმეთათვის სხვა საგადასახადო რეჟიმების დაწესებას გაითვალისწინებს.

ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტით პარლამენტარებიც დაინტერესდნენ და მთავრობას პროექტის ბოლო ვარიანტი მოსთხოვეს.

როგორც გუშინ, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დეპუტატმა ზურაბ ცქიტიშვილმა განაცხადა, პარლამენტარებმა კოდექსის მონახაზი უნდა იცოდნენ და განხილვაში მონაწილეობა მიიღონ. ცქიტიშვილს მხარი პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემაც დაუჭირა და მთავრობის საპარლამენტო მდივანს პროექტის პარლამენტის აპარატისათვის წარდგენა სთხოვა.

ამიტომ კოდექსზე მომუშავე კომისიის წევრ, პარლამენტარ შოთა გვენეტაძეს მოუხდა იმის ახსნა, რომ კოდექსის პროექტი, ჯერჯერობით, ტექსტის სახით არ არსებობს. ამის გამო, მთავრობა პროექტს პარლამენტს ვერ წარუდგენს.

თუმცა, გვენეტაძის განცხადების მიუხედავად, პარლამენტის თავმჯდომარემ მთავრობას სთხოვა, პარლამენტში ის ძირითადი მონახაზი შეიტანოს, რომლის პრეზენტაციაც გასული კვირის ბოლოს შედგა.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ გადამხდელთა კავშირი მთავრობას რამდენიმე დღეში იმ ბიზნესმენთა სიას გადასცემს, რომლებიც ახალი "საგადასახადო კოდექსის" ტექსტის შემუშავებაში მონაწილეობას მიიღებენ. გიორგი ისაკაძის თქმით, დაწყებულია კონსულტაციები ბიზნესის სექტორში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მათთან კონსულტაციის შემდეგ, ბიზნესმენთა მობილური ჯგუფი ჩამოყალიბდება. **"ჯგუფში შემავალ ბიზნესმენთა რაოდენობა, ჯერჯერობით, განსაზღვრული არ არის, თუმცა აქ ბიზნესის ყველა მიმართულების ინტერესები მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული,"** - განაცხადა ისაკაძემ.

*24 საათი*

# "ელექტროკავშირისა" და თელაველების დავას სპეციალური კომისია გაარჩევს

*"ელექტროკავშირისა" და თელაველი აბონენტების დავის დეტალების - დეკადურ-ფიჭური სადგურიდან ციფრულ სადგურზე გადართვისათვის 50-ლარიანი ტარიფის დარიცხვის სამართლიანობისა და ამავე ტარიფის ოდენობის კანონიერების შესასწავლად გუშინ სპეციალურად ახალი კომისია შეიქმნა. კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საბოლოო გადაწყვეტილება ცნობილი 29 ივნისს გახდება.*

სოფო თბილელი

გუშინ კომისიამ ერთკვირიანი შესვენების შემდეგ "ელექტროკავშირისა" და თელაველი აბონენტების დავის საკითხის - რის საფუძველზე მოხდა 50-ლარიანი ტარიფის გაანგარიშება და სამართლებრივად მოხდა თუ არა აბონენტების ახალ ციფრულ-ელექტრონულ სადგურზე გადართვა - განხილვა გააგრძელა. კომისიის სხდომას ამჟამად, კომისიის ახლადდანიშნული თავმჯდომარე დიმიტრი ქიტოშვილი უძღვებოდა. გუშინდელ შეხვედრაზე კომისიას გადაწყვეტილება არ მიუღია, მხოლოდ გადაწყდა, რომ შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც ორი კვირის ვადაში 50-ლარიანი ტარიფის კანონიერებას შეისწავლის და მარეგულირებელ კომისიას საკუთარ დასკვნასაც წარუდგენს. შესაბამისად, კომუნიკაციების ეროვნული კომისიაც საბოლოო გადაწყვეტილებას 29 ივნისს დანიშნულ სხდომაზე მიიღებს. სპეციალურად შექმნილი 11-კაციანი კომისია, კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამსახურის წარმომადგენლების გარდა, "ელექტროკავშირისა" და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებითაც დაკომპლექტდება.

შეგახსენებთ, რომ "თელავის ელექტროკავშირის" აბონენტები ახალ ციფრულ სადგურზე გადართვისათვის გადასახდელი 50-ლარიანი ტარიფისაგან გათავისუფლებას ითხოვენ. "ელექტროკავშირს" კი ტარიფის უკანონოდ, მოტყუებით, უსამართლოდ დარიცხვასა და ახალ ქსელებზე იძულებით გადართვაში ადანაშაულებენ. ისინი ელექტროკავშირს ერთი მოთხოვნით მიმართავენ - 50-ლარიანი ტარიფისაგან გაათავისუფლონ და უკვე გადახდილი თანხები დაუბრუნონ.

იმ შემთხვევაში, თუ კომისია 50-ლარიანი ტარიფის ოდენობისა და დარიცხვის უკანონობას დაამტკიცებს, ელექტროკავშირის წარმომადგენლებმა მზადყოფნა გამოთქვეს, რომ კომპანია აბონენტებს თანხას უკან დაუბრუნებს, თუმცა, ამის შემდეგ აბონენტები ავტომატურად ძველი სადგურის მომხმარებლები გახდებიან. 50-ლარიანი ტარიფის უკანონობის დამტკიცების შემთხვევაში "ელექტროკავშირს" თანხის დაბრუნება არა მარტო თელავის მოსახლეობისათვის მოუწევს, არამედ გორის, ხაშურისა და სენაკის აბონენტებისთვისაც, რომლებსაც, თელაველების მსგავსად, ახალ ციფრულ სადგურზე გადართვისათვის "ელექტროკავშირმა" 50 ლარი გადაახდევინა.

"ელექტროკავშირის" დირექტორის მერაბ კანკავას მტკიცებით, კომპანია კანონის ჩარჩოებში მოქმედებს და 50-ლარიანი ტარიფის განსაზღვრაც და ძველი ქსელიდან ახალ ქსელზე გადასვლისთვის თანხის დარიცხვაც სამართლიანად მოხდა, რადგან მომსახურება, რისთვისაც აბონენტებმა ეს თანხა გადაიხადეს, რეალურად განხორციელდა. თუმცა, კანკავა არც იმას გამორიცხავს, რომ 50-ლარიანი განაკვეთი შესაძლოა სავსებით სწორად არ იყოს გაანგარიშებული, მიზეზად კი ტარიფის გაანგარიშების მეთოდიკის არარსებობას ასახელებს. **"ის, რომ კომპანიამ მომსახურება რეალურად გაწია, ეს სადავო არ არის. რაც შეეხება იმას, თუ რამდენად სწორადაა გათვლილი ტარიფი, უბრალოდ, ამის გათვლის მეთოდიკა არ არსებობს. ეს თანხა კომპანიის ხარჯებიდან და სხვა მრავალი ფაქტორიდან გამომდინარე დაწესდა,"** - განაცხადა "ელექტროკავშირის" გენერალურმა დირექტორმა.

თელავის მოსახლეობის წარმომადგენელმა ალექსი შოშიკელაშვილმა ელექტროკავშირი მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაშიც დაადანაშაულა. შოშიკელაშვილის განცხადებით, ელექტროკავშირი ციფრულ ქსელებზე გადასვლისთვის თანხას მხოლოდ იმ რაიონებში ითხოვს, სადაც მას კონკურენტი არ ჰყავს. **"კომპანიამ თბილისში ციფრულ ქსელზე გადაყვანის მომსახურება უფასოდ განახორციელა, ვინაიდან თბილისში კონკურენტები ჰყავს,"** - აღნიშნა შოშიკელაშვილმა. მოუწევს თუ არა "ელექტროკავშირს" აბონეტებისთვის თანხის უკან დაბრუნება ეს ცნობილი ორ კვირაში გახდება.

P.S. კომისიამ არ დააკმაყოფილა "ელექტროკავშირის" შუამდგომლობა ახალი ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებით. შეგახსენებთ, რომ რვა ივნისს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში გამრთული შეხვედრისას "ელექტროკავშირის" იურიდიული სამსახურის უფროსმა უჩა სეთურმა ექსპერტებს უნდობლობა გამოუცხადა და კომისიის წინაშე ახალი ექსპერტიზის ჩატარების შუამდგომლობა დააყენა.

**ს.ს. "თელასი" AN აცხადებს ტენდერს ასფალტის საფარის აღდგენით სამუშაოების შესრულებაზე:**

დაინტერესებულ ორგანიზაციებს სატენდერო დოკუმენტაციის წაღება
შეუძლიათ 2004 წლის 21 ივნისამდე; მისამართი:
თბილისი, ვანის ქუჩა N3, მე-3 სართული, კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილება.
ტელ: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 24 ივნისი.

**ს.ს. "თელასი"ANაცხადებს ტენდერს ამომრთველი ავტომატ. 2 პოლუსა 63ა და 100ა მოწოდებაზე:**

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ საქონელი უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.

დაინტერესებულ ორგანიზაციებს სატენდერო დოკუმენტაციის წაღება
შეუძლიათ 2004 წლის 21 ივნისამდე; მისამართი:
თბილისი, ვანის ქუჩა N3, მე-3 სართული, კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილება.
ტელ: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 25 ივნისი.

**"ს/ს თელასის" განცხადება**

**ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:**

**18 ივნისს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
ნუცუბიძის ქუბის(ნაწილობრივ) მაცხოვრებლებს

**18 ივნისს, 11.00-დან 15.00-სთ-მდე:**
ბროსეს, კვალის, რევაზ ლაღიძის, რუსთაველის გამზირის(ნაწილობრივ), ქუთათელაძის, თაბუკაშვილის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**18 ივნისს, 11.00-დან 17.00-სთ-მდე:**
ბესიკის, გოგებაშვილის(ნაწილობრივ), კოსტავას(ნაწილობრივ), კოტე მაყაშვილის, კოტე მესხის, მთაწმინდის, თაბუკაშვილის(ნაწილობრივ), გუნიას, პოლიკარპე კაკაბაძის, კერესელიძის, თორაძის, ჭოველიძის, ყიფიანის, ზანდუკელის, თარხნიშვილის ქუჩების მაცხოვრებლებს.



# ორ კორეას შორის პროპაგანდისტული ომი დასრულდა

ჩრდილოეთი და სამხრეთ კორეა შეთანხმდნენ, შეწყვიტონ ერთმანეთის წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდა, რომელიც ორ ქვეყანს შორის ნახევარ საუკენეზე მეტი ხნის მანძილზე მიმდინარეობდა.

მრავალი ათწლეულის განმავლობაში ნახევარკუნძულის შუაში გავლებული, ორივე მხრიდან დიდი ძალებით დაცული საზღვრის აქეთ-იქით ორი ქვეყნის პროპაგანდისტული ომი მძვინვარებდა. ერთი მხრიდან სამხედრო მარშები და დიადი ბელადებისა და მასწავლებლების სადიდებელი ოდები ქუხდა, ხოლო მეორე მხრიდან, სამხრეთკორეელ და უცხოელ კომპოზიტორთა ნაწარმოებები სრულდებოდა, რომელიც დემოკრატიის სარგებლობაზე მოღაღადე ლექციებით იყო შეჯერებული.

პროპაგანდის მანქანების დუელი შეწყდა - სამშაბათს, შუაღამის დადგომასთან ერთად სამხრეთკორეული ხმის გამაძლიერებელმა მსმენელთ მადლობა გადაუხადა და დადუმდა. "ჩვენ ვაცხადებთ ისტორიული ფაქტის დადგომის შესახებ, - ჩვენი რადიოგადაცემები, რომლებიც თავისუფლების ხმის როლს ასრულებდა, წყდება", - განაცხადეს სამხრეთელებმა. ასეთივე პასუხი იყო ჩრდილოეთიდანაც. მრავალრიცხოვანი ელექტრონული ეკრანები საზღვრის ორივე მხარეს ჩაქრნენ - 100 სამხრეთით და 200 ჩრდილოეთით.

ნიშანდობლივია, რომ იდეოლოგიური ბრძოლის შეწყვეტის ინიციატივა ჩრდილოეთიდან მოდიოდა. გადაწყვეტილება ორი ქვეყნის სამხედროებს შორის მიღწეული უპრეცედენტო შეთანხმების ფარგლებში მოხდა, რომლის მიზანიც კორეის ნახევარკუნძულზე დაძაბულობის განმუხტვაა. შეთანხმებით გათვალისწინებული ყველა ზომის გასატარებლად, მხარეებს 15 აგვისტომდე აქვთ ვადა. ამ დღეს აღინიშნება 1945 წელს კორეის ნახევარკუნძულის იაპონელ დამპყრობელთაგან გათავისუფლების თარიღი.

საერთოდ, ყველა დამკვირვებელი თუ მიმომხილველი აღნიშნავს, რომ სამხრეთ კორეა ყველნაირად ცდილობს ჩრდილოეთთან ურთიერთობების მოწესრიგებას. უფრო მეტიც, პრეზიდენტი რო მუ ჰიუნი ჩრდილოელი მეზობლის ეკონომიკაში დიდი ინვესტიციების ჩადების წინადადებითაც გამოვიდა. თუმცა კომუნისტური კორეის მიერ გასაღები საფასურიც არ არის ვინმესთვის საიდუმლო - ესაა კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ ბირთვული პროგრამის შეჩერება.

თუმცა, ჯერჯერობით, ფხენიანი არ პასუხობს სეულის არცთუ ბუნდოვან მინიშნებებზე. უფრო მეტიც, კომუნისტური კორეის საინფორმაციო საშუალებებმა მძაფრად გააკრიტიკეს "დიდი რვიანის" ქვეყნების განცხადებები და აღნიშნეს, რომ საერთაშორისო ინსპექციების ორგანიზაციის გზა ერაყის მსგავსი კრიზისის წარმოქმნამდე მიიყვანს.

ჩრდილოეთ კორეის ბირთვული კვლევების გამო, რეგიონში კრიზისული ვითარება 2002 წლის ოქტომბერში შეიქმნა. მაშინ ვაშინგტონმა ჩრდილოეთ კორეა, ბირთვული მასალების შექმნაში დაადანაშაულა. ბოლო დროს ექვსმხრივი მოლაპარაკებების ორი რაუნდი უკვე გაიმართა კორეის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით. შეგახსენებთ, რომ ჩინეთი აღნიშნულ მოლაპარაკებებში მთავარი მედიატორის როლს ასრულებს. მოლაპარაკებათა მესამე რაუნდი პეკინში მიმდინარე თვეშია დაგეგმილი. დღემდე აშშ-ს, რუსეთის, იაპონიის, ჩინეთისა და ორივე კორეის მონაწილეობით გამართულ შეხვედრას კონკრეტული შედეგი არ გამოუღია.

შესაძლოა, მოლაპარაკებების უშედეგობა იმითაც არის განპირობებული, რომ ჩრდილოეთ კორეელები მეტად კატეგორიულები არიან. ისინი აცხადებენ, რომ ქვეყანა ბირთვულ პროგრამას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეელევა, თუ თავდაუსხმელობის მყარი გარანტიები ექნებათ. კორეელ კომუნისტებს არანაირი სურვილი არ აქვთ, ქვეყანა მეორე ერაყად იქცეს. ამგვარი ფიქრის საფუძველს კი აშშ-ს მიერ ჩრდილოეთ კორეის "ბოროტების ღერძის" ქვეყნების - ერაყისა და ირანის გვერდით მოხსენიება აძლევთ.

*მოკლედ*

### ჩინეთის პრეზიდენტი უზბეკეთს ეწვია

გუშინ ჩინეთის პრეზიდენტი ხუ ძინთაო უზბეკეთს ეწვია. ეს ჩინეთის ახალი პრეზიდენტის პირველი ვიზიტია ცენტრალურ აზიაში. ჩინეთის ლიდერი უზბეკეთის ხელისუფლებასთან ორი დღის განმავლობაში ორ ქვეყანას შორის უსაფრთხოებისა და ვაჭრობის საკითხებს განიხილავს.

პრეზიდენტი ხუ ტაშკენტში შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის ეგიდით გამართულ სამიტში მონაწილე ხუთ პრეზიდენტს შეხვდება. ამ ორგანიზაციაში რუსეთი, ჩინეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი და უზბეკეთია გაერთიანებული. ამ შეხვედრას სტუმრის სტატუსით ავღანეთის პრეზიდენტი ჰამიდ ყარზაიც დაესწრება.

ჩინეთი უზბეკეთის ერთ-ერთი უმსხვილესი პარტნიორია. შარშან ორი ქვეყნის სავაჭრო ბრუნვამ 200 მილიონ ამერიკულ დოლარზე მეტი შეადგინა.

უზბეკები ჩინეთში აბრეშუმსა და ბამბას ყიდიან. თავად უზბეკეთსა და საერთოდ ცენტრალურ აზიაში ჩინეთის ეკონომიკური ექსპანსია ყველგან იგრძნობა - დაწყებული ტრაქტორებითა და დამთავრებული ავტობუსებით, ყველაფერი ჩინური წარმოებისაა.

ცენტრალური აზიის სახელმწიფოები განსაკუთრებით დაინტერესებულები არიან ჩინური ინვესტიციებით ნავთობისა და გაზის სექტორში.

### ყარზაი ნატო-ს კონტინგენტის გაფართოებას მოითხოვს

ავღანეთის პრეზიდენტმა ჰამიდ ყარზაიმ ნატო-ს მოუწოდა, სექტემბერში დანიშნულ არჩევნებამდე ავღანეთში შეიარაღებული ძალების რაოდენობა გაზარდონ. ვაშინგტონში პრეზიდენტ ბუშთან შეხვედრამდე, ყარზაიმ აღნიშნა, რომ იგი უშუალოდ ამერიკის ჯარების განთავსებას არ მოითხოვს. ავღანეთის პრეზიდენტის აზრით, უსაფრთხოების განსამტკიცებლად კიდევ საჭიროა დამატებით 20 000 ჯარისკაცის ყოფნა.

ამჟამად ქვეყნის დედაქალაქ ქაბულში ნატო-ს 6 000 კაციანი ძალებია განლაგებული. ალიანსის ხელმძღვანელობამ პირობა დადო, რომ კონტინგენტს გაზრდის, რომელიც ავღანეთის პროვინციებშიც დაამყარებს წესრიგს.

თუმცა, პრობლემას ის ქმნის, რომ თავად ნატო-ს წევრ სახელმწიფოებს თავიანთი ჯარისკაცების მაღალი რისკის ქვეყანაში გაგზავნა და მოსალოდნელი მსხვერპლი არ სურთ, რაც ეროვნულ მთავრობებს პრობლემებს შეუქმნის.

## აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია აცხადებს მიღებას 2004-2005 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე

**სახვითი ხელოვნების ფაკულტეტი:**

**ფერწერა - (**სპეციალიზაცია: დაზგური და მონუმენტური ფერწერა, თეატრალურ-დეკორაციული ფერწერა, კინო და ტელევიზიის მხატვრობა, დაზგური და მონუმენტური ფერწერის რესტავრაცია)

**გრაფიკა** - (სპეციალიზაცია: დაზგური გრაფიკა, მულტიპლიკაციური ფილმების სახვითი გადაწყვეტა);

**ქანდაკება.**

**არქიტექტურის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი:**

სამოქალაქო ნაგებობათა არქიტექტურა, არქიტექტურული ძეგლების რესტავრაცია, ლანდშაფტის არქიტექტურა, ინტერიერის დიზაინი, მონუმენტური ხელოვნება - (სპეციალიზაცია: მონუმენტურ დეკორატიული მოხატვა; არქიტექტურ-დეკორატიული პლასტიკა; ქალაქებისა და დასასვენებელ ზონათა მონუმენტურ-დეკორატიული გაფორმება): ხელოვნების ისტორია და თეორია, აგრეთვე, სპეციალობა - კომპიუტერული ხელოვნება (ფასიანი სექტორი).

**დიზაინის ფაკულტეტი :**

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება - სპეციალიზაცია: მხატვრული კერამიკა, მხატვრული მინა, ლითონის და სხვა მასალათა მხატვრული ნაკეთობანი, ვიზუალური კომუნიკაციები და გრაფიკული დიზაინი, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის მხატვრული დაპროექტება - (სპეციალიზაცია: ტანსაცმლის მხატვრული დაპროექტება, ტრიკოტაჟის ნაწარმის მხატვრული დაპროექტება, ტყავ-გალანტერიის

ნაწარმის მხატვრული დაპროექტება, ქსოვილების მხატვრული დაპროექტება- მოხატვის წესით). ავეჯის დაპროექტება, გობელენი და მხატვრული ქსოვილები, სამრეწველო დიზაინი.

**მისაღები გამოცდები სპეციალობების მიხედვით ჩატარდება შემდეგ საგნებში:**

**დაზგური და მონუმენტური ფერწერა -** ფერწერა “ჩაცმული ადამიანის ტორსი” (ტილო, ზეთი), ხატვა - “პორტრეტი” (ქაღალდი, ფანქარი), “კომპოზიცია მოცემულ თემაზე” (ტილო, ზეთი).

**თეატრალურ-დეკორაციული ფერწერა** - ფერწერა “ჩაცმული ადამიანის ტორსი “ (ტილო, ზეთი, მუყაო, ტემპერა, გუაში), ხატვა - “ პორტრეტი “
(ქაღალდი, ფანქარი), “კომპოზიცია მოცემულ თემაზე “ (ტილო, ზეთი ).

**კინო და ტელევიზიის მხატვრობა -** ფერწერა “ჩაცმული ადამიანის ტორსი “ (ტილო, ზეთი, მუყაო, ტემპერა, გუაში), ხატვა “პორტრეტი”
(ქაღალდი, ფანქარი), “კომპოზიცია მოცემულ თემაზე” (სრულდება გრაფიკულად - ქაღალდი , ფანქარი, ტუში, კალამი).

**დაზგური და მონუმენტური ფერწერის რესტავრაცია-** ფერწერა “რთული ნატურმორტი” (ტილო, ზეთი, ქაღალდი, ტემპერა, გუაში,) “ფერწერული ნაწარმოების ასლის გადაღება “ (ქაღალდი, ტემპერა, ტილო, ზეთი - აბიტურიენტის სურვილით), ხატვა - “პორტრეტი” (ქაღალდი, ფანქარი).

**დაზგური გრაფიკა -** ფერწერა “ადამიანის ჩაცმული ტორსი კომპოზიციურ გარემოცვაში” (ქაღალდი, მუყაო, აკვარელი, გუაში), ხატვა “პორტრეტი” (ქაღალდი, ფანქარი), “კომპოზიცია მოცემულ თემაზე “(ტუში, ფუნჯი, კალამი).

**მულტიპლიკაციური ფილმების სახვითი გადაწყვეტა -** ფერწერა “რთული ნატურმორტი” (ქაღალდი, წყლის საღებავები), ხატვა “თაბაშირის ფიგურა” (ქაღალდი, ფანქარი), “კომპოზიცია მოცემულ თემაზე” (ქაღალდი, გუაში, აკვარელი).

**ქანდაკება -** ძერწვა “თაბაშირის თავი**”** (თიხა), ხატვა “თაბაშირის ფიგურა **“ (**ქაღალდი, ფანქარი), “კომპოზიცია მოცემულ თემაზე”(ძერწვა, თიხა ან პლასტილინი)

**დიზაინის ფაკულტეტის ყველა სპეციალობასა და სპეციალიზაციებზე -** ფერწერა “ნატურმორტი” (ქაღალდი, წყლის საღებავები), ხატვა -

“თაბაშირის ფიგურა”(ქაღალდი, ფანქარი), “კომპოზიცია სპეციალობის მიხედვით” ( ქაღალდი, წყლის საღებავები).

**შენიშვნა:**

**ა. კერამიკის, მინის, სამრეწველო დიზაინის , ავეჯის, ლითონისა და სხვა მასალათა მხატვრული ნაკეთობების სპეციალობებზე** - შემსვლელნი აბარებენ ფერწერაში მოცემულობას “ნატურმორტი “ , ან ქანდაკებაში მოცემულობას “თაბაშირის თავის ასლი” , აბიტურიენტის სურვილის მიხედვით.

**ბ. გრაფიკული დიზაინისა და ვიზუალური კომუნიკაციების სპეციალობაზე საგანი “სპეც. კომპოზიცია” ბარდება პროექციულ ხაზვასთან ერთად.**

**სახვითი ხელოვნების და დიზაინის ფაკულტეტებზე -** ყველა სპეციალობაა და სპეციალიზაცებზე ტარდება წერითი გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

**ყველა სპეციალობასა და სპეციალიზაციებზე** (გარდა ფერწერის რესტავრაციისა) ტარდება ჩათვლა საქართველოს ისტორიაში.

**ფერწერის რესტავრაციაზე** ჩათვლა ტარდება ქართული ხელოვნების ისტორიაში.

**არქიტექტურის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტზე მისაღები გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში:**

**სამოქალაქო ნაგებობათა არქიტექტურის, არქიტექტურული ძეგლების რესტავრაციის, ლანდშაფტის არქიტექტურის სპეციალობებზე -** პროექციული ხაზვა (ქაღალდი, ფანქარი), ფერწერა “ნატურმორტი” (ქაღალდი, წყლის საღებავები), ხატვა “თაბაშირის თავი” (ქაღალდი, ფანქარი), გასაუბრება - ტესტირება საერთო განათლებაში.

**მონუმენტურ-დეკორატიული მოხატვის სპეციალობაზე -**

ა. ფერწერა”ნატურმორტი” (ტილო, ზეთი, ქაღალდი, წყლის საღებავები)

ბ. ხატვა “თაბაშირის თავი ან ფიგურა” (ქაღალდი,
ფანქარი). **“**კომპოზიცია სპეციალობის მიხედვით**” (**ქაღალდი, წყლის საღებავები), გასაუბრება-ტესტირება საერთო განათლებაში.

**არქიტექტურულ-დეკორატიული პლასტიკის სპეციალობაზე -**

ძერწვა “რელიეფი” (პლასტელინი).F
ხატვა “თაბაშირის თავი, ან ფიგურა” (ქაღალდი, ფანქარი).
**გ.** “კომპოზიცია სპეციალობის მიხედვით” (პლასტელინი). გასაუბრება-ტესტირება საერთო განათლებაში.

**ქალაქებისა და დასასვენებელ ზონათა მონუმენტურ-დეკორატიული გაფორმების სპეციალობაზე -**
**ა.** ფერწერა”ნატურმორტი” (ტილო, ზეთი, ქაღალდი, წყლის საღებავები)
**ბ**. ხატვა “თაბაშირის თავი ან ფიგურა” (ქაღალდი,
ფანქარი).
**გ.** კომპოზიცია სპეციალობის მიხედვით **(**ქაღალდი, წყლის საღებავები), გასაუბრება-ტესტირება საერთო განათლებაში.

**ინტერიერის დიზაინის სპეციალობაზე -**

**ა.** ფერწერა “ნატურმორტი” (ქაღალდი, წყლის საღებავები)
ბ. ხატვა “თაბაშირის თავი ან ტორსი” (ქაღალდი, ფანქარი)
**გ.** კომპოზიცია სპეციალობის მიხედვით, (ქაღალდი, ფანქარი, წყლის საღებავები)
გასაუბრება - ტესტირება საერთო განათლებაში.

**სამოქალაქო ნაგებობათა არქიტექტურის, არქიტექტურული ძეგლების რესტავრაციის, ლანდშაფტის არქიტექტურის, მონუმენტურ - დეკორატიული მოხატვის, არქიტექტურულ-დეკორატიული პლასტიკის, ქალაქებისა და დასასვენებელ ზონათა მონუმენტურ - დეკორატიული გაფორმების, ინტერიერის დიზაინის სპეციალობებზე** წერითი გამოცდა

ქართულ ენასა და ლიტერატურაში ჩატარდება პირველი სემესტრის დასასრულს, 2005 წლის იანვარში.

**ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სპეციალობაზე -**

ა.ქართული ენა და ლიტერატურა (წერითი გამოცდა)
ბ.ხელოვნების ისტორია (წერითი გამოცდა “რეფერატი”
დასავლეთ ევროპის, ან ქართული ხელოვნების ერთ ფერწერულ ნამუშევარზე)
გ. ხელოვნების ისტორია (ზეპირი გამოცდა)
დ. საქართველოს ისტორია (ჩათვლა-ზეპირი)

**კომპიუტერული ხელოვნების სპეციალობაზე -**
(ფასიანი სექტორი) მისაღები გამოცდების დაწყებამდე, გასაუბრებაზე სრულდება მოკლევადიანი მოცემულობები: ფერწერაში “ნატურმორტი” (ქაღალდი, წყლის საღებავები), ხატვაში “ თაბაშირის თავი “ - (ქაღალდი, ფანქარი), ხაზვაში (პროექციული ხაზვა). მოცემულობების შესრულების შემდეგ მოეწყობა ზეპირი გასაუბრება საერთო განათლებაში.

კომპიუტერული ხელოვნების სპეციალობაზე მაგისტრატურაში მიღება ჩატარდება 12-13 ივლისს, საგნები - ხატვა “ თაბაშირის თავი “, ან ტორსი (ქაღალდი, ფანქარი), ფერწერა “ ნატურმორტი” (ქაღალდი, აკვარელი), “კომპიუტერული გრაფიკა” (კომპიუტერული პროგრამები), გასაუბრება საერთო განათლებაში.

კომპიუტერული ხელოვნების ფასიან სექტორზე გასაუბრების შედეგად აბიტურიენტების I კურსზე ჩარიცხვა მოხდება მხოლოდ სასწავლო წლის სრული საფასურის გადახდის შემდეგ.

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან საშუალო განათლების მქონე პირები, ასაკის მიუხედავად.

გამოცდებზე მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა წარმოადგინონ: განცხადება ფორმის მიხედვით (სპეციალობის ზუსტი აღნიშვნით), საშუალო განათლების მოწმობის დედანი (დანართთან ერთად), სამედიცინო ცნობა გაიცემა აკადემიის ჯანმრთელობის პუნქტის მიერ, 6 დამოწმებული ფოტოსურათი 3X4, პასპორტს, მიწერის მოწმობას, ან სამხედრო ბილეთს წარმოადგენენ პირადად.

სახვითი ხელოვნებისა და დიზაინის ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე მისაღები გამოცდების დაწყებამდე აბიტურიენტები გაივლიან გასაუბრებას საშინაო ნამუშევრების წარმოდგენით და მოკლევადიანი დავალებების შესრულებით. გასაუბრების შედეგები აბიტურიენტებს ეცნობებათ მეორე დღეს.

**2004-2005 სასწავლო წლიდან და მომდევნო წლებში სამხატვრო აკადემიაში ჩარიცხულებზე განხორციელდება როტაციის (მონაცვლეობის) წესი საბიუჯეტო და ფასიანი სწავლების სტუდენტებს შორის.**
**როტაცია შეეხება ყველა სპეციალობას და სპეციალიზაციას.**

მისაღები გამოცდების ჩატარებასთან დაკავშირებით (გასაუბრება, გამოცდების ორგანიზება) გასაუბრების შედეგად დაშვებულმა აბიტურიენტებმა ბუღალტერიაში უნდა გადაიხადონ 25 ლარი აკადემიის მიერ ჯანმრთელობის ცნობის გაცემისათვის დამატებით 5 ლარი.

გამოცდებზე ჩაჭრილ და ჩარიცხვის გარეთ დარჩენილ აბიტურიენტებს შემოტანილი თანხა არ უბრუნდებათ.

განცხადებები მიიღება 21 ივნისიდან ყოველდღე (კვირის გარდა) 11 ივლისის ჩათვლით, 10 დან 14 საათამდე. გამოცდები დაიწყება ხუთშაბათს 15 ივლისს 9 საათზე.

აბიტურიენტებისათვის ღია კარის დღე ჩატარდება ხუთშაბათს 8 ივლისს, 12 საათზე სააქტო დარბაზში.

მისაღები გამოცდების შემდეგ ჩაურიცხავი, დადებითქულიანი აბიტურიენტები სურვილის მიხედვით, ა/წლის 20 აგვისტომდე სწავლის საფასურის გადახდის შემთხვევაში ჩაირიცხებიან ფასიანი სწავლების ჯგუფებში.

სამხატვრო აკადემიაში ფუნქციონირებს ფასიანი მოსამზადებელი კურსები, კურსები დაკომპლექტდება ა\15 სექტემბრიდან. მსურველებმა მიმართეთ კურსების დირექციას, ტ: 93-69-51.

მისაღები გამოცდების შესახებ დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სამხატვრო აკადემიის მიმღებ კომისიაში.

მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის N 22, ტელ. 93-54-11

*მიმღები კომისია.*

ფოსტა

# პროტესტი

უკვე რამდენიმე წელია, საქართველოს საზოგადოების სამოქალაქო სექტორის ნაწილი განგაშს ტეხს ჩვენს ქვეყანაში მომძლავრებული, ფაშიზმის ნიშნებით აღბეჭდილი რელიგიური და ეთნიკური ექსტრემიზმის გამო.

ჩვენ თანამოაზრეებთან ერთად არაერთხელ მივმართეთ უმაღლეს საერო და სასულიერო პირებს, პოლიტიკოსებს, მასმედიას - ყურადღება გაემახვილებინათ ამ უკიდურესად საშიშ და სამარცხვინო ტენდენციაზე, რაც სისტემატიურად ვლინდება როგორც ყოფით, ასევე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

4 ივნისს დეკანოზ გიორგი ჩაჩავაზე განხორციელებული თავდასხმა მხოლოდ ერთადერთია დანაშაულთა იმ გრძელი სიიდან, რასაც ადგილი აქვს ბოლო წლების საქართველოში.

ასეთი ვანდალიზმი აღარაა გასაკვირი, თუკი პარლამენტშიც ფაშისტური ცნობიერების გამოვლინებებს ვხედავთ. მხედველობაში გვაქვს 10 ივნისს პარლამენტარ გოჩა ფიფიას ამაზრზენი გამოხდომა, როდესაც მან მთავრობის წევრთა ეთნიკური და რელიგიური მიკუთვნებულობის გამორკვევა მოინდომა.

ყოველი ასეთი გამონათქვამი პოლიტიკოსისა თუ სასულიერო პირის მხრიდან ლახვარს სცემს ჩვენი, ისედაც პრობლემებით დამძიმებული, მულტიეთნიკური და მულტირელიგიური სახელმწიფოს შინაგანი გამთლიანების პერსპექტივას.

დაუშვებლად მიგვაჩნია ასეთი ადამიანის ყოფნა საქართველოს პარლამენტში.

საერთოდ, დროა, საქართველოს ხელისუფლებამ ადეკვატური რეაგირება მოახდინოს ჩვენი ქვეყნისთვის უკვე დამახასიათებელ ნიშნად ქცეულ ეთნიკური და რელიგიური შეუწყნარებლობის იდეოლოგიასა და პრაქტიკაზე.

*გიორგი ანჩაბაძე - პროფესორი, ისტორიკოსი*
*ნაირა გელაშვილი - მწერალი*
*გიორგი ხუციშვილი - პოლიტოლოგი, პროფესორი*
*ია ანთაძე - ჟურნალისტი*
*შოთა იათაშვილი-ბუტკოვსკი - მწერალი*
*თამარ ჩიქოვანი - ჟურნალისტი*
*ნუკრი აბაშიძე - მწერალი*
*სოზარ სუბარი - ჟურნალისტი*
*გია სიამაშვილი - ფილოსოფოსი*
*თამარ კინწურაშვილი - ჟურნალისტი*
*მერაბ ბასილაია - ჟურნალისტი*
*მიხეილ ბეროშვილი - გერმანისტი*
*ლელა გაფრინდაშვილი - ფილოსოფოსი*
*ხელმოწერები გრძელდება*

# ჩვენი არჩევანი

ყველამ იცის, რომ ნებისმიერი ჟიური სუბიექტურია თავის არჩევანში. უმეტესად ჟიურის არჩევანი ჩვენი არადანია.

2004 წლის 26 მაისს ქ. თბილისში, ცისფერ გალერეაში ჟიურიმ საზოგადოებას გააცნო თავისი არჩევანი. მან გამოავლინა კონკურსში გამარჯვებული საუკეთესო მემორიალი (მონუმენტი), რომელიც მთავრობის სახლის წინ უნდა "აღიმართოს" ეროვნული ერთიანობისა და თანხმობის სიმბოლოდ (პროექტის ავტორი კახა ქორიძე).

ჟიურის არჩევანი ჩვენი სიხარულის საბაბად იქცა. ჩვენ გაგვიხარდა, რომ თბილისი (ჟიურის გადაწყვეტილებიდან გამომდინარე) აღარ დამძიმდება "ხელოვნების ნიმუშით". რუსთაველის პროსპექტი, მთავრობის სახლის წინამდებარე ტერიტორია გადაიქცევა ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ ადგილად, სადაც მარტო ჩავლა კი არა, მისვლა გაგვიხარდება ჩვენც და, იმედია, ჩვენს შთამომავლობასაც. ეს ადგილი გადაიქცევა თბილისიდან სამშობლოში დაბრუნებული უამრავი უცხოელი ტურისტის ერთ-ერთ მომხიბლავ მოგონებად საქართველოს დედაქალაქზე.

კარგია, როდესაც კარგი გემოვნება და ზუსტი კონცეფცია რეალიზდება ერის თანხმობისა და ერთიანობის მონუმენტად შენი ქალაქის მთავარ ქუჩაზე, მთავრობის სახლის წინ. გიხარია, როდესაც ასეთი პროექტი იქმნება და ის "სუბიექტური" ჟიურის არჩევანია და შენი არადანი არ არის. სასიხარულოა, როდესაც კომისიის წევრთა ხედვა საქართველოს უბრალო მოქალაქეთა ხედვას ემთხვევა. აქ გემოვნების, აზროვნების, ცნობიერების თანხვედრაზეა საუბარი და არა იმაზე, თუ ვის უფრო უყვარს სამშობლო თუ დედაქალაქი.

ადამიანები ვართ და ადამიანურად ადვილად გვესმის იმ ადამიანების, ვინც იშრომა, კონკურსში მონაწილეობა მიიღო და ვისაც 15 წელი მცირე დროდ მოეჩვენა (1989 წლის 9 აპრილიდან 15 წელი გავიდა).

მთავრობის სახლის წინ მიმოფანტული იქნება 17 ფილა, რომლებიც ძალიან ფაქიზად 9 აპრილს შეწირულებს გაგვახსენებს. 17 ფილა, რომლებიც დღისით რუსთაველის პროსპექტზე ფეხით მოსიარულეს ფეხს აგირევს, ფერით და ფაქტურით განსხვავებული ზედ ფეხს არ დაგადგმევინებს, დაგახედებს, სადაც მზის სხივებთან, ცის ნაგლეჯთან ერთად შენც აირეკლები, რაც თვითირონიით გამოწვეული ღიმილით გაგაღიმებს, დაგაფიქრებს და შეგახსენებს, რომ შენც ერთ-ერთი მეჩვიდმეტე ხარ და შენც ერთობის და თანხმობის აუცილებელი მონაწილე ხარ - ეს დღისით.

ღამით ამ 17 ფილიდან მკრთალი ნათება ამოდის. დღის მზით გამთბარი დედამიწა ღამით მცირედ, მაგრამ მაინც გვიბრუნებს დაგროვილ სითბოს...

მეტი ლირიკა რომ აღარ გამოგვივიდეს, გვიხარია, რომ რუსთაველის პროსპექტზე მთავრობის სახლის წინამდებარე ტერიტორია სადად და ზუსტად მიგვიზიდავს 24 საათის განმავლობაში.

გვიხარია, რომ ჟიურის არჩევანი ჩვენი არადანი არ არის.

იმედი გვაქვს, ეს შემთხვევითი გამონაკლისი კი არა, ჩვენთვის, ყველასათვის აუცილებელი ახალი რეალობის ტენდენციაა.

*პატივისცემით, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები:*
*დ. ერისთავი - ექიმი*
*ლ. ღლონტი - რეჟისორი*
*შ. თევდორაძე - არქიტექტორი*
*ა. დარჩიაშვილი - პოეტი*
*ო უგრეხელიძე - ხელოვნებათმცოდნე*
*თ. ხატიაშვილი - კინომცოდნე*
*გ. წულაძე - მხატვარი*
*კ. ყუბანეიშვილი - პოეტი*
*ნ. ქათამაძე - მომღერალი*
*დავით აბულაძე, ნიაზ დიასამიძე*
*ვახო ბაბუნაშვილი, ნიკა შველიძე*
*გიორგი შენგელაია - კინორეჟისორი*
*ილიკო სუხიშვილი, ოთარ ბაგრატიონი, სალომე ზაქარაია*

# "ვარდების რევოლუცია" მედიცინაში

თამარ დვალი

*"ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, ვაცხადებ, რომ ვიწყებთ ვარდების რევოლუციას მედიცინის სფეროში. წლის ბოლომდე მეყოფა დრო, ფეხით შემოვიარო ყველა დაწესებულება, ვნახო მედპერსონალი და გავიგო, თუ რას ფიქრობენ ისინი ამ დარგის განვითარებაზე. ამიერიდან ყველა სამედიცინო დაწესებულებაში ხელმძღვანელების არჩევა მოხდება და არა დანიშვნა. ეს არის ჩემი დიდი ხნის იდეა, რომლის განხორციელებასაც წლების განმავლობაში ველოდი. დღეს პირველად მეძლევა მისი განხორციელების შესაძლებლობა", - განაცხადა გუშინ ტუბერკულიოზის ეროვნულ ცენტრში მისულმა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ვლადიმერ ჭიპაშვილმა.*



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*ჭიპაშვილი რევოლუციას საკადრო ცვლილებებით იწყებს.*

მედიცინის სფეროში დაწყებული ცვლილებები, რომელიც ვლადიმერ ჭიპაშვილმა ვარდების რევოლუციად მონათლა, გუშინ დაიწყო და წლის ბოლომდე დასრულდება. ტუბერკულიოზის ეროვნულ ცენტრში ჩატარებული სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები რევოლუციის დასაწყისია. ამიერიდან თითოეულ სამედიცინო ცენტრში ხელმძღვანელების არჩევა კოლექტივის მიერ მოხდება. **"მოქმედი კანონმდებლობით, მე მაქვს უფლება საკუთარი შეხედულებისამებრ წარვადგინო კანდიდატურტები და არ შევეკითხო კოლექტივს, თუმცა ეს მართებულად არ მიმაჩნია. სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც მიუღებელი იყო თქვენთვის და ნერვოზულ ატმოსფეროს ქმნიდა კოლექტივში, აღარ არსებობს. დღეს საბჭოს წევრები ახალი პრინციპებით დაკომპლექტდება. ეს არის ჩემ მიერ დეკლარირებული პრინციპები. როდესაც ადამიანი ზემოდან ინიშნება, ის ყოველთვის დამნიშნავის მიმართ გრძნობს პასუხისმგებლობას, კოლექტივის მიერ არჩეულ პირებს კი კოლექტივის მიმართ ექნებათ პასუხისმგებლობა",** - განაცხადა ვლადიმერ ჭიპაშვილმა. მისივე თქმით, ეს მეთოდი ყველა სამედიცინო დაწესებულებაზე გავრცელდება.

შეგახსენებთ, რომ ტუბერკულიოზის ეროვნული ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გიორგი ხეჩინაშვილი რამდენიმე კვირის წინათ, კოლექტივის მოთხოვნით, გაათავისუფლეს. მედ-პერსონალი მას უმოქმედობასა და ქონების მიტაცებაში ადანაშაულებდა. სამეთვალყურეო საბჭოს ახალ თავმჯდომარეს ახლადარჩეული საბჭოს წევრები აირჩევენ. გუშინ ვლადიმერ ჭიპაშვილმა კოლექტივის მიერ მოწონებული ოთხი კანდიდატურა დაასახელა: ნანა ქირია, მარიკა ერისთავი, ლამარა ვაშაკიძე, კახა ვაჭარაძე. თითოეული მათგანი სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად ერთხმად აირჩიეს. იმ შემთხვევაში, თუკი რომელიმე კანდიდატი კოლექტივისთვის მიუღებელი იქნებოდა, მინისტრი კოლეგებს მათ მოხსნას ჰპირდებოდა, თუმცა პროტესტი არავის გამოუთქვამს.

ახლად არჩეული საბჭოს წევრები აქამდე დაშვებული შეცდომების გამოსწორებით გეგმავენ მუშაობის დაწყებას: **"უპირველესად აღვადგენთ იმ დაკარგულს, რისი გაკეთებაც წლების განმავლობაში შეიძლებოდა და არ გაკეთებულა. ეს არის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მედ-პერსონალის სამუშაო თუ მატერიალური პირობების გაუმჯობესება",** - აღნიშნეს საბჭოს წევრებმა.

მინისტრმა კოლეგებს კიდევ ერთი ხელმძღვანელი წარუდგინა - არჩილ სალაყაია, რომელიც, უკვე ორი წელიწადია, ცენტრის აღმასრულებელი დირექტორია. კოლექტივის თანხმობით, სალაყაია კვლავ გააგრძელებს თავის საქმიანობას და, მინისტრის გადაწყვეტილებით, ამიერიდან ტუბერკულიოზის ეროვნულ პროგრამასაც უხელმძღვანელებს.

**"მადლობას ვუხდი ჩემს კოლექტივს ასეთი ნდობის გამოცხადებისთვის. უმთავრესი, რაც ტუბერკულიოზის ეროვნული პროგრამის ფარგლებში გაკეთდა, არის ის, რომ ქვეყანამ აიღო ორიენტაცია საერთაშორისო სტრატეგიის განხორციერლებაზე. ეს არის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული სტრატეგია. აქამდე პრობლემები სტრატეგიის ადეკვატურად განხორციელებას უკავშირდებოდა. ვეცდები, მუშაობა უკეთ გავაგრძელო",** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას არჩილ სალაყაიამ.

# ჩარლი ჩაპლინი არასრულწლოვანთა კოლონიებსაც გაახალისებს

*საბავშვო კინოცენტრი "ფიფქია" და სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა ცენტრი არასრულწლოვანთა კოლონიებში საინტერესო პროექტის განხორციელებას გეგმავენ. აღმზრდელობითი დაწესებულებების კონტინგენტთან კონტაქტის დამყარებაში პროექტის ავტორებს ქართული კინოარქივიდან მოპოვებული ფირები დაეხმარება. ეს პროექტი დაეხმარება კოლონიის აღსაზრდელებს, სამომავალოდ დასაქმების თვალსაზრისით, საკუთარი შესაძლებლობები გააცნობიერონ.*

ნანა ქადაგიშვილი

"საქართველოს იუსტიციის სამინისტროს არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულების მოზარდთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია და ინტეგრაცია" - ასე ჰქვია აღნიშნულ პროექტს, რომლის შექმნის იდეა "ფიფქიას" ხელმძღვანელებს მსგავსი პროექტის ქუთაისის სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატში წარმატებით განხორციელებამ შთააგონა. ეს სკოლა-ინტერნატი ოთხ რეგიონს ემსახურება: იმერეთს, გურიას, აჭარასა და სამეგრელოს. **"ბავშვები ოთხ კედელს შორის არიან გამომწყვდეულნი. დაწესებულებას ერთი მანქანა არ ჰყავს, რომ პატარები სადმე გაიყვანოს. ჩვენი ჩასვლის შემდეგ ბავშვები გამოცოცხლდნენ. ექსკურსიებზე დაგვყავდა, ფილმებს ვაჩვენებდით. პატარებს ჭამა ავიწყდებოდათ, ისე ერთობოდნენ. აქამდე მხოლოდ ხეებს ხატავდნენ, ფილმების ნახვის შემდეგ კი ჩარლი ჩაპლინისა და ერთმანეთის კარიკატურების ხატვა დაიწყეს. პირველ ივნისს მათი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვაც მოვაწყეთ",** - ამბობენ "ფიფქიას" ხელმძღვანელები, რომლებმაც ქუთაისის სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელების ნამუშევრები - ჩარჩოებში ჩასმული კარიკატურები, ჩარლის პორტრეტები და ნაჭრისგან შეკერილი ფერად-ფერადი ჩანთები - გუშინ სახალხო დამცველის ოფისში მოწყობილ შეხვედრაზეც წარადგინეს.

სკოლა-ინტერნატის გარდა, "ფიფქიას" წარმომადგენლებმა, თითქმის, მთელი დასავლეთ საქართველო შემოიარეს და სოფლების მოსახლეობას ჩარლი ჩაპლინის და ცნობილი ქართველი რეჟისორების მიერ გადაღებული ფილმები აჩვენეს. ბავშვები ყველაზე ხშირად კომბლეს ზღაპრის ჩვენებას ითხოვდნენ, უფროსები კი - "ქეთო და კოტე"-ს. **"ქართველი რეჟისორების უნიკალური ფილმები გვაქვს. ფირები არქივიდან დიდი წვალების შედეგად მოვიპოვეთ. ჩარლი ჩაპლინის ფილმების 22 ფირი გვაქვს. გარემოს მოწყვეტილი პატარებისთვის ამ ყველაფრის ჩვენება უდიდესი სიხარულია. კოლონიების აღსაზრდელებთანაც საერთო ენის გამოსანახად იმედს სწორედ ამ ფილმებზე ვამყარებთ",** - აცხადებენ "ფიფქიას" წარმომადგენლები ქეთევან ფირცხალავა და ლალი გორგასლიძე.

ფილმების ჩვენების პარალელურად, პროექტის ავტორები კოლონიის აღსაზრდელებს ნელ-ნელა გაეცნობიან და თითოეული მათგანის უნარ-ჩვევების შესახებ სრულ ინფორმაციას შეაგროვებენ. **"ეს მათაც დაეხმარება და ჩვენც. ცხოვრებისგან დაჩაგრული ბავშვები საკუთარ შესაძლებლობებსა და ინტერესებში გაერკვევიან. ჩვენ კი საშუალება გვექნება, კოლონიიდან გამოსვლის შემდეგ, შესაძლებლობების შესაბამისად, მათ დასაქმების ადგილი მოვუძებნოთ. დასაქმება დღეს ძალიან ჭირს, მაგრამ ყველანაირად ვეცდებით, ეს პირობა შევასრულოთ",** - აცხადებენ პროექტის ავტორები.

"ფიფქიასა" და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები ბიზნესმენებსაც მოუწოდებენ, აღნიშნული პროქტის განხორციელებაში მიიღონ მონაწილეობა, - იქნებ ვინმემ არასრულწლოვანთა კოლონიებში ბიბლიოთეკების შექმნაზე მაინც იზრუნოსო.

# აუნთებელი ლამპიონების ქუჩები

*რუსთაველებს ზუსტად აღარ ახსოვთ, ბოლოს როდის იყო ქალაქის ქუჩები განათებული და როდის შეიძლებოდა ღამის საათებში ფეხით უსაფრთხოდ გადაადგილება. დღეს მხოლოდ რამდენიმე ცენტრალურ ქუჩას ანათებს ქალაქისთვის გრაფიკით მიწოდებული ელექტროენერგია. რუსთავის ქუჩების უმეტესობა კი მწუხრის დადგომისთანავე უკაცრიელდება.*

ნონა ყანჩაველი

"ქურდს რა უნდა და - ბნელი ღამეო" - ეს ხალხური სიბრძნე უმრავლესობამ უკვე თავის თავზე გამოსცადა. ზამთარ-ზაფხულ ხალხი უკვე მიეჩვია ქუჩებიდან შემოსული განწირული ქალის კივილს, რომელსაც ან ჩანთას სტაცებენ ან სამკაულს ართმევენ. თუმცა, ქურდბაცაცები არც ჩასაცმელზე ამბობენ უარს და ზამთარში, შეიძლება, თბილი სამოსიც გაგხადონ.

ქალბატონ მელანო წ-ს, მართალია, ვერაფერი წაართვეს, მაგრამ ახლაც შიშით იხსენებს იმ საღამოს, მეზობელ ქალთან ერთად XVII მიკრორაიონში მიმავალს ზურგიდან რომ მიეპარნენ მძარცველები: **"ბედზე, პოლიცია შეგვესწრო და გადავრჩით. ახლა, შებინდდება თუ არა, ბინიდან გარეთ ფეხს ველარ ვდგამ, მით უმეტეს - მარტო. ჯერ კიდევ ისეთი შიში მაქვს, ალბათ, ცხოვრების ბოლომდე ვერ მოვიშორებ".** არც 22 წლის სტუდენტ თამუნა კ-ს დავიწყებია ის საღამო, როდესაც თბილისიდან სახლში დაბრუნებულს საკუთარი ბინის ჩაბნელებულ შესასვლელში ჩანთა გამოსტაცეს ხელიდან. **"იმდენად მოულოდნელად ჩამეჭიდა ჩანთაზე ვიღაც, რომ დაბნეულობისაგან ჩანთასაც კი ვერ გავუშვი ხელი; ისე გამოვიქეცი, მასზე ჩაბღაუჭებული პირიც თან გამოვიყოლე და სადარბაზომდე ასე მივირბინე. ახლა რომ ვიხსენებ, სიმწრით მეცინება",** - იხსენებს სტუდენტი.

მსგავსი შემთხვევები არც პირველია, არც უკანასკნელი და, ამას რომ ჩაბნელებული ქუჩებიც ერთიათად უწყობს ხელს, ცხადია. ისიც სათქმელია, რომ ქალაქის ზოგიერთ უბანში პატარ-პატარა ორმოებად ქცეული იმდენი მოუწესრიგებელი ტროტუარია, დღის სინათლეზეც კი შეიძლება გამვლელმა კისერი მოიტეხოს.

როგორც რუსთავის მერიაში გვიპასუხეს, გარეგანათებას ელექტროენერგიის დავალიანება არა აქვს და საგადასახადო თანხაც ყოველთვის დროულად ერიცხება. შპს "გარეგანათების" დირექტორმა პეტრე ხვიჩიამ კი განგვიმარტა: **"ქალაქის ბიუჯეტში ყოველთვის არის გამოყოფილი შესაბამისი თანხა გარეგანათების ხარჯების დასაფარავად. რუსთავის ქუჩების ჩაბნელების მიზეზი სულ სხვაა - გაძარცულია ელექტროგაყვანილობა, მოპარულია ალუმინის 150 კმ სიგრძის ელექტრომავთული, რომლის აღუდგენლად, რა თქმა უნდა, ამ პრობლემას ვერ გადავჭრით".**

ბატონმა პეტრემ გაგვაცნო, ასევე, რუსთავის გარეგანათების ხუთწლიანი გეგმა, რომლის განხორცილებაც 2002 წლიდან დაიწყო. გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები, ძირითადად, სრულდება. **"2002 წლიდან ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში დავიწყეთ და აღვადგინეთ გარეგანათება,** - გვითხრა მან, - **მაგრამ, მოგეხსენებათ, ეს არ კმარა. ვიცით, რამდენად აუცილებელია თითოეული ქუჩის განათება, რადგან ღამით სიბნელეში ხშირია "დახვედრები", ძარცვა, ჩხუბი და სხვა უბედურებები; მერიისაგან მივიღეთ მითითება, რომ აღგვედგინა და გაგვეკეთებინა, ასე ვთქვათ, მეორეხარისხოვანი ქუჩების ელექტროგადამცემი ხაზები. მეტწილად, ახალი მავთულებია გასაჭიმი. წელს თხუთმეტი ქუჩის განათება გვაქვს დაგეგმილი. რვა უკვე აღვადგინეთ, დანარჩენებსაც აუცილებლად გავაკეთებთ. თანხები გამოყოფილია კაპიტალური მშენებლობისთვისაც და რემონტებისთვისაც; აღდგენითი სამუშაოები უკვე მიმდინარეობს".**

თუ ნათქვამს ვერწმუნებით, ორ-სამ წელიწადში რუსთავის ქუჩებს ანთებული ლამპიონები ეღირსება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## განცხადება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში საგანმანათლებლო დაწესებულებათა ატესტატებისა და დიპლომების ფორმების გაცემა მოხდება ა. წ. 17 ივნისიდან შემდეგ გრაფიკით:

17 ივნისი - ქ. თბილისის საშუალო სკოლები;
18 ივნისიდან - სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებები და რაიონების განათლების განყოფილებები.

საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამისი უფლებამოსილი წარმომადგენლების მიღება იწარმოებს ა. წ. 17 ივნისისიდან, 10 საათიდან 18 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა შემდეგ მისამართზე:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო,

**დიმიტრი უზნაძის ქ. N52, ოთახი N112,**
**საკონტაქტო ტელეფონი: 95-80-71**

**საქართველოს დეველოპერთა (მენაშენეთა) ასოციაცია**
(არსი, აქსისი, ცენტრ-პოინტი, კიდ არქიტექტურა, კად სტუდიო, იბერია კონსტრაქშენი,
**ბაგები 2002, მაგი-სტილი, საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების ფონდი, არქსტუდია)**
**აცხადებს ვაკანსიას**

**ორგანიზაცია: საქართველოს მენაშენეთა ასოციაცია**
**თანამდებობა: - ასოციაციის აღამსრულებელი მენეჯერი (Managing Director) - გენერალური მდივნის მოადგილე**

**განათლება**
MBA

**დისციპლინები**
- ფინანსური ანალიზი
- მარკეტინგი
- მენეჯმენტი
- მოლაპარაკებები
- რეკლამა და PR

**პროფესიული უნარები**
- კადრების მართვა
- მარკეტინგული პოლიტიკის განვითარება და განხორციელება
- მარკეტინგული PR ღონისძიებების ორგანიზება
- ურთიერთობების წარმართვა PR და სარეკლამო კომპანიებთან
- ურთიერთობების წარმართვა სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებთან
- დაგეგმვა
- წინადადების/პროექტის მომზადება/ფორმირება

**პირადი თვისებები**
- ანალიზის უნარი
- ორგანიზატორული უნარები
- პუნქტუალობა
- მიზანსწრაფულობა
- კომუნიკაბელობა
- რაციონალური დარწმუნების უნარი
- ენერგიულულობა

**ტექნიკური უნარები**
- კომპიუტერი: (MS Office, Word, Excel)
- ენები: ინგლისური, რუსული - სრულყოფილად

**ასაკი:**
- 25-დან 40 წლამდე

**სტაჟი და რეკომენდაცია**
- სამწლიანი სამუშაო გამოცდილება მენეჯმენტისა და/ან მარკეტინგის სფეროში
- მიზანშეწონილია საერთაშორიოს კომპანიის ან/და ორგანიზაციის რეკომენდაციიის წარმოდგენა
- რეკომენდაციაში ჩამოთვლილი უნდა იყოს მენეჯერის თვისებები, რომლებიც გამოდგება შემოთავაზებული სამუშაოს შესრულებისას.

**ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით 18 ივნისამდე,**
**ტელ: 25 31 88**
**info@arci.ge**

# პატიმართა გაქცევა გეგუთიდან





*გეგუთიდან გაქცეული ექვსი პატიმარი დააკავეს.*

*14 ივნისს, დაახლოებით ღამის 12 საათზე, წყალტუბოს რაიონის სოფელ გეგუთის ტერიტორიაზე მდებარე კოლონიიდან 41 პატიმარი გაიქცა. ასეთი მასშტაბური გაქცევა გეგუთის კოლონიიდან არასოდეს განხორციელებულა. გაქცევისას პატიმრებმა ავტომატური იარაღიდან ბადრაგის მისამართით ცეცხლი გახსნეს. მიუხედავად ამისა, დაცვის მხრიდან მათ წინააღმდეგობა, ფაქტობრივად, არ შეხვედრიათ. პატიმრების მიერ ატეხილი სროლის შედეგად დაცვის ერთი თანამშრომელი დაიღუპა. სამართალდამცველების განმარტებით, სასჯელის დამატების შიში რომ არა, გუშინ გეგუთის კოლიიდან პატიმრების სრული შემადგენლობა გაიქცეოდა.*

ბექა სისაური
*ქუთაისი*

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, სროლა გეგუთის კოლონიის ტერიტორიაზე ღამის 11 საათსა და 30 წუთზე გაისმა. პატიმრები ავტომატური იარაღიდან დაცვის პერიმეტრის კოშკურების მიმართულებით ისროდნენ. სავარაუდოდ, კოლონიის ბინადრებმა იცოდნენ, რომ სროლის შემთხვევაში, ბადრაგისგან განსაკუთრებულ წინააღმდეგობას არ წააწყდებოდნენ. სამართალდამცველების განმარტებით, სროლა, დაახლოებით, 15 წუთს გრძელდებოდა. პატიმრების ვარაუდი გამართლდა, კოლონიის დაცვამ მათ არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწია, უფრო მეტიც, მიმალვით უშველეს თავს. ჯერჯერობით გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა დაცვის თანამშრომელი იაგო რობაქიძე. ის გაქცეულ პატიმრებს კოლონიის შიდა ტერიტორიაზე უიარაღოდ შეეჩეხა, რა დროსაც გულ-მკერდისა და ყელის არეში დაჭრეს. ჩვენი ინფორმაციით, იაგო რობაქიძემ გაქცევის შესახებ შეიტყო, თუმცა, პატიმრებისკენ უიარაღოდ რატომ გაეშურა, უცნობია. იაგო რობაქიძე (იგი კოლონიის უფროსის ბიძაშვილია) საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. გავრცელებული ვერსიების მიხედვით, პატიმრებმა კოლონიის კოშკურაზე ასვლა მოახერხეს, საიდანაც ბეტონის ღობეზე გადახტნენ. მეორე ვერსიით კი, მათ ბეტონის სამმეტრიან ღობეს კიბე მიადგეს და ამ გზით დატოვეს კოლონია.

ბუნებრივია, 41 პატიმრის მიერ კოლონიის ტერიტორიის დატოვებას, ციხის პერიმეტრამდე მიღწევასა და ვიწრო კიბის საშუალებით მის გადალახვას გარკვეული დრო დასჭირდებოდა, რა დროსაც დაცვის სამსახურს მათი მისამართით ცეცხლის გახსნა შეეძლო. თუმცა, სად იყვნენ და რას აკეთებდნენ დაცვის თანამშრომლები ამ დროს, ჯერ კიდევ გარკვეული არ არის. სამართალდამცველები მომხდარზე ოფიციალურ კომენტარს არ აკეთებენ. პირად საუბრებში კი მიუთითებენ, რომ საბადრაგო სამსახურის წევრებს შეეშინდათ და დაიმალნენ. არც ის არის გამორიცხული, რომ ისინი პატიმრების მიერ წინასწარ იყვნენ მოსყიდულნი.

შემთხვევიდან დაახლოებით სამოთხ საათში უკვე ადგილზე იყვნენ შინაგან საქმეთა, უშიშროების მინისტრები და გენერალური პროკურორი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ განგაში მთელი საქართველოს მასშტაბით გამოაცხადა. მობილიზებული იქნა ტყიბულის, ქუთაისის და ზუგდიდის შინაგანი ჯარის ნაწილები. შემთხვევის ადგილზე გადაისროლეს გულუას სპეცდანიშნულების რაზმიც. დღის პირველ ნახევარში გეგუთისა და მიმდებარე სოფლების თავზე ვერტმფრენები სამძებრო სამუშაოებს აწარმოებდნენ. ირაკლი ოქრუაშვილმა პატიმრებს ნებაყოფლობით ჩასაბარებლად ორდღიანი ვადა მისცა. **"თუ ამ პერიოდში ისინი ნებაყოფლობით ჩაგვბარდებიან, მათ მიმართ მკაცრ ზომებს არ გამოვიყენებთ,"** - განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა. გატარებული ღონისძიებების შედეგად, სამი პატიმრის დაკავება ღამის სამი საათისთვის მოხერხდა. ერთი მათგანი მდინარე რიონის მიმდებარე ტერიტორიაზე იპოვეს, მეორე კი გეგუთთან არსებულ ჭაობში ნახეს. გაქცევის მომენტში გეგუთის კოლონიაში 550 პატიმარი იმყოფებოდა. გამოძიებას უკვე გამოკვეთილი ჰყავს ორგანიზატორიც, თუმცა მათი ვინაობა, ჯერჯერობით, გასაიდუმლოებულია. მასშტაბურ გაქცევას საფუძვლად არ დადებია კოლონიის ხელმძღვანელობასთან ან პატიმრებს შორის კონფლიქტი. კოლონიაში იმყოფება ერთადერთი კანონიერი ქურდი გია ზვიადაძე, რომელიც ქუთაისის საოლქო სასამართლოს მოსამართლეების ცემის გამო იხდის სასჯელს. მას ივლისის ბოლოს კოლონიიდან გათავისუფლება უწევს. შესაძლოა, იგი სწორედ ამის გამო არ გაიქცა. თუმცა, ე. წ. ქურდული კანონების თანახმად, იგი გაქცეულებს ყველა შემთხვევაში უნდა გაჰყოლოდა. ზვიადაძე, თურმე, თავს იმართლებს, არაფერი ვიცოდიო. საინტერესოა ისიც, რომ გაქცეულებს შორის არის ორი პირი, რომელთაც გათავისუფლებამდე სულ ათი დღე ჰქონდათ დარჩენილი. გეგუთის კოლონიაში, ძირითადად, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებისთვის გასამართლებულები იხდიან სასჯელს. მათ შორის არიან ძმები გიორგაძეები, რომელთა მიერ ჩადენილი თითოეული ყაჩაღობა მკვლელობის თანხლებით ხორციელდებოდა.

კოლონიის ხელმძღვანელი ამბერკი რობაქიძე გაქცევის გარედან ინსპირირებას გამორიცხავს, მისი განმარტებით, კოლონიაში იარაღი ჯერ კიდევ 2001 წლიდან იყო შემორჩენილი (2001 წელს კოლონიიდან ერთი პატიმარი გაიქცა). ცნობისათვის: გეგუთის კოლონიის გარე პერიმეტრს დაცვის 26 თანამშრომელი იცავს, შიდა ნაწილს კი, დაახლოებით, ორი ამდენი. მიუხედავად ამისა, პატიმრებმა კორპუსებიდან გამოსვლა, შიდა და გარე პერიმეტრების გადალახვა უპრობლემოდ შეძლეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გამოძიებას, ბუნებრივია, პრეტენზიები კოლონიის ხელმძღვანელობისა და დაცვის სამსახურის მიმართ გაუჩნდა. უკვე დაკავებულია საბადრაგო სამსახურის სამი თანამშრომელი. არ გამორიცხავენ, რომ კოლონიის ხელმძღვანელობის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს. გამოძიებას სამხარეო პროკურატურა აწარმოებს. დაცვის სამსახურის თანამშრომლების დაკავებას მათივე ახლობლები აპროტესტებენ, ისინი სამხარეო პოლიციასთან შეიკრიბნენ და აქცია მოაწყვეს. **"დაკავებულებს არავითარი სამუშაო პირობები არ გააჩნდათ, ხელფასი 85 ლარი ჰქონდათ, რომელსაც თვეების განმავლობაში უგვიანებდნენ,"** - აცხადებენ დაკავებული ბადრაგების ახლობლები. გუშინ სამართალდამცველებმა მხოლოდ 6 გაქცეულის დაკავება მოახერხეს. მათი ძებნა საქართველოს მთელი მასშტაბით მიმდინარეობს.

# მირცხულავას საქმით სტრასბურგის სასამართლო დაინტერესდა

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლომ წარმოებაში მიიღო სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის დავით მირცხულავას სარჩელი, რომელიც გასული წლის დეკემბერში თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით დააკავეს.

როგორც ბრალდებულის ადვოკატმა ეკა ბესელიამ განაცხადა, აღნიშნულთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლოდან ოფიციალური შეტყობინება უკვე მიიღეს, სადაც ასევე მითითებულია, რომ მათი საჩივარი რეგისტრაციაში გატარდა სახელწოდებით - "მირცხულავა საქართველოს წინააღმდეგ" და საქმეს უახლოესი შესაძლებლობისთანავე განიხილავენ. შეტყობინებაში მითითებულია, რომ საჭიროების შემთხვევაში გამოძახებული იქნება ადვოკატიც და ასევე, საქმის მიმდინარეობასთან დაკავშირებით შემდგომი დეტალების შეტყობინებას ითხოვენ.

რაც შეეხება მირცხულავას საქმის გამოძიების პროცესს, როგორც ბესელია აღნიშნავს, მათი საქმის გამომძიებელი ზაზა ქაჩიბაია, შს სამინისტროში გადაყვანასთან დაკავშირებით შეიცვალა და ახალი გამომძიებელი უახლოეს დღეებში დაინიშნება. ამასთან, პროკურატურაში აცხადებენ, რომ ისინი გამოძიებას დადგენილ ვადებში დაასრულებენ და საქმეს განსახილველად სასამართლოს გადაუგზავნიან.

თავად მირცხულავა, რომელსაც რამდენიმე კვირის წინ გაუკეთეს ოპერაცია, ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში იმყოფება. იგი დამატებით ონკოლოგიური ხაზითაც საჭიროებს შემოწმებას, თუმცა ამის თაობაზე იუსტიციის სამინისტროში გაგზავნილ მოთხოვნაზე ჯერ პასუხი არ მიუღიათ.

*პრაიმ-ნიუსი*




# რევოლუცია პოლიციაში გრძელდება

*ყოფილი შს მინისტრი გია ბარამიძე, რომელმაც საბჭოური სისტემის პოლიციის დემოკრატიულ რელსებზე გადაყვანა ვერ შეძლო, პროფესიონალმა იურისტმა და პრინციპულობით ცნობილმა, ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა ირაკლი ოქრუაშვილმა შეცვალა. "პროფესიონალიზმი პოლიციაში ძალიან დაბალ დონეზეა. იმაზე მძიმე მუშაობა მელის, ვიდრე აქამდე ვეწეოდი," - განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა, რომელსაც მინისტრის პოსტი ტყუილ-უბრალოდ არ ჩააბარეს - მან შსს-ს დანგრეული სისტემის აშენება და მისი დაკარგული იმიჯის აღდგენა უნდა შეძლოს. ის, რომ ირაკლი ოქრუაშვილი სწორი საკადრო პოლიტიკის გამტარებელია და რომ სარეფორმო ზუსტი სვლების გაკეთებაც შეუძლია, ამის დასტურად გენერალური პროკურატურის თავკაცად მისი 4-თვიანი, ხოლო შსს-ში მისი ერთკვირიანი საქმიანობა გამოდგება.*

პირველი გვერდიდან

პრეზიდენტის გადაწყვეტილებით განხორციელებული თანამდებობრივი გადაადგილების შემდეგ, ფაქტობრივად, ერთადერთი უწყება, სადაც რევოლუციური საკადრო ცვლილებები განხორციელდა, შინაგან საქმეთა სამინისტროა. შს ახალმა მინისტრმა საქმიანობის ერთი კვირის თავზე სისტემაში უკვე სამოცზე მეტი თანამდებობის პირი შეცვალა და თუ ახალ დანიშვნებში მოყოლილ არასასურველი იმიჯის მქონე რამდენიმე ჩინოსანს არ ჩავთვლით, ირაკლი ოქრუაშვილის საკადრო პოლიტიკა მართლაც დადებითად შეიძლება შეფასდეს. შს ახალმა მინისტრმა აჩვენა, რომ იმ სისტემის "გაკეთილშობილება", რომლის რეფორმირებასა და სწორი საკადრო პოლიტიკის განხორციელებაზე მისი წინამორბედები ძალზე ბევრს წუწუნებდნენ, თურმე, შესაძლებელი ყოფილა.

ირაკლი ოქრუაშვილის გადაწყვეტილებით, შსს-ს პოლიტიკის განმსაზღვრელ სტრატეგიულ თანამდებობებზე გენერალური პროკურატურის ის კვალიფიციური კადრები დაინიშნენ, რომელთა კრიტიკაც, ცოტა არ იყოს, გაჭირდება. ამ კატეგორიაშია პროკურატურის კადრი, შს მინისტრის ახალი პირველი მოადგილე, ოქრუაშვილის გენპროკურორობის დროს მისი პირველი მოადგილე, მანამდე თბილისის პროკურორის მოადგილე, თავის დროზე კი, იუსტიციის მინისტრის მოადგილე გიორგი ჯანაშია, რომელიც კვალიფიციური იურისტისა და პატიოსანი პიროვნების იმიჯით არის ცნობილი.

ასეთივე სტატუსით სარგებლობს პროკურატურის კიდევ ერთი კადრი - შსს-ს საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამმართველოს ახალი ხელმძღვანელი, დასავლური იმიჯის მქონე სერგო ძაგნიძე. იგი წლების მანძილზე გენერალური პროკურატურის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამმართველოს უფროსი გახლდათ; შემდეგ - უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის უფროსი; მოგვიანებით კი - კანონიერების და კონსტიტუციური წყობის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე; ბოლო პერიოდში იგი ირაკლი ოქრუაშვილმა გენერალურ პროკურატურაში სამართლებრივი უზრუნველყოფისა და საერთაშორისო ურთიერთობის სამმართველოს უფროსად დანიშნა. შსს-ს საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამმართველოს ახალი ხელმძღვანელის, სერგო ძაგნიძის პირად საქმეს, სხვა პროფესიულ წარმატებებთან ერთად, FBI-ის გენერალური დირექტორის მიერ გაცემული უმაღლესი სერთიფიკატიც ამშვენებს - დსთ-ს ქვეყნებში პირველი "ფებეერელის" სტატუსი სწორედ სერგო ძაგნიძეს აქვს.

ახალი უფროსი ჰყავს შსს-ს გენერალურ ინსპექციასაც. ამ თანამდებობაზე გენერალური პროკურორის საგამოძიებო ნაწილის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ყოფილი გამომძიებელი, შემდეგ - საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილე ზაზა ქაჩიბაია დაინიშნა. ქაჩიბაია პროკურატურაში წლების მანძილზე მუშაობდა და გენერალურ პროკურატურაში გახსნილ რეზონანსულ საქმეთა ნაწილი სწორედ მისი გამოძიებულია. ირაკლი ოქრუაშვილის გენერალური პროკურორობის დროს ზაზა ქაჩიბაია თითქმის ყველა გახმაურებული საქმის საგამოძიებო ჯგუფს ხელმძღვანელობდა. გენერალურ პროკურატურაში იგი ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა გამომძიებელი იყო, რომელმაც 24 წლისამ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, დაამთავრა ასპირანტურა და პარალელურად დაამთავრა ფილოსოფიის ფაკულტეტიც. ზაზა ქაჩიბაია ყოველთვის წესიერი იმიჯის მქონე სერიოზული პროფესიონალის რეპუტაციით სარგებლობდა. სხვათა შორის, შსს-ს გენერალური ინსპექციის ახალმა უფროსმა დამნაშავე პოლიციელთა თაობაზე უკვე ორი რეზონანსული საქმე გახსნა და ხუთი მაღალჩინოსანი პოლიციელის პასუხისგებაში მიცემის შესახებ რეკომენდაცია შს მინისტრს გუშინ წარუდგინა. ზაზა ქაჩიბაიას მოადგილედ დაინიშნა იუსტიციის სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი ივანე ბერიძე.

გენერალური პროკურატურის კიდევ ერთი კვალიფიციური წარმომადგენელი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ყოფილი გამომძიებელი ზურაბ მიქაძე თბილისის შსს-ს საგზაო პოლიციის უფროსად დაინიშნა. შსს-ს საგამოძიებო დეპარტამენტის თავმჯდომარედ, ასევე, გენპროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ყოფილი გამომძიებელი მამუკა მუჯირი დაინიშნა; მის მოადგილედ - გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის ყოფილი მოადგილე ემზარ ღარიბაშვილი, რომელიც ბოლო პერიოდში გახსნილ რეზონანსულ საქმეთა გამომძიებელი გახლდათ.

მართალია, შსს-ს სისტემის საკვანძო პოსტები შს ახალმა მინისტრმა გენერალური პროკურატურის მაღალკვალიფიციურ კადრებზე გადაანაწილა, მაგრამ უშიშროების სამინისტროს კადრების განკარგულებაში მყოფი პროფესიონალებიც გაიხსენა. მინისტრის მოადგილედ დაინიშნა უშიშროების ყოფილი მინისტრის ვალერი ხაბურძანიას მოადგილე ირაკლი კოტეტიშვილი. შსს-ს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს ყოფილი უფროსი ალეკო ტაბატაძე უშიშროების სამინისტროს ვიცე-პოლკოვნიკმა კახა კობახიძემ შეცვალა. იგი უშიშროების სამინისტროშიც ამ დარგს კურირებდა. ახალი ხელმძღვანელი ჰყავს შსს-ს სისხლის სამართლის სამძებროს. ამ თანამდებობაზე უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის ხელმძღვანელი, თბილისში ცნობილი პოლიციელის, სოსო ალავიძის კადრი, ლევან გვაზავა დაინიშნა. მისი მოადგილის პოსტი კი ბორჯომის შსს-ს მთავარი სამმართველოს უფროსმა, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკმა, მანამდე, კრწანისის პოლიციის უფროსმა გიორგი კაჭარავამ დაიკავა.

ირაკლი ოქრუაშვილმა მოადგილის რანგი დაუტოვა და თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსად დანიშნა გია ბარამიძის კადრი ირაკლი კლდიაშვილი, ხოლო მის მოადგილედ, თბილისის კრიმინალური პოლიციის უფროსად - შსს-ს საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს შტაბის ყოფილი უფროსი, მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის ყოფილი უფროსი პაატა ჟღენტი.

ძველი გუნდით დაკომპლექტდა გლდანი-ნაძალადევის პოლიცია. თბილისის პოლიციის უფროსის ყოფილი მოადგილე დავით კეკუა გლდანი-ნაძალადევის პოლიციის უფროსის თანამდებობაზე გადაიყვანეს. მის მოადგილედ მისივე "გაზრდილი", თბილისის სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს ყოფილი უფროსი კახა ჩინჩალაძე დაინიშნა, მისი ყოფილი მოადგილე დავით ენდელაძე კი - გლდანი-ნაძალადევის სამძებრო განყოფილების უფროსად. ერთი სიტყვით, დავით კეკუა გლდანი-ნაძალადევის პოლიციაში მისი გუნდით მივიდა. სხვათა შორის, თბილისის პოლიციის სამმართველოში საქმიანობისას ჩინჩალაძე-ენდელაძის დუეტს საკმაოდ არასასურველ კონტექსტში მოიხსენიებდნენ ხოლმე.

ვაკე-საბურთალოს პოლიციას დაუბრუნდა ზურაბ ბაქრაძე, ოღონდ ამჯერად - უფროსის რანგში. ამავე პოლიციის კრიმინალური პოლიციის უფროსი ბოლო პერიოდში ისანი-სამგორის რაიონის კრიმინალურ პოლიციას ხელმძღვანელობდა. ზურაბ ბაქრაძე 15 წლის მანძილზე ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციაში სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა და იგი ამ რაიონს ძალზე კარგად იცნობს.

დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის ახალი უფროსი დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამმართველოს ყოფილი უფროსი ილია ქიზიყურაშვილი გახდა. მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიციის უფროსი კი - შსს-ს სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარე თამაზ დგებუაძე. მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიციის უფროსი დომიკო დევნოზაშვილი კი სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ გადაიყვანეს.

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ახალმა უფროსმა თანამდებობებიდან გაათავისუფლა მისი ორი მოადგილე - მიხეილ სალაძე, რომელიც წლების მანძილზე თბილისის ადმინისტრაციულ პოლიციას ხელმძღვანელობდა, და თბილისის ტრანსპორტის პოლიციის უფროსი შატო იოსელიანი.

ახალმა მინისტრმა ერთ კვირაში საკადრო ცვლილებები განახორციელა შსს-ს ცენტრალურ აპარატსა და თბილისის პოლიციაში. თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტროში საკადრო ცვლილებები გრძელდება და ახლა, რეგიონის პოლიციის სამმართველოების საკადრო გადახალისებით გაგრძელდება. სწორედ ამიტომაც, შს მინისტრის ბრძანებით, შსს-ს სისტემაში შემავალ ყველა დანაყოფში, გარდა შინაგანი ჯარისა, რეფორმის განხორციელების მიზნით, "საგანგებო მდგომარეობა" გამოცხადდა. ანუ, ირაკლი ოქრუაშვილის ბრძანებით, რეფორმების განხორციელებისას ერთიანი საკადრო პოლიტიკის გატარების, კადრების შერჩევა-განაწილების, სტრუქტურის დახვეწისა და საშტატო ერთეულთა ოპტიმიზაციის მიზნით, საქართველოს შსს-ს სისტემაში შემავალ სტრუქტურულ დანაყოფებში რეორგანიზაცია გამოცხადდა.

ერთი სიტყვით, ქვეყნის სტრატეგიული დანიშნულების მქონე ერთ-ერთ უწყებაში, რომელიც აქამდე საზოგადოებისთვის მხოლოდ საფრთხობელასთან იყო გაიგივებული, რევოლუციური ცვლილებები რეალურად დაიწყო. "ხავერდოვანი რევოლუციით" მოსული ხელისუფლების მთავარი ამოცანა შსს-ს დანაშაულის წინააღმდეგ რეალურად მებრძოლ, კორუფციისა და სხვა საბჭოური არტახებისგან გათავისუფლებულ, კანონმორჩილ უწყებად გარდაქმნა უნდა გახდეს. ასეთი პოლიცია, საზოგადოებაში ნდობამოპოვებული, ძლიერი სახელმწიფოს საძირკველია.



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

ცხოვრებისეული ისტორიები

## თითქოს ისევ ბათუმში ვიყავი...

მე ვარ ია, სოხუმელი. რამდენიმე წლის უკან, მამიდაშვილებმა დამპატიჟეს ბათუმში. ერთ საღამოს მე, მამიდაჩემი და ჩემი მამიდაშვილი გოგო ვსხდებით სამზარეულოში, ვიხსენებთ რაღაც-რაღაცეებს: სოხუმის ისტორიებს, ჩვენს ბავშვობას, კურიოზებს, რომლებიც ცხოვრებაში გადაგვხდენია. წარსულის მოგონებებში ისე გავერთეთ, რომ ვერც კი შევნიშნეთ, როგორ შემოგვაღამდა. მამიდამ და ჩემმა მამიდაშვილმა ბიჭს უკვე დიდი ხანია ეძინათ.

სამზარეულოში ანთებული სინათლე, ეტყობა, ვიღაც ნასვამმა შენიშნა, რადგან მთელს კორპუსში, ალბათ, მხოლოდ ჩვენთან ენთო შუქი. ჰოდა, ნასვამმა კაცმა გადაწყვიტა, რომ ბინაში ვიღაც იყო, ამიტომ ჩვენთან და კარებზე კაკუნი დაიწყო.

მამიდაჩემი მივიდა კარებთან და გვიან, დაუპატიჟებელ "სტუმარს" ჰკითხა, რომელი ხარო.

- ОТКРОЙТЕ ДВЕРИ! - ყვიროდა გარედან მთვრალი მამაკაცი.

მამიდაჩემი მიხვდა, რაშიც იყო საქმე, რომ ვიღაც მთვრალს უბრალოდ შეეშალა და საკუთარ ბინას ვერ მიაგნო. მამიდამ უთხრა, რომ წასულიყო, მაგრამ ის კაცი ისევ ზარს რეკავდა და ყვიროდა. ხმაურზე ბიძაჩემსაც გაეღვიძა. ახლა მან სცადა აეხსნა მთვრალისთვის, რომ წასულიყო, მაგრამ ვერაფერი გააგებინა.

ამ ამბავმა მე ძალიან შემაშინა. ჩემებმა ახლა მე დამიწყეს დამშვიდება: რა იყო, რომ შეგეშინდა, აქ ასეთი ამბავი ხშირად ხდება და ბუნებრივი ამბავიაო...

მე მოვუყევი ჩემი ისტორია: რამდენიმე წელი აფხაზეთის დატოვებამდე, ბათუმის ერთ-ერთ სასტუმროში ვცხოვრობდი. ეს პერიოდი იყო, როცა არეულობა იყო მთელს საქართველოში. ბათუმში ძალზე გავრცელებული იყო "მეჭრა". ეს ხდებოდა ღამ-ღამობით. თითქოს ვიღაცას ეძებდნენ, შეუვარდებოდნენ სასტუმროში, იყო ზრიალ-კივილი, შეშინებული ხალხი.

ბათუმში ცოტა ხმამაღლა კითხვის დასმისაც კი გვეშინოდა. რა იყო, რა ხდება? - რომ გეკითხა, ეს საკმარისი იყო, რომ ხელი ჩაევლოთ და განგოეყოფილები ნაყეყარი.

ამით ხალხი ისე იყო დაშინებული, რომ (მე თვითონ ჩემი ყურებით მომისმენია), ახალგაზრდები ერთმანეთს შეხვედრისას გამარჯობის ნაცვლად - დაგაპატიმრებთ, - ასე ესალმებოდნენ.

იმის შემდეგ შიში, ეტყობა, ჩემში ღრმად ჩაჯდა და ამ სალამის მოსმენამ ისე წარმომადგენა, თითქოს ისევ ბათუმში ვიყავი...

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

# წერილი სოხუმიდან

**ეს წერილი სოხუმიდან მოვიდა. მას ხელს აწერენ დღევანდელი მდგომარეობით შეშფოთებული ადამიანები, რომლებიც თავის ქართველ კოლეგებს სთხოვენ თანადგომას იმისთვის, რომ რეგიონში მშვიდობა არ დაირღვეს.**

*ნაირა გელაშვილს, ანა წვინარია-აბრამიშვილს, მარინა ელბაქიძეს, იულია ხარაიშვილს, მარინა ფალავას, ლელა გაფრინდაშვილს, დავით დარჩიაშვილს, ალა გამახარიას, თინათინ ხიდაშელს, გია ანჩაბაძეს, ნოდარ სარჯველაძეს, პაატა ზაქარეიშვილს.*

### მიმართვა

ბოლო პერიოდის მოვლენები კიდევ ერთხელ ცხადყოფს, თუ რაოდენ მყიფე და არასაიმედოა ჩვენს რეგიონში დამყარებული მშვიდობა. ისევ შეშფოთებულია ხალხი, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ახალგაზრდობა ისევ მზადაა, იარაღით ხელში დაიცვას ნაციონალური მონაპოვარი და თავიანთი სამშობლოს სუვერენიტეტი. ჩრდილოეთ კავკასიაში ისევ დაიწყო მოხალისეთა სიებში ჩაწერა. თითქოს არც ყოფილა სამშვიდობო მოლაპარაკებებისა და შედარებითი სიმშვიდის ათწლიანი პერიოდი. თითქოს არც დათესილა ნდობის პირველი მარცვლები არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის, რომლებმაც კარგა ხანია, დაიწყეს რთული, მაგრამ გარდაუვალი დიალოგი.

დაძაბულობის ახალი ტალღა არის შედეგი საქართველოს ახალი ლიდერების გაუთვითცნობიერებელი, ან წინასწარ განზრახული პროვოკაციული საქციელისა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიმართ. საქართველოს პრეზიდენტის მეუღლის ვიზიტი სამხრეთ ოსეთში რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებლად, სამხრეთ ოსეთის უშუალო საზღვართან მძიმე ტექნიკისა და ცოცხალი ძალის თავმოყრა ოსი მოსახლეობის პროტესტის მიუხედავად - აშკარა კონფრონტაციული ქმედების ხასიათს ატარებს.

სამხრეთ ოსეთიდან მოსულმა შემაშფოთებელმა ინფორმაციამ შეუძლებელია გულგრილად დატოვოს აფხაზეთის მოქალაქეები. ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გავრცელებული გიჟური ჭორების ფონზე, თითქოს აფხაზეთში სააკაშვილის მხარდამჭერი მიტინგები იმართებოდეს, ენგურის ხიდთან ხდება სამხედრო ტექნიკისა და ცოცხალი ძალის კონცენტრაცია. ყოველივე ეს ეჭვქვეშ აყენებს ახალი ქართული ხელმძღვანელობის სამშვიდობო განცხადებებს. თავისი ცინიზმით განსაკუთრებით შემაძრწუნებელი იყო საქართველოს მხრიდან ენგურის ხიდზე ირგანიზებული ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქცია 1 ივნისს, რომელშიც ორასამდე სხვადასხვა ასაკის ბავშვი მონაწილეობდა. სამხედრო ფორმიანი და სათამაშო ავტომატებიანი 5 წლის ბავშვები უფროსების მითითებით მწყობრად დადიოდნენ. დარწმუნებულები ვართ, პოლიტიკოსები, რომლებიც საკუთარი მიზნების მისაღწევად ბავშვებსა და ქალებს იყენებენ, პატივისცემასა და ნდობას არ იმსახურებენ.

გვინდა დავარწმუნოთ ბატონი სააკაშვილი, რომ მას და მის ნათესავებსა და მეგობრებს აფხაზეთში არავინ ელოდება და მით უმეტეს არა გვგონია, რომ მას ვარდებით დახვდებიან. აი, უკვე ათ წელზე მეტია, რაც აფხაზი ხალხი სულ სხვა რამეს ელოდება - როდის გამოჩნდება საქართველოში ისეთი ლიდერი, რომელსაც ეყოფა პოლიტიკური ნება და ვაჟკაცობა იმისათვის, რომ შეაფასოს, რა გაუკეთეს აფხაზ ხალხს 1992-1993 წლებში. ჩვენი ღრმა რწმენით, ეს სჭირდება თავად საქართველოს, რომლისთვისაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ახალი ურთიერთობების აწყობა მეზობელ ხალხებთან. ეს უნდა იყოს ურთიერთპატივისცემისა და თანაბარუფლებიანობის პრინციპზე დაფუძნებული და ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე აგებული ურთიერთობები.

ძვირფასო კოლეგებო, იმედი გვაქვს, რომ თქვენ იზიარებთ ჩვენს შეშფოთებას. დარწმუნებულები ვართ, საჭიროა ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ ახალი ქართული ლიდერების პოპულისტურმა განცხადებებმა და უპასუხისმგებლო საქციელმა არ ჩაშალოს სამშვიდობო პროცესი. ამასთან დაკავშირებით გთხოვთ, გავაკეთოთ რიგი ერთობლივი ზომებისა:

1. გამოვაცხადოთ დროებითი მორატორიუმი ყოველგვარ ცალმხრივ ქმედებებზე - არასანქცირებული ვიზიტები ორივე მხრიდან, აგრეთვე, მასობრივი მიტინგები, მსვლელობები და მანიფესტაციები (მათ შორის, სამშვიდობო ღონისძიებები გამართული) უშუალოდ უსაფრთხოების ზონასთან. უნდა ვიცოდეთ, რომ უსაფრთხოების ზონასთან ყოველგვარ დესტაბილიზაციას შეუძლია გამოიწვიოს პროვოკაცია და ძალადობის ესკალაცია.

2. უმოკლეს დროში შევდგეთ ტელეხიდი სოხუმი - თბილისი, რომ საზოგადოების წარმომადგენლებმა იმსჯელონ შექმნილი ვითარების გარშემო და მონახონ დაძაბულობის განმუხტვის გზები.

ჩვენ გამზადებულები ვართ ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ ბოლო წლების მიღწევა - ერთმანეთისადმი პატივისცემა და ურთიერთგაგებისკენ სწრაფვა, რაც დაგვეხმარება მშვიდობიანი მომავლის აგებაში.

1. ალიდა ლადარია, სოხუმის ახალგაზრდობის სახლი.
2. ლელე კობახია, სოხუმის ახალგაზრდობის სახლი.
3. არდა ინალ-იპა, სოხუმი.
4. ლუდმილა კუპრავა-აჟაპუა, "დედათა მოძრაობა", სოხუმი.
5. მერი თხაგუშევა, "გუდაუთის ქალთა ასოციაცია", გუდაუთა.
6. დალილა ფილია, "მსოფლიო ძალადობის გარეშე", სოხუმი.
7. ლიალია ჩამაგუა, "აიტაირა", გუდაუთა.
8. ლარისა სმირი, საკრებულოს წევრი, სოხუმი.
9. თამარ სირაძე, "დედათა მოძრაობა", სოხუმი.
10. ზაირა ლაგვილავა, "დედათა მოძრაობა", სოხუმი.
11. ოლღანტა ოტრაბა, სოხუმი.
12. გულია კიწბა, "დედათა მოძრაობა", სოხუმი.
13. მზია ბეია, "აფხაზეთის მედდების კავშირი", სოხუმი.
14. ლანა ფაჩულია, "აფხაზეთის მედდების კავშირი", სოხუმი.
15. ლუდმილა ჯინჯალი, სოხუმი.
16. საიდა ადამია, "დედათა მოძრაობა", საკრებულოს წევრი, სოხუმი.
17. ანჟელა ისახანიანი, "დედათა მოძრაობა", სოხუმი.
18. რიმა ადლეიბა, "დედათა მოძრაობა", სოხუმი.
19. ირინა აგრბა, "აიტაირა", სოხუმი.
20. იზაბელა ტურცევა, სოხუმი.
21. ლუდმილა სანგულია, "დედათა მოძრაობა", სოხუმი.
22. აზა აგუმა, "დედათა მოძრაობა", სოხუმი.
23. ცირა გუმბა, ნაციონალური რესურსები, სოხუმი.
24. ნათელა აკაბა, სოხუმი.
25. დოდო ბაგიშვილი, გალი.
26. მარინა გოგოხია, №1 საშუალო სკოლა.
27. გულო ზაქარაია, გალი.
28. ინეზა ესებუა, გალი.
29. ეთერ ჯოლოგუა, გალი.
30. მედეა ქჯადუა, გალი.
31. აზა აგუმა, გალი.
32. ხათუნა ნაკოპია, გალი.
33. ელმირა ნაკოპია, გალი

# პროექტი მთელი სამხრეთ-კავკასიისთვის

*ელენე კუკი, ინგლისური არასამთავრობო ორგანიზაციის "შერიგების რესურსების" პროექტის "ცხოვრებისეული ისტორიების" კოორდინატორი კვლავ თბილისში იმყოფება. ამჯერად, მისი სტუმრობის მიზეზი საერთო-კავკასიური პროექტის დაწყება და პროექტის შესამზადებელი ტრენინგ-სემინარის ჩატარებაა სომეხი, აზერბაიჯანელი და მთიან ყარაბახში მაცხოვრებელი ჟურნალისტებისთვის.*

ლელა მარგიანი

ელენე კუკი: "ამჯერად, თბილისში ვარ, რადგან ჩვენი ორგანიზაცია იწყებს პროექტის ახალ სტადიას. ადრე ეს იყო მხოლოდ ქართულ-აფხაზური პროექტი, ახლა ჩვენ ვაფართოებთ არეალს და მთელ სამხრეთ-კავკასიას მოვიცავთ. ჩვენ შემოგვიერთდებიან აზერბაიჯანის, სომხეთის და მთიანი ყარაბახის რადიოსადგურები. ამავე დროს, პროექტი საქართველოშიც გაფართოვდება და მასში ჩაერთვებიან ჟურნალისტები აჭარიდან, სამცხე-ჯავახეთიდან, გორიდან. დიდი იმედი გვაქვს, რომ პროექტში მონაწილეობას მიიღებენ ცხინვალელი ჟურნალისტებიც, რომელთაც, იქ დაძაბული მდგომარეობის გამო, ამჯერად თბილისში ჩამოსვლა ვერ შეძლეს".

**- თქვენ უკვე გქონდათ ტრენინგი სომეხ და აზერბაიჯანელ ჟურნალისტებთან. როგორი იყო მათი ურთიერთდამოკიდებულება?**

- მათი შეხვედრა მართლაც ძალიან საინტერესო იყო. მეც მქონდა გარკვეული შიში, რადგან ვიცი სომხურ-აზერბაიჯანული ურთიერთობების სიმძაფრე. მით უმეტეს, ბოლო პერიოდში, როდესაც იყო რამდენიმე ინციდენტი საზღვარზე, რომლებიც მკვლელობით დამთავრდა. ამიტომ, მეგონა ყველაფერი ჩვენს ტრენინგზეც აისახებოდა, მაგრამ ჩემდა გასაოცრად, ასე არ მოხდა. ჟურნალისტები თავისუფლად და ძალდაუტანებლად ურთიერთობდნენ. თავად მათივე მონაყოლიდან ვიცი, რომ ასეთი შიში მათაც ჰქონიათ. ზოგიერთი მათგანი ამდენი წლის შემდეგ, საერთოდ პირველად შეხვდა მოპირდაპირე მხარის წარმომადგენელს. ტრენინგის ბოლოს ისინი თავად აღიარებდნენ, რომ ეს შიშები გაუქრათ. მათ გაცვალეს კოორდინატები, მისამართები, უჭირდათ დაშორება. ეს ძალიან კარგია. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა კონფლიქტის მოგვარება შეიძლება.

**- ისევ ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს რომ დავუბრუნდეთ, ამჯერად რა გეგმები აქვს თქვენს ორგანიზაციას ამ კონფლიქტის მოსაგვარებლად?**

- ამჯერად მე სოხუმში ჩასვლას ვერ ვახერხებ. ივნისის ბოლოს იქ ჩვენი ორგანიზაციის სხვა ორი წევრი ჩავა. დასახულია მთელი რიგი ღონისძიებები, მათ შორის საზაფხულო სკოლის მოწყობა.

**- ალბათ, მაინც გაქვთ ურთიერთობა აფხაზებთან. თებერვალში თბილისში ყოფნისას თქვენ აღნიშნეთ, რომ აფხაზებს ძალიან ეშინიათ სააკაშვილის. როგორი განწყობა აქვთ მათ ახლა?**

- მე მგონი, ისინი გაფაციცებით ადევნებენ თვალს ყველაფერს, რაც საქართველოში ხდება. მით უმეტეს ახლა, საპრეზიდენტო არჩევნების წინ. მათ ძალიან



ზაზა ფარუაშვილის ფოტო

*ელენე კუკი სტუმრად "24 საათის" რედაქციაში.*

უნდათ სიმშვიდე და ძალიან ეშინიათ საქართველოს მხრიდან პროვოკაციის. ჩემი ინფორმაციით, მათ შეადგინეს მიმართვა საქართველოს საზოგადოებისადმი, რომელიც მალე გამოქვეყნდება პრესაში (რედაქციისგან: ეს ის მიმართვაა, რომელსაც ზემოთ გთავაზობთ). პროვოკაცია არ გულისხმობს საომარ ქმედებებს, არამედ, უბრალოდ, დაუფიქრებელ ნაბიჯებს, რომლებიც აფხაზეთის ხელისუფლების მხრიდან შეიძლება არასწორად იქნეს აღქმული. ამ მიმართვაში აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაციები სთხოვენ თავიანთ ქართველ კოლეგებს, ყველანაირად შეუწყონ ხელი აფხაზეთში არჩევნების დემოკრატიულად, სამართლიანად ჩატარებას. ამით მოვიგებთ ჩვენც და თქვენცო, ამბობენ ისინი.

**- გუშინაც გამოვიდა პრეზიდენტი და თქვა, რომ ყველაფერი მხოლოდ მშვიდობიანი გზით მოგვარდება...**

- რა თქმა უნდა, ეს ასეა. უბრალოდ, აფხაზური საზოგადოება ვერ ხედავს პოზიტიურს. მათ არ სჯერათ, რომ კონფლიქტი არაძალისმიერი, მშვიდობიანი გზით მოგვარდება.

**- იქნებ არ უნდათ, რომ დაიჯერონ?**

- იქნებ ასეცაა. ხანდახან ადამიანები, პოზიტიურს ვერ ხედავენ, რადგან, უბრალოდ, შეეჩვიენ იმას, რომ მათ შეურაცხყოფენ, პროვოკაციებს უწყობენ. ეს ისეა, როგორც ცნობილი ამბავი "მატყუარა მწყემს ბიჭზე", რომელსაც აღარავინ დაუჯერა, როდესაც მგლები მართლა გამოჩნდნენ. მე მგონი, ამ შემთხვევაშიც ასეა. ჩემი აზრით, აფხაზებმაც "აღიარეს" (თუმცა, ამაზე ხშირად საუბარი არ უყვართ), რომ აჭარაში ყველაფერი ნორმალურად მოგვარდა. საქართველოს ხელისუფლებას ძალიან გაწონასწორებული ნაბიჯების გადადგმა მოუხდება. ცხოვრებაშიც ასეა - როდესაც ადამიანს აწყენინებ, მისი გულის მოგება მერე უფრო ძნელია...

**- ნაწყენები ჩვენც ვართ, ამიტომ ხომ არ აჯობებდა, რომ ახლა ორივე მხარეს მომავალზე, ჩვენს საერთო მიწაზე მეზობლად ცხოვრებაზე გვეფიქრა?**

- გეთანხმებით. განაწყენებულები ორივე მხარეს იყვნენ. ამიტომ მნიშვნელოვანია სხვადასხვა მხარის არასამთავრობოების, ქალების, ახალგაზრდების ხშირი შეხვედრები. ადვილია, მხოლოდ შენი თავი წარმოიდგინო მსხვერპლად და არა მოპირდაპირე მხარე. ერთმანეთს სიმართლე უნდა ვუთხრათ, მაგრამ ამავე დროს, ჩემი აზრით, უფრო ძლიერმა მხარემ უნდა გადადგას პირველი ნაბიჯი. ამ შემთხვევაში - საქართველომ, რადგან იგი უფრო ძლიერია, მას აქვს საერთაშორისო აღიარება, მას ბევრი ორგანიზაცია ეხმარება.

**- ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა სოხუმიდან გამოგზავნილი ხუთი აფხაზური დღიური. არც ერთ დღიურში არ იყო საუბარი შერიგებაზე, ქართველების მონატრებაზე. მაშინ, როდესაც ქართველი დევნილები თავის დღიურებში მშვიდობიან მოგვარებაზე, აფხაზი მეზობლების მონატრებაზე საუბრობენ...**

- ეს, რა თქმა უნდა, საწყენია. მაგრამ, ფაქტია, დღეს აფხაზები არ არიან მზად და არც უნდათ ქართველებთან ცხოვრება. საინტერესოა, რატომ ხდება ეს. ჩემი აზრით, "დღიურები" სწორედ იმითაა კარგი, რომ რეალურ სიტუაციას გვიჩვენებს. ამავე დროს, ფაქტია, რომ იქ აღარაა ისეთი სიძულვილი, მაგრამ ერთად ცხოვრებისთვის ჯერ კიდევ არ არიან მზად. მათ დევნილების დაბრუნების ეშინიათ რამდენიმე ფაქტორის გამო - შეიცვლება დემოგრაფიული ბალანსი, რადგან იქ მაცხოვრებელი ქართველები მეტნი არიან. ამავე დროს, სად უნდა დაბრუნდეს ამდენი ხალხი, როდესაც იქ ყველაფერი დანგრეული და განადგურებულია. დაუზიანებელ სახლებში კი ვიღაც ცხოვრობს. ამიტომ ურჩევნიათ, რომ ეს საკითხი საერთოდ არ გადაწყდეს. აფხაზეთში ახლა ძალიან სიღარიბეში ცხოვრობენ. იქ ეკონომიკა საერთოდ განადგურებულია.

**- ბევრი ქართველი დევნილი ამბობს, რომ ოღონდ საკუთარ მიწაზე დაბრუნდნენ და კარვებში იცხოვრებენ, სახლებს თავიდან ააშენებენ.**

- მე ყველაფერი კარგად მესმის, მაგრამ დიდი ფსიქოლოგიური ბარიერია. ამას დრო და მუშაობა უნდა. იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი "დღიურები" კონფლიქტის მალე მოგვარებას ხელს შეუწყობს.

# გაუცხოების დასაწყისი: აფხაზეთი, 1917-1920

*ამ წერილის ავტორი ჩვენთვის უცნობია. როგორც ტექსტიდან ჩანს, იგი საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი ყოფილა და კარგად სცოდნია აფხაზეთის ცოცხალი ყოფა, აფხაზი ხალხის სულიერი მდგომარეობა. წერილი პირველად 1931 წელს დაბეჭდილა გერმანიაში ქართველ ემიგრანტთა ორგანიზაციის "თეთრი გიორგის" გაზეთში ფსევდონიმით "მეგობარი". როგორც წერილის შინაარსი გვიჩვენებს, ავტორი ორივე ხალხის, აფხაზებისა და ქართველების მეგობრად თვლის თავს და ცდილობს, ქართველ-აფხაზთა გაუცხოების დასაწყისი და მიზეზები ობიექტურად აღწეროს.*

*ავტორის მიერ ხაზგასმულია საქართველოს პოლიტიკური და სამხედრო წრეების მიერ აფხაზთა მიმართ დაშვებული სამი ძირითადი შეცდომა: 1. ფსიქოლოგიური (აფხაზების გამოცხადება ქართველებად, მათი ეროვნული ღირსების შელახვა); 2. პოლიტიკურ-ეკონომიკური (მენშევიკური მთავრობის მიერ აფხაზეთის მიმართ გატარებული უპასუხისმგებლო ეკონომიკური პოლიტიკა); 3. სამხედრო (გენერალ ჯუღელის მიერ აფხაზთა შეიარაღებულ ძალებთან კავშირის უარყოფა, მისი გვარდიის აფხაზეთში შესვლა, იქ გაჩაღებული ძარცვა-გლეჯა და ძალადობა).*

*არ ასრულდა ავტორის ნატვრა: მომავალში აღარ განმეორებულიყო ეს მძიმე შეცდომები და დანაშაულებანი. შეცდომები ზუსტად განმეორდა და გაცილებით უფრო დიდი უბედურებით - აფხაზ-ქართველთა ნამდვილი ომით დაგვირგვინდა.*

*ჩვენი უახლოესი ისტორიის, კერძოდ, აქ აღწერილი პერიოდის ცოდნა მეტ შესაძლებლობას მოგვცემდა, პრობლემა სწორად გაგვეაზრებინა და მისი გადაჭრისათვის აგვერჩია არა ომი, არამედ გონებისმიერი გზა. თუმცა, ზნეობრივ-გონებრივი მარცხის გაკვეთილად გადაქცევა, რაც ჯერ არც დაგვიწყია, სრულიად აუცილებელია იმ ჩიხიდან გამოსასვლელად, რომლის მხოლოდ ერთ ნაწილს შეადგენს აფხაზეთის პრობლემა.*

*(წერილის სტილი და ორთოგრაფია შენარჩუნებულია)*

არა მაქვს განზრახვა ვრცელი ისტორიული და პოლიტიკური მიმოხილვისა, მხოლოდ მსურს აღვწერო ის, რაც საკუთარი თვალით მინახავს ან სარწმუნო პირთაგან გამიგონია. აფხაზეთის უკანასკნელი ხანის ცხოვრებისა და მომხდარ ამბავთა მიზეზების შესწავლა და აწონ-დაწონვა საშუალებას მისცემს ახალ თაობას, მომავალში მაინც თავითგან აიცილოს ის შეცდომები, რომლებმაც ღრმად დაჰკოდა ჩვენი ერის სხეული და გაბზარა საუკუნეთა განმავლობაში არსებული ერთობა მის ტომთა შორის. იძულებული ვარ შორიდან დავიწყო, რათა უფრო ნათლად წარმოსადგენი იქმნეს მიზეზები ამ მოვლენისა.

აფხაზეთის უკანასკნელ მთავარს, მიხეილ შარვაშიძეს, რუსებმა ვაჭრობა დაუწყეს. დასავლეთ საქართველოს მმართველად მაშინ იყო თავადი სვიატოპოლკ-მირსკი, რომელსაც ადიუტანტად ჰყავდა გვარდიის კავალერგარდის რაზმის ოფიცერი ოტია დადიანი. ოტია დადიანი იყო მთავრის სიძის ნიკოლოზ დადიანის ძმა. ამ მოყვარული განწყობილებით უნდოდა ესარგებლნა თავ. მირსკის და მოლაპარაკებას აწარმოებდა მთავართან ოტია დადიანის საშუალებით (რომლისგანაც მე პირადად მაქვს გაგონილი ბევრი რამ). იგი უწუნებდა მთავარს ჟინიანობას, გულზვიადობას და წინდაუხედაობას. მთავარს რუსები აძლევდნენ ქ. ქუთაისში საზამთრო სასახლეს, აჯამეთის მამულს სანადიროდ, რაჭაში საზაფხულო სასახლეს და ორ მილიონ მანეთს თანხად, რომლის სარგებელი წლიურად მას პენსიად ექნებოდა. მთავარი ასეთს წინადადებას უარყოფდა და ამბობდა: რას მევაჭრებიან? რა უნდა გავყიდო, რაც არა მიყიდია რა? ეგ მოხელეების ხრიკებია, თორემ რუსეთის იმპერატორი მეტად კეთილად არის ჩემთან განწყობილი, რაის დამამტკიცებელიც არის მეფის წყალობისა და ალერსის წერილები ჩემდამიო. მაგრამ მთავარს იმედი არ გაუმართლდა და სასტიკად მოსტყუვდა. იგი რუსეთის მეფემ მიიპატიჟა ყირიმში, ვითომც სანადიროდ და ის გაემგზავრა კიდეც თავისი ამალით, ბაზიერებით, კურძვალებით, მწყაზარი ქორით და სანაქებო მწევრებით. მოსცილდა ნაპირს გემი და შუა ზღვაში მას გამოუცხადეს, რომ იგი გადასახლებულია რუსეთში და ყირიმის მაგივრად, ვორონეჟში გააგზავნეს. მთავრის ორიოდე ერთგული კაცის და საყვარელი მწევრის მეტი ყველანი უკანვე გამოისტუმრეს. მისი უფროსი ვაჟი - ექვსი წლის გიორგი - მაშინდელმა მთავარმართებელმა, დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ თავისთან დასტოვა ადიუტანტად, ხოლო ორი მცირეწლოვანი, მიხეილი და ბარბალე, რუსეთში გაგზავნეს. მთელი უძრავი ქონება მთავრისა სახელმწიფოდ იქმნა გამოცხადებული და მოძრავი კი საჯარო ვაჭრობით გაიყიდა სულ იაფად. თითქმის ყველაფერი, რაც კარგი იყო, თითონ დიდმა მთავარმა "იყიდა". ასეთს მუხანათობას და ვერაგობას აფხაზები ადვილად ვერ შეურიგდებოდნენ და მთელი რიგი აჯანყებათა მოჰყვა ამ უსამართლობას. აჯანყებანი ჩვეულებრივი ველურობით და სიმხეცით ჩააქრეს რუსებმა. გადასწვეს და გადაბუგეს ქვეყანა, აფხაზები აიკლეს და დიდი ნაწილი კი ოსმალეთში გადაესახლა. აქეთგან იწყება რუსების შავრაზმული ძალების დევნა შავი ზღვის ნაპირებისაკენ, რაც უკანასკნელ ხანამდე გრძელდებოდა. თუ იყო "რუსული საქმე კავკასიაში", კიდე იყო განსაკუთრებული "რუსული საქმე შავი ზღვის ნაპირებზედ". შავი ზღვის ნაპირები, წინად ჩერქეზებით დასახლებული, დაცარიელებული იყო, რადგან ჩერქეზები რუსებმა მთლად აჰყარეს და ოსმალეთში გადახვეწეს. რუსეთის მთავრობის მიზანი იყო გადახვეწილთა მაგივრად ამ მიწებზედ რუსები დაესახლებინა და ამ საქმის შესრულებას გულმოდგინედ შეუდგა იგი. დიდძალი მამულები უფასოდ დაურიგა რუსის მოხელეებს და რუსეთის ერთგულთ. მთავრობა სულ იაფად ყიდდა ამ სხვის მიწებს, განსაკუთრებით რუსები იყვნენ მყიდველები, რადგან ამით სხვა და სხვა შეღავათები ჰქონდათ. სულ მცირე ხნის განმავლობაში რუსები ბლომად მოედვნენ შავი ზღვის ნაპირებს, დაბინავდნენ იქ, მოიკიდეს მაგრად ფეხი და აწარმოებდნენ რუსულ, შავრაზმულ პოლიტიკას, რომლის სულის ჩამდგმელი იყო "ჩერნომორსკი ვესტნიკის" რედაქტორი პალმი. თუ რა სულისკვეთების იყო პალმი და მისი მრევლი, ადვილად წარმოსადგენია, თუ გავიხსენებთ პალმის მიერ "ჩერნომორსკი ვესტნიკის" ფურცლებზედ გამოთქმულს აზრს: მეგრელები და აფხაზები ქურდებია, იმერლები მიკიტნები და ქართლ-კახელები მეღორეები; სწორედ გითხრათ, კარგი ერიაო, ასე ახასიათებდა ეს რუსის ხულიგანი ქართველს ერს.

თვით აფხაზებს არ შესწევდათ ძალა ებრძოლათ ამ ძლიერი რუსული ტალღისა და რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, ქართულ მოწინავე საზოგადოებას კი არ ეცალა ამ კუთხისათვის, და რუსობაც მეტად გაძლიერდა. გახსნეს რუსული სასწავლებლები, დაწესებულებებში, რასაკვირველია, ყველგან რუსული იყო გამეფებული, წირვა-ლოცვა რუსულ ენაზედ სწარმოებდა და თვით მღვდელთმთავარი რუსი ინიშნებოდა. ეწეოდნენ ძლიერ პროპაგანდას, რომ აფხაზებს არაფერი საერთო აქვთ ქართველებთან და სულ სხვა ერიაო. შეუთხზეს მათ საკუთარი ანბანი, რომელიც რუსულისაგან არ განირჩეოდა, მხოლოდ ზოგიერთს ასოს რაღაც კუდები მიუმატეს, თუმცა ამ ანბანმა ვერ იხეირა და აფხაზურად წირვა-ლოცვის შემოღებაც სრულებით ვერ მოხერხდა. საერთოდ კი "რუსული საქმე შავი ზღვის ნაპირებზედ" დაუბრკოლებრივ ყვაოდა და ძლევამოსილი წარემართებოდა აფხაზთა გადასაგვარებლად და აფხაზეთის საქართველოსაგან ჩამოსაშორებლად. ამნაირად, აფხაზეთსაც დიდად ავნეს რუსებმა, როგორც საქართველოს ყველა კუთხეს, მაგრამ აფხაზის სრული გადაგვარება ძნელია, რადგან ის მაგრად ებღაუჭება აფხაზობას და სავსებით გრძნობს მას. რუსეთის პოლიტიკამაც აფხაზეთში მხოლოდ ჩვენთვის საზიანო და სამწუხარო ნაყოფი გამოიღო, თვით აფხაზს კი აფხაზობაზედ ხელი ვერ ააღებინა, ვერ გაარუსა, ვერც რუსი შეაყვარა, ვერც ქართველი შეაძულა, თუმცა ამას მეტად სცდილობდნენ და ზოგჯერ ამ მიზნით აფხაზების ნაციონალიზმსაც ხელს უწყობდნენ, რათა ეს ქართველების წინააღმდეგ მიმართულიყო.

ცხრაასიან წლებში ქართულმა პატრიოტულად განწყობილმა ნაწილმა საზოგადოებისა მიაქცია ყურადღება აფხაზეთს. რუსეთის გავლენის წინააღმდეგ სამოქმედოდ აფხაზეთში საკმაო ძალები იყო. მთელი ვაჭრობა-მრეწველობა ქართველთა ხელში იყო, ინტელიგენტმა მიაშურა ამ კუთხეს. დიდი ბრძოლა სწარმოებდა რუსულ ელემენტებთან და რუსებითან და თან მარცხდებოდნენ, მაგრამ ზოგიერთი ქართველის საქმიანობას დიდი ნაკლი ჰქონდა. თუ რუსები აფხაზებს არწმუნებდნენ, ქართველები სხვა ხალხია, თქვენი შეჭმა უნდათო და სხვა, თვით ქართველები ჩააცივდნენ აფხაზებს, გინდა თუ არა, თქვენ ქართველები ხართ, რას ჰქვია აფხაზი, უნდა "დაგვემორჩილოთ" და ხმაც არ უნდა ამოიღოთ, რომ აფხაზები ხართ, მორჩა და გათავდაო! იქამდეც კი მივიდნენ, რომ დასცინოდნენ აფხაზებს, თქვენი საქმე ცხენის ჭენებააო; ენასაც კი დასცინოდნენ, "სტვენის პარლამენტი" გახსენითო და სხვ. ცხადია ვერც რუსები და ვერც ქართველები ვერ აკმაყოფილებდნენ აფხაზის გულს. ვერც საწყალმა ხალხმა აულო ალღო ამ მოვლენებს, ვერაფერი გაიგო და დაიბნა. საქმეს იმთავითვე დიდად ავნო ქართველების ცუდმა მიდგომამ, რომლითაც რუსები სარგებლობდნენ. განსაკუთრებით დიდი ვნება მოჰქონდათ სხვა და სხვა სოციალისტურ პარტიებში შემძვრალთ, ცხვრის ქურქში გამოხვეულ მგლებს, რუსის შავრაზმულ ხულიგნებს.

მიუხედავად ბევრნაირი ხლართისა, აფხაზები მაინც მხარს უჭერდნენ ქართველებს რუსებთან ბრძოლაში; ხელში ჩაიგდეს სოხუმის ქალაქის თვითმართველობა, გაიხსნა იქ წმ. ნინოს სახელობის საქალებო სკოლა, დაარსდა სამკითხველო, იმართებოდა წარმოდგენები, საღამოები, და ამგვარად გაიშალა კულტურული მუშაობა, რომელსაც დიდს ყურადღებას აქცევდნენ ადგილობრივი მკვიდრნი და რომელსაც შეეძლო დიდი ნაყოფი გამოეღო.

მაგრამ დადგა 1905 წელი. აფხაზეთს მოედვენ ყოვლად უნიჭო და უვიცი პროპაგანდისტები მარქსის იდეებისა. არავითარი ნიადაგი ამისთვის იქ არ არსებობდა. აფხაზეთში დარჩენილი იყო ძველი პატრიარქალური წესი ცხოვრებისა, დაცულნი იყვნენ ძველნი ზნე-ჩვეულებანი, განსაკუთრებით უფროს-უმცროსობა. თავად-აზნაურობას, ეროვნულ ტრადიციათა მიხედვით, ძლიერ მცირე უფლებები ჰქონდა, რადგან ბატონყმობა ("კრეპოსტნოე პრავო") იქ აროდეს ყოფილა და დარჩენილი იყო ძველებური პატრონყმური განწყობაც, რადგან აზრადაც კი არ მოუვიდოდა არავის ამისი აღკრძალვა. აფხაზეთში თუთუნის თესვა-მოყვანა ძლიერ გავრცელებულია და აქედგან კარგი შემოსავალიც არის. მიწის მუშაობას აფხაზი არ ეტანება და ხუმრობს კიდეც: "ამისთვის ღმერთმა მეგრელები გააჩინაო". აგრეთვე გავრცელებულია მესაქონლეობა და უკანასკნელ ხანებში მანდარინის კულტურაც. თავად-აზნაურთა და გლეხთა შორის სადავო არაფერი იყო, რათგან მიწები ყველას მიჩენილი და გამიჯნული ჰქონდა და გლეხებსა და თავად-აზნაურებს შუა არსებობდა მეტად მეგობრული და მოყვრული განწყობილება. განსაკუთრებით გამზრდელობა არის უწმინდესი და უდიდესი ჩვეულება ერთგვარი ნათესაობის დამყარებისათვის, რომელიც დაცულია მეტად მტკიცედ და ღვიძლ ძმობად ითვლება, თუ არა მეტად.

აი, ასეთ ქვეყანაში შემოვიდნენ არამკითხე მოძღვრები მარქსის სოციალიზმით, კლასთა ანტაგონიზმის და ბრძოლის ქადაგებით. აფხაზები არ მიემხრნენ ასეთ უნიადაგო პროპაგანდისტებს, მაგრამ არააფხაზური ელემენტები, მეგრელები, მიწების ხელში ჩაგდების იმედით, მიეკედლნენ სოც.დემოკრატებს. გურულები კი, როგორც ყოველგან საქართველოში, აქაც ამ იდეების გამავრცელებელნი იყვნენ. ამით აფხაზებსა და მეგრელებსა და სხვათა შორის დაიბადა უთანხმოება, რომელსაც მოჰყვა ბოიკოტი, შევიწროება და ტერორიც. ამით ძლიერ ისარგებლეს რუსებმა და უთანხმოების გაღრმავებას შეეცადნენ ყოველგვარი საშუალებით. არა სოციალ-დემოკრატი ქართველები ამ პროპაგანდისტებმა აბუჩად აიგდეს, გალანძღეს, გაათრიეს, დაამცირეს და მათი გავლენაცა და პრესტიჟიც სრულიად დასცეს. მათ მიერ დიდი ხნის შრომით მოხვეჭილი ნდობა აფხაზებისა გაანიავეს, მაგრამ სოც-დემ-მა აფხაზების გული მაინც ვერ მოიგეს, პირიქით, თავი მოაბეზრეს და შეაძულეს მათ. რუსებმა კი ამით ისარგებლეს და უფრო ადვილად სთესავდნენ შურსა და მტრობას ძმათა შორის და ამწვავებდნენ მდგომარეობას.

*მეგობარი*

გაგრძელება იქნება

**ქართული სიმღერის სათავეებთან**



"ქართული ჩანაწერებისა" და "ლაშარის" თანამშრომლობის ძირითადი საზრუნავი ქართული ნაციონალური კლასიკური მუსიკის მიხედვაა.

B2

**„შეფასება - „სენსაცია" - აზრს კარგავს"**



B4

**ჰოლანდიის დედოფლის საჩუქარი საქართველოს**



B7

# Sokwanele-Zvakwana ბატონებო, ზოგი სხვამაც გაიღოს...

მაია ქალაბანიძე

*თუ გახსოვთ, "თავისუფლების ინსტიტუტმა" ვარდების რევოლუციამდე ცოტა ხნით ადრე პლატფორმა შეიმუშავა, რომელსაც ერქვა "კმარა" ანუ 100 ნაბიჯი თავისუფლებისკენ". გამოჩენილმა სახეებმა თავისუფლებისკენაც გადადგეს ნაბიჯები და ხელისუფლებისკენაც. როგორც ამბობენ, ახლა ინსტიტუტში დარჩნენ მხოლოდ მოხუცები, ქალები და ბავშვები... ერთ-ერთი დარჩენილი "მოხუცი" ლევან რამიშვილია, რომელიც ისევ არასამთავრობო სექტორიდან დგამს ნაბიჯებს ზემოხსენებული პლატფორმისკენ. ამ ნაბიჯებით, სხვათა შორის, მარტო პოსტსაბჭოთა რეგიონები არ დაინტერესებულან. ინსტიტუტს ელექტრონული კავშირი ზიმბაბვესთანაც აქვს. ამ ქვეყანაშიც შეიქმნა ორგანიზაცია "კმარა", რომელიც შონას დიალექტზე (რომელზეც 8 მილიონი ადამიანი საუბრობს) ასე ჟღერს - "Sokwanele-Zvakvana" ("რაც კმარა, ის კმარა").*



იური ლობოდინის ფოტო

*რეალურად რევოლუცია ახლა დაიწყო და მთავარი მისი ბოლომდე მიყვანაა.*

**- "თავისუფლების ინსტიტუტიდან" სერიოზული ძალების წასვლა, ალბათ, იგრძნობა.**

- ძველებურად განვაგრძობთ... პრინციპში, ძველებურადაც არა - როდესაც ქვეყანაში ყველაფერი იცვლება, ჩვენც უნდა შევიცვალოთ. გიგა ბოკერიასთან, გივი თარგამაძესთან და დათო ზურაბიშვილთან ერთად 10 წელი ვაკეთებდით საქმეს და, რა თქმა უნდა, მათ გარეშე იოლი არ არის.

**- რას ამბობენ გიგა, გივი და დათო - კარგია ხელისუფლებაშიო?**

- სიმართლე გითხრათ, ხშირად ვერ ვხედავ. როგორც ვხვდები, მათთვისაც არ არის იოლი. გივი უფრი ადრე წავიდა ჩვენგან და რასაც აკეთებდა, წარმატებით დასრულდა. აჭარის ეპოპეა რომ წარმატებულად დამთავრდა, პირველ რიგში, ეს ზურაბ ადეიშვილისა და გივი თარგამაძის დამსახურებაა.

**- რევოლუციის შემდეგ არასამთავრობო სექტორში ერთგვარი ვაკუუმი გაჩნდა.**

- არ ვიტყოდი, რომ ვაკუუმია, ეს არის კრიზისი და იმას არ ნიშნავს, რომ ვინმეს ცალი ფეხი სამარეში აქვს. გარდატეხის წერტილში ვიმყოფებით. შეიცვალა გარემო, ხელისუფლება, საზოგადოება და ასევე უნდა შეიცვალოს სამოქალაქო საზოგადოება, რადგან ამ დინამიკურად ცვალებად გარემოსთან ადაპტირება შეძლოს და არ დაკარგოს ის წამყვანი როლი, რაც მას განვლილი წლების განმავლობაში ჰქონდა.

**- შევარდნაძის რეჟიმის მხილება გაცილებით ადვილი იყო. ახლა რა ფუნქცია გაქვთ?**

- დიახ და არა მხოლოდ იმიტომ, რომ კორუმპირებული, არაკომპეტენტური და არაპოპულარული რეჟიმის მხილება და ამ მხილებით ადგილის დამკვიდრება იყო შესაძლებელი, ეს არ იყო ძირითადი. მთავარი ის არის, რომ ტემპი შეიცვალა და დრო სხვაგვარად გადის. შევარდნაძე პრობლემების არგადაწყვეტის ოსტატი იყო. ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე ამბობდა, თუ საქმის გაკეთება არ გინდა, კომისია უნდა შექმნაო. როდესაც ქვეყანაში ყველაფერი დუნედ მიედინებოდა, არასამთავრობოები ტალღის ქიმზე ყოფნას ახერხებდნენ. ახლა, როდესაც ხელისუფლებას ჰიპოდინამიის ნიშნები აქვს, ამ ტემპში გადაწყობა ცოტა რთულია. ამიტომაც შეიძლება ისეც იყოს, რომ მოვლენები ცალკე მიედინება და სამოქალაქო საზოგადოება ცალკეა. ყველაზე სერიოზული პრობლემა ახალ სიხშირეებზე გადაწყობაა.

ზოგადად შეიცვალა ის მოლოდინები, რაც ჩვეულებრივ ადამიანს სამოქალაქო საზოგადოებისგან ჰქონდა. ყველა შეგუებული იყო იმას, რომ ხელისუფლება ამ ქვეყნის მოქალაქეებს არ წარმოადგენდა და მათ არ ემსახურებოდა. ამიტომაც მხილებას დამაკმაყოფილებელი შედეგიც ჰქონდა. დღეს კი, როდესაც ხალხმა საკუთარი ძალაც დაინახა და რაღაც თვალსაზრისით კანონის რწმენაც მიეცა, ეს უკვე რადიკალურად არასაკმარისი გახდა. გაჩნდა იმის მოლოდინი, რომ ჩვენ ყველანი - ხელისუფლება, სამოქალაქო საზოგადოება, მედია და სხვა სექტორები არსებითად შეცვლიან ყოველდღიურ ცხოვრებას.

**- კონკრეტულად რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას?**

- მიშა სააკაშვილი პარლამენტში ვარდებით ხელში შევიდა, მაგრამ დანარჩენ უწყებებში რევოლუცია არ მომხდარა. სააკაშვილი ყველგან ვეღარ შევა ვარდით, დღეს ის პრეზიდენტია და მას ფიანდაზად ეგებიან, მაამებლობა და თვალში ნაცრის შეყრა ჩვენ ჩინოვნიკებს არ ესწავლებათ. ეს როლი სამოქალაქო საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უნდა შეასრულონ, სწორედ მათ უნდა მიიყვანონ ბოლომდე ვარდების რევოლუცია. არც ერთი ისეთი საჯარო დაწესებულება არ უნდა დარჩეს, სადაც ძველებურად გაგრძელდება ჩინოვნიკების საქმიანობა.

**- არასამთავრობო კრიზისმა გამოიწვია თუ არა ხელისუფლებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების კრიზისიც?**

- წინა ხელისუფლებისადმი იყო უნდობლობა და არა კრიტიკა, ამ ხელისუფლებისადმი ნდობა კი საგრძნობლად გაიზარდა. ნდობასა და კრიტიკას შორის დიდი განსხვავებაა. წინა ხელისუფლების პირობებში არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ მედიის აქტივობა, მამხილებელი საქმიანობა საზოგადოებრივი შეკვეთა იყო, მაგრამ თავის გმირებს დრო ქმნის. დღეს სხვა სიტუაციაა და ამ გამოწვევებზე, ალბათ, სხვა ტიპის პასუხებია მოსაძებნი.

**- ამხელა ნდობა თავად ხელისუფლებისთვის რა საფრთხეს შეიცავს?**

- რადიკალური რეფორმების გასატარებლად ამხელა ნდობის კრედიტი კარგია. ხელისუფლებისთვის ერთადერთი საფრთხე არის ის, რომ გაზრდილი მოთხოვნები ერთ პიროვნებას, პრეზიდენტს უკავშირდება. ჯადოქარი კი არავინაა და სასწაულს ვერავინ მოახდენს. პოლიტიკური პასუხისმგებლობა ხელისუფლების სხვადასხვა შტოებსა და დონეებზე თანაბრად უნდა იყოს გადანაწილებული. პირველ რიგში, ვგულისხმობ ჯერ არარსებულ ადგილობრივ თვითმმართველობას - არ არის ჩამოყალიბებული პოლიტიკური კლასი. რა თქმა უნდა, პრეზიდენტს ყოველთვის ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა აკისრია, მაგრამ სანამ პასუხისმგებლობა თანაბრად არ გადანაწილდება, ეს დიდი რისკის შემცველი, პირველ რიგში, რეფორმების პროცესის შეუქცევადობისთვის იქნება.

**- ადამიანის უფლებებს ყოველთვის ხმაურიანად იცავდით. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტები არის და არც კი შემცირებულა, ახლა ეს ასე აღარ ჩანს, რატომ?**

- ჩვენ ამას ისევე ვაკეთებთ, როგორც ადრე, მაგრამ რეზონანსი სხვადასხვაა. რადგანაც წინა ხელისუფლებისადმი ნდობა პრაქტიკულად არ არსებობდა, ყოველგვარი კრიტიკული გამოსვლა სულ სხვა რეზონანსს იძენდა. დღეს განსხვავებული რეზონანსი აქვს.

**- ეს ხელისუფლება როგორ იღებს თქვენს კრიტიკას?**

- ვერ ვიტყვი, რომ ვინმეს უხარია კრიტიკა. უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობის დონეზე ურთიერთობები და რეაგირება მეტ-ნაკლებად ნორმალურია. ქვედა დონეებზე არსებითი ცვლილებები არ მომხდარა - ქართველი ჩინოვნიკის ჩვეულებრივ მოქალაქესთან დამოკიდებულება არ შეცვლილა. ჯერ მათ ვერ გაიაზრეს, რომ ისინი საჯარო მოსამსახურენი არიან, ანუ ხალხს ემსახურებიან.

**- სად არიან "თავისუფლების ინსტიტუტის" ახალი სახეები?**

- ჩვენ თადარიგი დავიჭირეთ და საკმაოდ ბევრი ახალი სახე გვყავს, რომელსაც საზოგადოება სულ მალე გაიცნობს.

**- თქვენგან განსხვავებული რა სიახლეები მოაქვთ?**

- ისინი საკმაოდ აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ უნივერსიტეტის სტუდენტურ მოძრაობაში - ჩამოაყალიბეს ალტერნატიული სტუდენტური მოძრაობა, რომელიც უნივერსიტეტში გამეფებულ კორუფციას და სწავლების დაბალ ხარისხს ებრძოდა და ცდილობდა შიდასაუნივერსიტეტო რეფორმების დაწყებას. საბოლოო ჯამში, ამ ბირთვისგან მოძრაობა "კმარაც" ჩამოყალიბდა და ბევრი მათგანი დღეს ჩვენთან მოღვაწეობს.

**- დაფინანსება ხომ არ შეგიმცირდათ?**

- ჩვენ დაფინანსების სხვადასხვა წყაროები გვაქვს და ჯერჯერობით არ შემცირებულა. სიტუაცია, როდესაც სამოქალაქო საზოგადოება მთლიანად უცხოურ დაფინანსებაზეა დამოკიდებული, მთლად ჯანსაღი არ არის. უცხოელები ყოველთვის ადეკვატურად ვერ ხედავენ ქართული საზოგადოების საჭიროებებს. მეორე მხრივ, უცხოური დონორების პრიორიტეტები შეზღუდულია და რაც შენ ქვეყნისთვის საჭიროდ და აუცილებლად მიგაჩნია, იმის განხორციელება ყოველთვის ვერ ხერხდება. ამიტომ, ჩვენს კანონმდებლობაში გარკვეული ცვლილებების შეტანა აუცილებელია. პირველ რიგში, ეს ქველმოქმედების შესახებ კანონს ეხება. რამდენადაც ვიცი, ფინანსთა სამინისტროში ახლა მზადდება შესაბამისი კანონი, რომელიც ქველმოქმედებისთვის საგადასახადო სტიმულებს დააწესებს.

აშშ-ში ქველმოქმედებაზე უზარმაზარი თანხები რომ იხარჯება (თუ არ მეშლება, ამერიკის სამხედრო ხარჯებსაც აღემატება), სწორედ ეს აძლევს შესაძლებლობას, რომ ქვეყანა არა მხოლოდ საკუთარ საზოგადოებას დაეხმაროს, არამედ ჩვენც.

**- "თავისუფლების ინსტიტუტს" ევროსტრუქტურებიც აფინანსებენ და ამერიკაც. რა განსხვავებაა ამ ორ სისტემას და პრიორიტეტებს შორის?**

- ზოგადად ერთი და იგივე პრიორიტეტებია, თუმცა დონორებს შორის კოორდინაცია არ არის. ეს კი, პირველ რიგში, ჩვენი ხელისუფლების ბრალია. 10 წელია ჩვენ ამერიკა, ევროპა და საერთაშორისო ორგანიზაციები გვეხმარებიან და ამ წლების განმავლობაში ქვეყანას განვითარების სტრატეგია არ გააჩნია. სიდიდით ამერიკული დახმარების მიმღები მესამე ქვეყანა ვართ. ამ დახმარებით არსებობს მთელი ჩვენი სახელმწიფო. ზოგჯერ არასწორი პოლიტიკური პროპაგანდისთვის გამოიყენება ის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით ვიღაც ჩვენი სახელმწიფოსთვის ძირის გამოთხრას ცდილობს...

**- დღეს უკვე იგრძნობა, რომ შემცირდა იმ ადამიანების რიცხვი, ვინც შარაძეებსა და ფიფიებს ტაშს უკრავს. შემცირდა თუ არა რაოდენობა ადამიანებისა, ვინც არასამთავრობოებს ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში სდებდა ბრალს?**

- ასეთი ხალხის რაოდენობა განსაკუთრებით დიდი არც არასდოს ყოფილა. უბრალოდ, წინა ხელისუფლებისთვის ეს მომგებიანი თემა იყო და კუდიანებზე ნადირობით თავისი პოლიტიკის კატასტროფაზე პასუხისმგებლობას იცილებდა. თითქოს საერთაშორისო დახმარებები წინა მთავრობას არ გაეფლანგოს და თითქოს ეს თანხები იმ კერძო ორგანიზაციებს მიეთვისებინოთ, რომელთაც სახელმწიფო დახმარებებთან არანაირი შეხება არ ჰქონდათ. სწორედ ამ საერთაშორისო დახმარების შედეგად შეიქმნა დემოკრატიის წინაპირობები, კორუფციასთან ბრძოლის სისტემები, შეიცვალა მოქალაქეობრივი ცნობიერება და ეს ადამიანები ამის შედეგად ალმოჩნდნენ ისტორიის სანაგვეზე.

**- საზოგადოებრივი ზედამხედველობის იმ დროებითი საბჭოში ხართ, რომლის ფუნქცია და ამოცანა სახელმწიფო ტელევიზიის საზოგადოებრივ მაუწყებლობად გარდაქმნაა. რამდენად მომგებიანია, როდესაც რეფორმას რეპუტაციაშერყეული ძველი ხელმძღვანელი ატარებს?**

- ეს შეკითხვა საზოგადოებაში მართლაც არსებობს. სამი, ოთხი წლის წინ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ექსპერტებთან ერთად დავიწყეთ მუშაობა. მაშინ ჩვენსა და სახელმწიფო ტელევიზიის ხელმძღვანელობას შორის საკმაოდ კონფრონტაციული ფონი არსებობდა.

მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, დრო გავიდა და კანონპროექტზე მუშაობის პერიოდში ტელევიზიის ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობა კონსტრუქციული ხდებოდა.

**- და ეს საკმარისია იმისთვის, რომ ახალ საზოგადოებრივ ტელევიზიაში იგივე ხელმძღვანელობა დარჩეს?**

- ამას მეურვეთა საბჭო გადაწყვეტს. კანონშიც არის მითითებული, რომ როცა საზოგადოებრივი მაუწყებლობა ჩამოყალიბდება და მეურვეთა საბჭო აირჩევა, ჩატარდება ღია კონკურსი და ნებისმიერი ადამიანი, ვისაც საკმარისი კვალიფიკაცია და გამოცდილება ექნება, ამ კონკურსში მიიღებს მონაწილეობას.

**- იმედია, კონკურსი სამართლიანი იქნება, მაგრამ დღეს ამ ხელმძღვანელობასთან მუშაობა დისკრედიტებას არ უწევს რეფორმას, ხელისუფლებას და თქვენს საბჭოსაც?**

- პროცესი ყველა შემთხვევაში მტკივნეული იქნება. ხდება სახელმწიფო ტელევიზიის ლიკვიდაცია და დაახლოებით 3000 ადამიანის ჩვეული გარემო იცვლება. ახალი მაუწყებლობა პრინციპულად სხვაგვარად იქნება აწყობილი. ამ ტელევიზიაში ახალი ამბების გარდა საკუთარი გადაცემები არ იქნება. ყველა პროგრამა დამოუკიდებელი სტუდიების მიერ იქნება მომზადებული, გამჭვირვალე ტენდერის საშუალებით შეირჩევა და განთავსდება ეთერში. ტენდერში მონაწილეობა ყველას შეუძლია და, მათ შორის, იმათაც, ვინც დღეს იქ მუშაობს.

ბუნებრივია, ამ პროცესის ხელმძღვანელისადმი, ვინც არ უნდა ყოფილიყო ის - ყოველთვის კრიტიკული რეაქციები იქნებოდა. ამ შემთხვევაში ამ სტრუქტურის ძველ ხელმძღვანელს ახალთან შედარებით უპირატესობა ის ექნება, რომ მუნჯის ენა დედამ იცის.

**- საზოგადოებრივი ტელევიზია მოსახლეობამ უნდა შეინახოს. ეს წარმატებულ ქვეყნებში შესაძლებელია. ხდება თუ არა მოდელის ჩვენთან არსებულ სინამდვილესთან შეხამება?**

- ეს აუცილებელიცაა. რასაკვირველია, საზოგადოებრივი მაუწყებლობის მმართველობითი სტრუქტურა დამოუკიდებელი უნდა იყოს, მაგრამ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ მაუწყებლობა მთავრობისგან ფინანსურად იყოს დამოუკიდებელი. იმ შემთხვევაში, თუ მაუწყებლობა ბიუჯეტიდან დაფინანსდება, ხელისუფლებას გარკვეული მანიპულაციების საშუალება მიეცემა. არსებობს დაფინანსების რამდენიმე სქემა, მაგრამ, ჩემი აზრით, ყველაზე გამართლებული პრემიერ-მინისტრის მიერ წარმოდგენილი ვარიანტია, რომლის მიხედვითაც თითოეული მოქალაქის საშემოსავლო გადასახადიდან, დაახლოებით, 1,5 პროცენტი საზოგადოებრივი მაუწყებლობის ბიუჯეტში უნდა წარიმართოს.

არის მეორე სქემაც, რომელსაც ფინანსთა მინისტრი უფრო ემხრობა - სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ მაუწყებლობას შორის გრძელვადიანი კონტრაქტი ფორმდება. ჩვეულებრივ საბიუჯეტო დაფინანსებასთან ამას უპირატესობა აქვს, რადგან ბიუჯეტი ყოველწლიურად გადაიხედება. მინუსი კი ის არის, რომ იმ პერიოდში, როდესაც ერთი კონტრაქტის ვადა ამოიწურება და მეორე ჯერ დადებული არ არის, ხელისუფლებას მანიპულირების შესაძლებლობა ექნება.

**- ნოღაიდელს ბიუჯეტიდან ხარჯების გაღება ურჩევნია? ვერ დავიჯერებ...**

- მისი არგუმენტი ის არის, რომ პრემიერის წარმოდგენილი ვარიანტის შემთხვევაში საბიუჯეტო სისტემის კანონის გადახედვა იქნება საჭირო, რადგანაც გადასახადები უნივერსალური ხდება და სპეციფიკური ნიშნებისთვის გადასახადების რაიმე პროცენტის გადახდას ის არ მიესალმება.

ვფიქრობ, რომ პირველი ვარიანტი რაიმე არსებით პრობლემას იმ შემთხვევაში არ შექმნის, თუ ის ერთადერთი გამონაკლისი იქნება და წესად არ გადაიქცევა, ფინანსთა მინისტრის შიში უფრო ამას უკავშირდება.

კანონპროექტი პრაქტიკულად მზად არის და სწორედ ამ ორ ვარიანტს შორის უნდა აარჩიოს მთავრობამ. რეფორმა წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს. მეურვეთა საბჭოს კი ფიქსირებული 6 წლის ვადით პარლამენტი აირჩევს.

**- დღეს პარლამენტში "თავისუფალი სიტყვის შესახებ" კანონის მოსმენაა, რომელზეც თქვენ ინტენსიურად მუშაობთ. უკანასკნელად ეს კანონი 1991 წელს მიიღეს. ახალში რა ცვლილებებია?**

- როდესაც ეს კანონი მიიღეს, მაშინ არც კონსტიტუცია გვქონდა და არც ევროსაბჭოს წევრები ვყოფილვართ. არ იყო არც საგამოძიებო ჟურნალისტიკა და არც ამ რაოდენობით დამოუკიდებელი საინფორმაციო საშუალებები. არსებული კანონები და, პირველ რიგში, ის, რომელიც პატივისა და ღირსების დაცვას ეხება - სასამართლოებმა ხშირად კრიტიკული ხმების ჩასახშობად გამოიყენეს.

**- რამდენ შემთხვევაში გაიმარჯვა მედიამ?**

- მგონი, თანაბარი პროცენტია, მაგრამ აბსოლუტურად იდენტურ გარემოებებში ურთიერთგამომრიცხავი გადაწყვეტილებებია გამოტანილი.

ძირითადი ცვლილება ის არის, რომ ჩვენი კანონმდებლობა ევროპის საბჭოს გადაწყვეტილებებთან შესაბამისობაში უნდა მოვიდეს. ამ სტანდარტით კი არ შეიძლება, რომ მტკიცების ტვირთი მოპასუხეზე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე იყოს. ჟურნალისტმა არ უნდა ამტკიცოს, რომ ის უდანაშაულოა, ეს მომჩივანმა მხარემ უნდა გააკეთოს. პირველად მომჩივანმა უნდა წარადგინოს მისი მხარდამჭერი პოზიციები და მოპასუხე მხარემ მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დაიწყოს ბრალდებების გაბათილება.

აგრეთვე იცვლება საჯარო და კერძო პირებთან ურთიერთობების სტანდარტები. თუ კერძო პირის შემთხვევაში აბსოლუტურად საკმარისია, მომჩივანმა დაამტკიცოს, რომ მას არსებითად მცდარი ფაქტების გავრცელებით ზიანი მიაყენეს, საჯარო პირის შემთხვევაში, მომჩივანმა დამატებითად უნდა დაამტკიცოს, რომ ჟურნალისტმა მცდარი ფაქტები წინასწარი განზრახვით გაავრცელა ან აშკარა დაუდევრობა გამოიჩინა.

**- უშვებთ თუ არა იმას, რომ მთლიანობაში ეს კანონი ხელისუფლების ხელში მედიისადმი ზეწოლის ბერკეტად იქნება აღქმული?**

- პრესაში ხშირად ვაწყდები ბრალდებას, რომ ეს კანონი ჟურნალისტებისგან მალულად დაიწერა. 10 წლის წინ ჩვენი ორგანიზაციის დაფუძნება სწორედ სიტყვის თავისუფლების დაცვის საკითხებს უკავშირდება. ამ ხნის მანილზე პროექტი არაერთხელ განვიხილეთ სხვადასხვა კონფერენციაზე, დაიბეჭდა პრესაში, პარლამენტში არაერთი და ორი საკომიტეტო მოსმენა შედგა. გახმაურების სხვა ფორმა აღარ ვიცი... ბრალდებები ყველანაირი შეიძლება იყოს, მაგრამ იმედი მაქვს, რომ "ლომი ბრჭყალთაგან შეიცნობის".

**- "ფაგუ" ("კმარა" ოსურად) და ოსეთი...**

- როგორც ჩვენ ვსწავლობდით (ამერიკელებისგან, სერბებისგან) არაძალადობრივ, მშვიდობიან, დემოკრატიულ მოძრაობებს, ასევე ჩვენი ვალია, სამოქალაქო ცოდნა და გამოცდილება სხვა კეთილი ნების ადამიანებსაც გავუზიაროთ. ეს გამოცდილება არა მარტო სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებელთათვის, არამედ ბევრი სხვა ქვეყნისთვის არის საინტერესო. დაინტერესება უკრაინიდან, ბელორუსიდან, ყაზახეთიდან და ზიმბაბვედანაც კი არის.

**- რა მოგწერეს?**

- წლების განმავლობაში ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის იქაც დაპირისპირებაა და საქართველოში მიმდინარე მოვლენებს საკმაოდ აქტიურად აშუქებდნენ. არ ვიცი, იქ როგორ ჟღერს "კმარა", მაგრამ ეს ორგანიზაციები შეიქმნა...

**- მივლინებით ხომ არ გაუშვით ვინმე ზიმბაბვეში?**

- ჯერჯერობით მხოლოდ უკრაინასთან და ყაზახეთთან არის ფიზიკური კონტაქტი. ზიმბაბვეში თუ ინტერესდებიან, გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ ამ გამოცდილებით სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთშიც დაინტერესდნენ. დახმარება ჩვენი მოქალაქეობრივი ვალია.

**- აფხაზეთში, თითქოს, უფრო განვითარებულია სამოქალაქო საზოგადოება.**

- ხშირად ვყოფილვარ რეგიონულ შეხვედრებზე და შეხედულებები, ფასეულობები, ხელისუფლებისადმი კრიტიკული მიდგომა, სხვა კავკასიური რეგიონებისგან განსხვავებით, აფხაზებთან ყველაზე მეტად გვაერთიანებს. ისეთი დამოუკიდებელი, კრიტიკული და აქტიური საზოგადოება, როგორიც აფხაზეთშია, სხვაგან იშვიათად არის.

**- "თავისუფლების ინსტიტუტის" შემდგომი ამოცანები.**

- ვერ ვიტყვი, რომ რევოლუცია დასრულებულია. რეალურად რევოლუცია ახლა დაიწყო და მთავარი მისი ბოლომდე მიყვანაა. მიმაჩნია, რომ ყველაზე მთავარი მონაწილეობითი დემოკრატიის განვითარებაა. პოლიტიკური კლასი, რა თქმა უნდა, საჭიროა, მაგრამ ეს მანანასავით ციდან არ მოგვევლინება. ამისთვის გარემოს შექმნაა საჭირო. ჩვენთვის ყველაზე საინტერესო აქტიური მოქალაქეობრივი კულტურის დამკვიდრება და მექანიზმების შექმნაა.

**- ეს მექანიზმები ხელისუფლებამ უნდა შექმნას თუ სამოქალაქო საზოგადოებამ?**

- ამაზე ორივე მხარეა პასუხისმგებელი. მარტო ხელისუფლების მიერ შექმნილი სამოქალაქო მონაწილეობა რაღაც კომკავშირისა და მწერალთა კავშირის ტიპის სატელიტურ ორგანიზაციებს შეიძლება დაემსგავსოს. ხელისუფლებამ, ალბათ, უნდა შექმნას გარემო, სადაც ეს ყველაფერი შესაძლებელი იქნება.

**- მეგობრები ხელისუფლებაში არ გეპატიჟებიან?**

- სულ მალე "თავისუფლების ინსტიტუტის" დირექტორობიდან გადავდგები, მაგრამ ინსტიტუტში დავრჩები და კანონმდებლობაზე ვიმუშავებ. ხელისუფლებაში წასვლას არ ვაპირებ. ჩვენმა ორგანიზაციამ ახალი ხელისუფლებისთვის საკმაოდ ბევრი გაიღო, ზოგი სხვამაც გაიმეტოს...

კითხვარი

# საქართველოს ბანკის თბილისის ჯაზ-ფესტივალი

**1. თქვენი აზრით, ეს ფესტივალი საქართველოს კულტურული ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანი მოვლენაა, თუ უფრო გასართობი დატვირთვა აქვს?**

**2. ყველაზე მეტად რომელი ფესტივალი დაგამახსოვრდათ?**

**3. თუ გამოარჩევდით წლევანდელი ფესტივალის ფავორიტებს?**

**ჯიმი იაშვილი:**
*რადიო-2-ის პროგრამა ჯაზბრეიკის წამყვანი*

**1.** მე მგონი, უფრო კულტურული მოვლენაა. ამას წინათ წავიკითხე, შეერთებულ შტატებში, მოსახლეობის 7 პროცენტი უსმენს მხოლოდ ჯაზს, მგონი, ჩვენთან მეტია ეს პროცენტული მაჩვენებელი; საქართველოში ჯაზი თანდათან პოპულარული ხდება და ამიტომაც, ეს ფესტივალი საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა.

**2.** 1989 წელს გამართული ფესტივალი. ამდენი ვარსკვლავი, მაშინ რომ შეიკრიბა თბილისში, საქართველოში კი არა, მსოფლიოში არსად ყოფილა. ამ ფესტივალზე გავიცანი ფრედი ჰაბარდი, ასევე, სხვა დიდი ვარსკვლავებიც.

**3.** წლევანდელი ფესტივალის ფავორიტი ბობი მაკფერინია. ეს უნივერსალური მუსიკოსია არა მარტო ჯაზში, არამედ კლასიკურ მუსიკაშიც; როგორც ცნობილია, იგი დირიჟორობს სიმფონიურ ორკესტრს. ეს მაღალი რანგის მუსიკოსია, რომლის შესაძლებლობებიც სცდება ჯაზის ფარგლებს.



ჯიმი იაშვილი.



ნიკა რურუა.



გელა ჩარკვიანი.

**ნიკა რურუა:**
*პარლამენტარი*

**1.** მე მგონი, ძალიან კულტურული მოვლენაა გამომდინარე ფესტივალის სტუმრებიდან. ჯაზის მსმენელი საქართველოში ყოველთვის არსებობდა, რაც ჩვენთან ჯაზის კულტურულ მნიშვნელობაზე მიანიშნებდა. ეს ფესტივალები ამ ტენდენციის დღეგრძელობას ხელს უწყობს და მისი არსებობა მნიშვნელოვანია განსაკუთრებით ახლა, როდესაც ჩვენს ახალგაზდობას ბევრი უგემოვნო პროდუქტი მიეწოდება.

**2.** განსაკუთრებით დამამახსოვრდა 1989 წლის ფესტივალი, როდესაც ჩამოვიდნენ: ნილს პედერსენი და ფრედი ჰაბარდი. საერთოდ, როდისაა ფესტივალი კარგი – რა თქმა უნდა, როდესაც მასში ბევრი ალიარებული და საინტერესო შემსრულებელი გამოდის.

**3.** ჯონ მაკლაფინი, რომელიც ცოცხალი ლეგენდაა. მან ჯაზის საშემსრულებლო დონე ერთი საფეხურით წინ წაწია, მაკლაფინის შემდეგ ყველა სხვანაირად უკრავს. მაკლაფინი ზავინულის, ჩი კორეას, ჰერბი ჰენკოკის დონის მუსიკოსია. როგორც ცნობილია, იგი მაილს დევისის აღზრდილია. მოკლედ, ყველას ვურჩევ მის კონცერტზე წასვლას, თუკი ამის საშუალება ექნებათ.

**გელა ჩარკვიანი:**
*პოლიტოლოგი*

**1.** ჯაზი არ არის გასართობი მუსიკა, ამიტომ ეს ფესტივალიც უფრო კულტურული მოვლენაა. მართალია, ჯაზი, როდესაც ფეხს იდგამდა ნიუ ორლეანში, თავიდან გასართობი საშუალება იყო, მაგრამ თანდათან გართულდა და დღეისათვის მიიღო ეზოთერული მუსიკის ხასიათი, ამიტომაც ეს მუსიკა ყველას არ ესმის. ჯაზფესტივალი თბილისში უფრო მედიტაციის, ჭვრეტის, კულტურული ამაღლების დროა. როდესაც ჯაზს ვუსმენ, ფილოსოფიური განწყობა მეუფლება და ვერ ვიტყვი, რომ ამ დროს ვერთობი.

**2.** ყველაზე მეტად პირველი ჯაზფესტივალი დამამახსოვრდა. მართალია, მაშინ უცხოელი მონაწილეები შედარებით ცოტანი იყვნენ, ფესტივალზე ძირითადად ყოფილი საბჭოთა კავშირის მუსიკოსები გამოვიდნენ, მაგარმ მე მაინც ეს ფესტივალი დამამახსოვრდა. ალბათ იმიტომ, რომ პირველი იყო და ყველაფერი პირველი გვამახსოვრდება. პირველი ფესტივალი რაღაც ახალი ეტაპის დაწყებას ნიშნავდა ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში.

**3.** ჩემთვის ყველაზე საინტერესო ჯონ მაკლაფინის კონცერტი იქნება.



## აფიშა

### თეატრები

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
ფესტივალ "საჩუქრის" დახურვა
დას: 18:00 სთ.

"ეროვნული ჰიმნი"
ავტორი და რეჟისორი: მიხეილ მარმარინოსი
დას: 19:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი**
ნანა ჯანელიძე
FM 90-იანი ადამიანის ხმა
რეჟისორი: ნანა ჯანელიძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
რალფ კნიგის "მოძრავი მამაკაცის" მიხედვით
ET CETERA
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
დათო ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი: დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ.

### კინოთეატრები

**"რუსთაველი"**
"ამნეზია"
დას: 12:00; 17:00; 22:00 სთ.

"დღე ხვალის შემდეგ"
დას: 14:30; 19:30 სთ.

**"ამირანი"**
"ჰარი პოტერი 3"
დას: 10:00; 13:00; 16:00; 19:00;

"ტროა"
22:00 სთ.

**"კინოს მეგობართა კლუბი"**
(გოეთეს ინსტიტუტი)
ევროპული კინოს ოსტატები
ოთარ იოსელიანის ფილმების რეტროსპექტივა
(ქართული პერიოდი)
"თუჯი"
"იყო შაშვი მგალობელი"
დას: 17:00 სთ.

### გამოფენები

**TMS**
ვახტანგ კაკულიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
არქიტექტორ გერა ხეჩინაშვილის ნამუშევართა პერსონალური გაომფენა

**ქარვასლა**
ნოდარ მალაზონიას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

# ქართული სიმღერის სათავეებთან

"ლაშარი" ხალხში გადის

ვერა ნეფარიძე

*რამდენიმე დღის წინათ კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში მყოფი საზოგადოება უჩვეულო კონცერტის მომსწრე გახდა. საკონცერტო პროგრამიდან რამდენიმე სიმღერა პროფესიულ სცენაზე პირველად გაისმა უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში; ხოლო, სიმღერათა უმრავლესობა ასევე პირველად მოისმინა ფართო საზოგადოებამ. ანსამბლი "ლაშარი" ამჯერად თბილისისა და მისი შემოგარენის ხალხმრავალ ადგილებში ქართული ნაციონალური კლასიკური მუსიკის გასატანად ემზადება.*



*"ქართული ჩანაწერებისა" და "ლაშარის" თანამშრომლობის ძირითადი საზრუნავი ქართული ნაციონალური კლასიკური მუსიკის მიხედვაა.*

კონსერვატორიის კონცერტი ანსამბლისა და კომპანია "მელოდია-არტის" თანამშრომლობის პირველი ნაყოფი უნდა ყოფილიყო, მაგრამ კომპანიის დაშლამ "ლაშარის" საკონცერტო პროგრამაზე მუშაობის დასრულებას მოუსწრო. სამაგიეროდ, ანსამბლმა უმალ ახალ პარტნიორთან დაიწყო მუშაობა და შედეგიც სახეზეა: "ქართულმა ჩანაწერებმა" უკვე გამოსცა "ლაშარის" პირველი ალბომი. მაგრამ, "ქართული ჩანაწერებისა" და ანამბლის თანამშრომლობის გეგმებში გაცილებით მეტი შედის, ვიდრე ეს მიღებულია პროდიუსერსა და პარტნიორ მუსიკოსებს შორის.

"ლაშარი" პირველი ხალხური სიმღერის კოლექტივია, რომლის პროდიუსერობითაც "ქართული ჩანაწერები" დაინტერესდა (მათ გარდა, ეს სტუდია ჯგუფ "მწვანე ოთახთან" თანამშრომლობს). ეს თანამშრომლობა იმ იდეამ განაპირობა, რომელიც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად აწვალებდათ როგორც "ლაშარის" წევრებს, ისე სტუდიის ხელმძღვანელებს – ბასა ჯანიკაშვილსა და გიორგი ასანიშვილს. საუბარია იდეაზე, როდესაც უავტორო მუსიკალური მემკვიდრეობის ავტორობა სახელმწიფომ უნდა ივალდებულოს. "რა ფორმით განხორციელდება ეს იდეა, შეიქმნება ფონდი თუ სხვა რამ, ამ დეტალებზე ჯერჯერობით კულტურის სამინისტროს წარმომადგენლებთან არ გვისაუბრია. ისინი ჯერ ცეცხლს აქრობენ ცხელ წერტილებში", - ამბობს ბასა ჯანიკაშვილი და დარწმუნებულია ამის დროც მალე დადგება.

"ქართული ჩანაწერებისა" და "ლაშარის" თანამშრომლობის ძირითადი საზრუნავი ქართული ნაციონალური კლასიკური მუსიკის მიხედვაა; რაც, თავის მხრივ, დამოუკიდებლად დაწყებული აქვს "ლაშარსა" და ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელს გიორგი უშიკაშვილს. მუსიკოსები უკანასკნელი წლების განმავლობაში აქტიურად ეძებენ აუდიო თუ ტექსტუალურ ჩანაწერებს, რაც კი მივიწყებული ხალხური სიმღერის მემკვიდრეობის გადარჩენაში დაეხმარებათ. როგორც ცნობილია, ინგლისში არსებული ქართული სიმღერის არქივის ნაწილი ანზორ ერქომაიშვილის წყალობით თბილისშია; დარჩენილი ნაწილის ჩამოტანას "ლაშარი" გეგმავს; ამას გარდა, გიორგი უშიკაშვილს გადაწყვეტილი აქვს გაშიფროს მუზეუმებში არსებული ლირვაკები (ფირფიტების წინამორბედი). ასევე "ლაშარის" "ანგარიშზეა" ცნობილი სიმღერის – "ჩაკრულოს" აქამდე უცნობი ვერსიის გაცოცხლება. როგორც გიორგი უშიკაშვილი ვარაუდობს, ანსამბლი მზადაა გამოცეს ფართო საზოგადოებისთვის უცნობი ხალხური სიმღერების ათდისკიანი სერია სახელწოდებით "ქართული ნაციონალური კლასიკური მუსიკა".

ამჟამად ანსამბლი საკონცერტო პროგრამის ხალხში გასატანად ემზადება. უახლოეს დღეებში "ლაშარი" თბილისსა და მის შემოგარენში, ხალხმრავალ ადგილებში (ბაზრობებზე, ასევე, დაგეგმილია სამხედრო ნაწილში გასვლაც) ხუთ კონცერტს გამართავს. ანსამბლსა და "ქართულ ჩანაწერებს" ამ იდეის განხორციელებაში ღვინო "თამადა" ეხმარება. ასე რომ, უახლოეს დღეებში ელოდეთ "ლაშარის" მოულოდნელ გამოჩენას.



# ვირთხები და "ვირთხები"

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ

ვინმე რობერტ სალივენის წიგნს მოკლე სათაური აქვს: "ვირთხები". მის შესაქმნელად ავტორი მთელი წლის განმავლობაში აკვირდებოდა Rattus Norvegicus, ანუ ნორვეგიულ ვირთხას, ანუ, არამეცნიერულად – ჩვეულებრივ "ყავისფერს". ავტორი ამ არსებებს ფიორდების მხარეში კი არა, ნიუ იორკში აკვირდებოდა, სადაც თავისი ექსპერიმენტის ველად ნიუ იორკის ქვემო მანჰეტენის უბანი, იდენს ელი, ანუ "სამოთხის ხეივანი" აირჩია. მისი საზღვრები პორტზე, უოლ სტრიტზე და სიტი ჰოლზე გადის, ყვითელი ეშმაკისა და ყავისფერი ვირთხის ქალაქის მერიაზე. ეს იქვეა, სადაც მსოფლიო სავაჭრო ცენტრი, უფრო სწორედ, ის, რაც 9/11-ის ტერაქტის შემდეგ მისგან დარჩა. უბის წიგნაკითა და ჭოგრიტით, დასაკეცი სკამით, ყავით სავსე თერმოსითა და ღამის ხედვის მონოკლით შეიარაღებული სალივენი მთელი წელი ვირთხებს აკვირდებოდა, მათ ყოფასა და წეს-ჩვეულებებს სწავლობდა. ის გაორებული იყო: ერთი მხრივ, შიში და ზიზღი იპყრობდა, მეორე მხრივ კი – ცნობისმოყვარეობა და აღტაცება.

არ ვიცი, სხვაგან როგორაა, მაგრამ ნიუ იორკში ვირთხები სტიქიური უბედურება არიან. მათ ბრტყელტუჩასავით კბილები აქვთ. წიგნში მოყვანილი მონაცემების თანახმად, ნიუ იორკში ელექტროენერგიის მიწოდების შეფერხების შემთხვევების 26 პროცენტი და სატელეფონო კაბელის დაზიანების შემთხვევების 18 პროცენტი მათი კბილების დამსახურებაა. ეს პატარა ცხოველები სექსის გიგანტები არიან. მათ თანაცხოვრება დღეში ოცჯერ შეუძლიათ. პოტენციურად, ერთ წყვილ ვირთხას წელიწადში 15 ათასი მემკვიდრის გაჩენა შეუძლია! ვირთხებს ფენომენალური სენსორული მონაცემები აქვთ, ისინი ყველა გზას, მოსახვევს იმახსოვრებენ, თავიანთი საქმიანობისა და მიგრაციის "ლანდშაფტებში" საუკეთესოდ ერკვევიან. ვირთხების საყვარელი კერძები მოხარშული კვერცხი, მაკარონი და, რასაკვირველია, კანონიკური ყველია. ყველაზე მეტად, რატომღაც, ატამი ეჯავრებათ.

ნიუ იორკში ვირთხები თითქმის იმდენივე არიან, რამდენიც მცხოვრებლები – 8-10 მილიონი. ისინი, ბოდიში მომითხოვია და, მხოლოდ ფაუნა კი არა, პოლიტიკაც არიან. უწინაც და დღესაც ისინი უამრავი გაფიცვის მიზეზი იყვნენ, რომლებიც საცხოვრებელი ფართის დაქირავებასა და ქალაქის სანიტარიული დეპარტამენტის საქმიანობასთან იყო დაკავშირებული. ვირთხების ირგვლივ – კვლავ ბოდიში მომითხოვია – ჰუმანიტარული ბატალიები იმართება, მაგალითად, ვირთხების ორთაბრძოლების იმპრესარიოს, კიტ ბერნსსა და ჰენრი ბერგის მიერ დაარსებული ცხოველთა სასტიკი მოპყრობისგან დაცვის საზოგადოებას შორის. ვირთხების პრობლემა საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის ტყუპი ცათამბჯენების შეცვლის პროექტებშიც ფიგურირებს. ვირთხებს ე.წ. პოლიტკორექტულობაც შეეხო – წმინდა წყლის ამერიკული შეშლილობის ერთ-ერთი ფორმა. ვირთხების პროფესიონალი მჟლეტავებს ექსტერმინატორები აღარ ჰქვიათ. ეს სიტყვა ყურს სჭრის და ცხოველთა მიმართ სისასტიკის წინააღმდეგ მებრძოლებს სინდისს უხეშად ეხება. ამიტომ ახლა ანტივირთხული ხასიათის მქონე ტერმინატორ-შვარცნეგერებმა საკუთარ თავს ვირთხების კონტროლისა თუ მენეჯმენტის, თუნდაც მათი "გამორიცხვის" "ოპერატორები" უწოდეს – როგორც ჩანს, ადამიანების ცხოვრებიდან გამორიცხვა იგულისხმება.

მაგრამ ნიუ იორკის ცხოვრებიდან ვირთხების გამორიცხვა შეუძლებელია. ამიტომ ოპერატორებად გადაკეთებული ექსტერმინატორების შრომა სიზიფეს შრომაა. ვირთხები ამერიკაში შედარებით გვიან გაჩნდნენ. მათი ნიუ იორკზე შემოსევა მე-18 საუკუნეში ვინმე რიგითი აიზეკ სარსის თავგადასავალთანაა დაკავშირებული. მომდევნო საუკუნეში ვირთხები ამერიკული ცხოვრების წესის, უფრო სწორედ, ამერიკული უმსგავსობის შემადგენელ ნაწილად იქცნენ. ნიუ იორკში ვირთხებთან ბრძოლას ორი შვარცნეგერი უდგას სათავეში – ლერი ადამსი, ქალაქის მთავარი ექსტერმინატორ-ოპერატორი, და ბერი ბეკი, რომელიც, "ვირთხების" ავტორს თუ დავუჯერებთ, მსოფლიოში ყველაზე მძლავრი ანტივირთხული ლაშქარის მთავარსარდალია. მიუხედავად ამ სიმძლავრისა, რომელიც ვირთხების სამყაროში ადამიანთა სამყაროს პენტაგონის სიმძლავრე თუ შეედრება, ლერი ადამსი და ბერი ბლეკი დიდად ოპტიმისტურად არ არიან განწყობილი. და ეს იმის გათვალისწინებით, რომ ნიუ იორკელები ვირთხებთან ბრძოლისთვის ასობით მილიონ დოლარს იძლევიან.

ვირთხები იატაკქვეშეთში ცხოვრობენ, მარჯვედ აღწევენ დავიწყებულ გვირაბებში და მიტოვებულ შენობებში, "ცუდად დაგეგმარებულ არქიტექტურულ დიზაინში" დაბოლოს – ყბადაღებულ ნიუ იორკულ მეტროში. ვირთხები, რომლებიც ამერიკული რევოლუციის თანამედროვეები არიან, ისევე, როგორც ყველა ამერიკელი, ემიგრანტები ბრძანდებიან და გამჭრიახობითაც განსაცვიფრებლად ჰგვანან იანკებს. მათ იმდენად შეძლეს ნიუ იორკის ცხოვრებაში ინტეგრირება, რომ მათი ადგილმდებარეობის მიხედვით ამ ქალაქის ყველაზე დაწვრილებითი რუკის, მისი მიწისზედა და მიწისქვეშა ინფრასტრუქტურის გეგმის შედგენა შეიძლება. ამიტომაცაა, რომ "ვირთხების" ავტორი სალივანი Rattus Norvegicus-ს Homo Sapiens-ის "სარკისებრ ანარეკლს", ამ უკანასკნელის ერთგულ, მაგრამ არასაიმედო თანამგზავრს უწოდებს. ყველგან, სადაც კი ადამიანი ჩნდება, თავის კარავს დასცემს და ნაგვის გადაყრას იწყებს, ვირთხებიც ჩნდებიან. ისინი ჩვენი თანამგზავრები არიან, ისევე, როგორც მთვარეა დედამიწის თანამგზავრი.

მიუხედავად ამისა, ვირთხები ადამიანს გაურბიან. ნაგავსაყრელისკან მიმავალები კედელ-კედელ გადაადგილებას ამჯობინებენ. მათ ყველაფერი უჩვეულო აფრთხობთ, მაგალითად... სათაგური. ვირთხები განუწყვეტლივ მოძრაობაში არიან. ავტორი წერს: "...ვინაიდან "სამოთხის ხეივანში" ძალიან ბნელა, ამას ვერ დავიჟინებ, მაგრამ ჩემი ვიდეოფირის მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, სირბილის დროს, გარკვეულ მომენტში, ვირთხის ოთხივე თათი მიწასაა მოწყვეტილი". ცხოვრებასაც ჩქარობენ და გრძნობებსაც ჰყვებიან, დღეში ოცჯერ.





ვირთხები მრავალი ოსტატის შთაგონების საგანი იყვნენ. ჰოფმანის, ფილიპ როტის, ტოლსტოის (მართალია, ალექსეის), ჩაიკოვსკის დასახელებაც საკმარისია.

ამერიკული საზოგადოებისგან განსხვავებით, ვირთხები ნაკლებად დემოკრატიულნი არიან. მათ პრეზიდენტი არა ჰყავთ. მათ ჰყავთ მეფე-ვირთხა. მართალია, უზარმაზარი და ძლიერი მეფე-ვირთხა, რომელიც მიგრირებადი ვირთხების ურდოებს მიუძღვება, უმალ მითია, ვიდრე სინამდვილე. მიუხედავად ამისა, სალივენი მეფე-ვირთხას ჩემ მიერ ზემოთ ნახსენებ აიზეკ სირსს ადარებს, რომლემაც ინგლისთან ბრძოლა სწორედ "სამოთხის ხეივანში" გააჩაღა. ვირთხები ადამიანთა მასობრივი განადგურების ყველაზე მძლავრი ბუნებრივი იარაღია. შუა საუკუნეებში მათ მიერ გავრცელებული შავი ჭირი ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობის 80 პროცენტს ჟლეტდა. "შავი ჭირის ეპიდემია მაშინ იწყება, როცა ჭირიანი ბუზები მომაკვდავი ვირთხების შემდეგ ადამიანებს აფრინდებიან," წერს ავტორი, რომელიც თხრობისას ველოსიპედსაც იგონებს. შავი ჭირის გარდა, ვირთხები სხვა სახიფათო დაავადებებსაც ავრცელებენ, მაგალითად, ლენტოსპიროზს, რომელიც ყვითელაში გადაიზრდება, ციმბირულ წყლულს, ქოლერას, ჰემორაგიულ ციებ-ცხელებას თირკმელის სინდრომით, და სხვა ცნობილ და ნაკლებადცნობილ ავადმყოფობებსაც (ტიფი და ცოფი გამომრჩა). ამიტომ სულ არაა გასაოცარი, რომ ვირთხები მათხოვრობის, უსუფთაობის, სასოწარკვეთილების სიმბოლო (და სიმპტომი) გახდნენ. ამჟამად ამერიკულ გაზეთებში, მაგალითად, "ნიუ იორკ პოსტში", ვირთხა ხშირად მეტაფიზიკური შედარებისთვის გამოიყენება: "სადამ ჰუსეინი, როგორც დაუნდობელი ვირთხა, ოსამა ბინ ლადენი, როგორც მოუხელთებელი ვირთხა და საერთოდ, ტერორისტები, როგორც საზიზღარი და ლაჩარი ვირთხები (რომლებიც განწირული გემიდან რატომღაც მაინც არ გარბიან – მ.ს.).

ვირთხები მხოლოდ მასობრივი განადგურების ყველაზე მძლავრი იარაღი როდი არიან. ისევე, როგორც ტარაკნები, ისინი ადამიანების მიერ შექმნილი მასობრივი განადგურების იარაღის მიმართაც ყველაზე მდგრადები აღმოჩნდნენ. ვირთხის ნაკბენის წნევის ძალა ერთ კვადრატულ დუიმზე შვიდ ათას გირვანქას შეადგენს! ამიტომაა, რომ ვირთხა ასე იოლად, თამაშ-თამაშით კვნეტს გაყვანილობასა და კაბელს, ჩვენს თითებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. როცა უკვე გასული საუკუნის 60-იან წლებში ამერიკელები ენივეტაკის ატოლზე ბირთვულ ცდებს ატარებდნენ, ადგილობრივი ვირთხები უბრალოდ უფრო ღრმად ჩაძვრნენ თავიანთ სოროებში. როცა ბირთვული აფეთქების შემდეგ მტვერი ჩადგებოდა ხოლმე, ისინი კვლავ ზედაპირზე ძვრებოდნენ, რადიაქტიული წვის სუნს იყნოსავდნენ და ადამიანიების მიერ შეწყვეტილ საქმიანობას განაგრძობდნენ. მეცნიერებმა, რომლებიც მათ სწავლობდნენ, ვერავითარი უარყოფითი ცვლილებები ვერ აღმოაჩინეს.

რობერტ სალივენის წიგნის, "ვირთხების" ყველაზე სუსტი ნაწილი დასკვნითი თავებია, წვრილმანი ფილოსოფია – რით ჰგვანან ერთმანეთს ადამიანები და ვირთხები. ავტორი წერს: "ჩვენ მოვდივართ და მივდივართ. ჩვენ კოლონიებად ვცხოვრობთ და ჩვენს თანამოძმეებს ვხოცავთ. ჩვენ გვჭამენ, გვაშიმშილებენ და განზე გვწევენ კონკურენტები – უფრო მსხვილი ვირთხები". მოკლედ, სოციალური დარვინიზმი ხელმოკლეთათვის. ასეცაა და მთლად ასეც არაა, ბევრად უფრო რთული ამბავია.

ვირთხებს ერთი დიდად დადებითი თვისება აქვთ. მათ წინააღმდეგ ბრძოლა ადამიანებს აერთიანებს, ერთმანეთისგან ფრიად განსხვავებულებსაც კი. მაგალითად, ნიუ იორკის მერი ბლუმბერგი და მოსკოვის მერი ლუჟკოვი ძალიან განსახვავებული ადამიანები არიან, ხასიათითაც და ტემპერამენტითაც. მაგრამ ის გარემოება, რომ ნიუ იორკში იმდენივე ადამიანი ცხოვრობს, რამდენიც ვირთხა, და სახელმწიფო სანიტარულ ეპიდემიურ ზედამხედველობას თუ ვერწმუნებით, მხოლოდ 2002 წელს თითო სახლზე 18 ვირთხა მოდის, ამ ორ მერს ერთმანეთს აახლოებს. არ გამიკვირდება, თუ მათი უკვე ტრადიციულად ქცეული შეხვედრების ერთ-ერთ დღის განრიგში ასეთი საკითხიც წამოიჭრება: "რა არის ვირთხა და როგორ უნდა ვებრძოლოთ მას".

მაშ, ასე, ქიმია, რადიაცია, ულტრაბგერა და სათაგურები ვირთხებისგან არ დაგვიცავს. მაგრამ იქნებ, დოსტოევსკისა არ იყოს, სამყაროს მართლაც სილამაზე გადაარჩენს. ციტატით დავიწყებ: "თუ აპრილ-მაისში ნელა გადაადგილებად მღრღნელს დაინახავთ, ნუ მიეკარებით. ვირთხა ასეთ სავალალო მდგომარეობაშიც შეიძლება თავს დაგესხათ, მართალია, გარკვეული დროის მერე ის მაინც მოკვდება. მოწამლული მღრღნელები 13-15 დღის განმავლობაში კვდებიან, შემდეგ მათ გვამებს დერატიზატორები წაიღებენ. ამიტომ მომავალი თვის განმავლობაში არაკეთილმოწყობილი რაიონების მცხოვრებლებს ვირთხების გვამების ცქერასთან შეგუება მოუწევთ".

ეს ნაწყვეტი რამდენიმე ლიტერატურულ ერუდიტს წავუკითხე და ვკითხე – საიდანაა? ყველამ ერთხმად თქვა, რომ ეს არის ციტატა ნობელის პრემიის ლაურეატის, ალბერ კამიუს ცნობილი რომანიდან "შავი ჭირი". ეს ერუდიტები გაოგნდნენ, როცა ვუთხარი, რომ ზემოთ მოყვანილი სტრიქონები "გაზეტადანაა", ინტერვიუდან, რომელიც გაზეთს პეტერბურგის ჩრდილო-დასავლეთ ოლქის შავი ჭირის სადგურის მთავარი ექიმმა მისცა!

თამამად ვაცხადებ, რომ ვირთხები მრავალი ოსტატის შთაგონების საგანი იყვნენ. ჰოფმანის, ფილიპ როტის, ტოლსტოის (მართალია, ალექსეის), ჩაიკოვსკის დასახელებაც საკმარისია. მე ვფიქრობ, რომ ვირთხების საკითხის საბოლოო გადაწყვეტას სწორედ ხელოვნების სფეროში შევძლებთ, და არა მეცნიერების. კონკრეტულად, ვირთხაჭერიას შესახებ ზღაპარს ვგულისხმობ, მგონი, ძმები გრიმებისას. ის ისე ტკბილად და კარგად უკრავდა სალამურზე, რომ როცა მან, დაკვრა-დაკვრით, ქალაქი დატოვა, ვირთხები თან გაჰყვნენ. ვირთხებისგან დაცლილ ამ ქალაქს თამამად შეიძლება "ობიექტის სპეციალური სანიტარული პასპორტი" გადაეცეს! ასე გადაგვარჩენდა სილამაზე ვირთხებისგან.

რობერტ სალივენის "ვირთხებს" დავუბრუნდები და მოგახსენებთ, რომ მისი ავტორის ამომწურავი მონაცემების თანახმად, უკანასკნელი ამერიკული შტატი, რომლის კოლონიზაციაც ვირთხებმა მოახდინეს, მონტანა იყო. მაგრამ თვით ვირთხების ერუდიტმა, სალივანმაც არ იცის, რატომ მოხდა ასე. სალივენი იმასაც გვამცნობს, რომ საშუალო ვირთხა დღეში საშუალოდ ორ უნცია წყალს სვამს. წიგნი "ვირთხები" ასეთი ცნობებითაა სავსე. ის დიდი ინტერესით იკითხება და ვირთხების წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოგვიწოდებს..

# ძველმოდური ფოტოგრაფი

ანა კორძაია-სამადაშვილი

23 თებერვალს ლოს ანჯელესში ჰელმუტ ნიუტონი ავტოკატასტროფაში დაიღუპა. მანამდე ცოტა ხნით ადრე მან თავის მშობლიურ ქალაქ ბერლინს გადასცა ის, რასაც მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა, - ფოტონამუშევრები, რომელთა ნაწილიც გერმანიაში მანამდე არავის ენახა, რადგან 18 წლის ასაკში ნაცისტური გერმანიიდან გაქცეული ხელოვანი ძირითადად საზღვარგარეთ ცხოვრობდა და მუშაობდა.

მას შემდეგ, რაც პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდთან დადებულ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, ნიუტონმა თქვა: "მე ამაყი და ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ფოტოები ჩემს მშობლიურ ქალაქში დაიდებს ბინას, არა მარტო შიშველი სხეულები, არამედ მრავალი სხვაც". მისი თქმით, გერმანიის გარეშე ყოფნა არასოდეს გასჭირვებია, მაგრამ ბერლინი მუდამ ენატრებოდა.

ახლა კი ჰელმუტ ნიუტონის მუზეუმი უკვე ღიაა. საგამოფენო სივრცე 2600 კვადრატულ მეტრს შეადგენს. 1909 წელს აგებული დიდებული შენობა, რომელიც მუზეუმად იქნა გადაკეთებული, ყოფილი ხელოვნების ბიბლიოთეკის საკუთრებაა, მანამდე კი ოფიცერთა სამორინეც ყოფილა. კლაუს-დიეტ ლემანმა, პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდის დირექტორმა, ბრძანა, რომ ეს შენობა "მონუმენტი კი არა, ფორუმი" უნდა გახდეს. ჩანაფიქრის თანახმად, ნიუტონის ფონდის პრეზენტაციებთან ერთად აქ ბერლინის სახელმწიფო მუზეუმის კუთვნილი გამოფენებიც გაიმართება და ახალგაზრდა ფოტოგრაფების შემოქმედებაც იქნება წარმოდგენილი (რასაკვირველია, თუ ვინმე ამდენს გაბედავს; ალბათ, მეტისმეტად მძიმე გამოცდაა, როცა შენს გვერდით დარბაზში ჰელმუტ ნიუტონის შედევრებია გამოფენილი).

ფოტოგრაფმა ქალაქ ბერლინს 1000 ნამუშევარი გადასცა, რომლებიც სხვადასხვა გამოფენებზე იქნება ნაჩვენები. მე წილად მხვდა ბედნიერება, პირველი ორი გამოფენა მენახა: "სექსი და ლანდშაფტი" და "ჩვენ და ისინი".

მუზეუმში შესვლისთანავე, კიბის თავზე, მნახველს ხუთი Big Nudes ეგებება - უწინ მათ ადგილას ხუთი პრუსიელი ოფიცრის პორტრეტები ყოფილა ჩამოკიდებული. ეს ქალები უკვე ქალები აღარ არიან, რაღაც ღმერთების თუ ნახევარღმერთების შთაბეჭდილებას ახდენენ, მათთვის თვალის მოწყვეტა ჭირს – ძლიერი, უნაკლოდ ლამაზი, საშიში არსებები, სულ არ მიკვირს, რომ თავის დროზე, 1982 წელს, ფოტოალბომმა Big Nudes მთელი მსოფლიო შეძრა და ნიუტონს ერთ-ერთი უდიდესი ფოტოხელოვანის სახელი მოუტანა.

პირველი ექსპოზიცია არის "ჩვენ და ისინი", რომელიც ჰელმუტ და ჯუნ ნიუტონების ერთობლივ ცხოვრებას ასახავს – ისინი 1947 წლიდან იყვნენ ერთად. ამ "ფოტოდღიურში" ნიუტონების თანამედროვეებისა და მეგობრების პორტრეტებიცაა წარმოდგენილი, ორორი - ჯუნის და ჰელმუტის მიერ სხვადასხვა ადგილასა და სხვადასხვა დროს გადაღებული. აქ წარმოდგენილია ავტოპორტრეტებიც, ჰელმუტ ნიუტონის ნამუშევრებიც და ჯუნ ნიუტონისაც, რომელიც 1970 წლიდან ელის სპრინგსის სახელით "საკუთარ გზას დაადგა" – ვშიშობ, რომ წარუმატებლად: მიუხედავად იმისა, რომ უდავოდ შესანიშნავი ფოტოგრაფია, მაინც თავისი გენიალური ქმრის ჩრდილშია მოქცეული. ალბათ, ცოტა გულდასაწყვეტია, მაგრამ, მეორე მხრივ, განა გენიოსის თანამებრძოლობა ცოტა საქმეა?



მისი ნამუშევრები ხომ ქალის გამარჯვებაა.

ოსტატის გარდაცვალების შემდეგ მისმა მეუღლემ "ჩვენ და ისინი" რამდენიმე ნამუშევრით შეავსო, რამაც მე, რომელსაც არაფერი ეკითხება, ძალიან გამაჯავრა. უბრალოდ, ვერავინ დამაჯერებს, რომ საავადმყოფოში სულთამბრძოლი ჰელმუტ ნიუტონის და შემდგომ მისი საფლავის ალმბეჭდავი კადრები იმდენადვე ფასეულია, რამდენადაც ექსპოზიციაში წარმოდგენილი დიდებული პორტრეტები. და თავად ის ფაქტიც, რომ ბერლინის ფრიდენაუს სასაფლაოზე (სადაც მის გვერდით მარლენ დიტრიხიცაა დაკრძალული) მეუღლემ ჰელმუტს უკანასკნელი საჩუქარი - ფოტოკამერა მიუძღვნა და ეს სულშიჩამწვდომი აქცია ფოტოფირზე უკვდავყო, საკმაოდ უგემოვნო სპეკულაციად მეჩვენა. მაგრამ თავის საქმისა ქვრივმა თვითონ იცის.

მეორე ექსპოზიციამაც დამაბნია, რადგან კარგად მახსოვდა და გადავამოწმე კიდეც: რამდენიმე წლის წინათ "შპიგელის" ჟურნალისტმა ნიუტონს ჰკითხა, თუ როდის იხილავდა საზოგადოება მისი ბოლო ვნების – ლანდშაფტის ფოტოგრაფიის გამოფენას, რაზეც მოკლე და გასაგები პასუხი მიიღო: "ამას ვერავინ ნახავს". მის გალერისტს მაშინ უბრძანებია: "მათ მაშინ გამოვფენთ, როცა შენ მოკვდები". და აი, ნიუტონის რევოლუციურ ფოტოებთან ერთად დიდ დარბაზში პეიზაჟებიც კიდია. ალბათ ეჭვი არ გეპარებათ, რომ შესანიშნავი ფოტოებია, უბრალოდ, ის დიდი, ცივი და არნახულად ეროტიკული ქალები იმდენად ჩრდილავენ, რომ მხოლოდ ჰელმუტ ნიუტონის შემოქმედების მკლევარი თუ შეაჩერებს მათზე მზერას.

ქალებს კი თვალს ვერ მოწყვეტთ. ვერაფრით ვხვდები, რატომ ბრაზობდნენ ოსტატზე ფემინისტები და ქალთა უფლებებისთვის მებრძოლნი – თუ მაინცდამაინც ასე წავიდა საქმე, მისი ნამუშევრები ხომ ქალის გამარჯვებაა. იმასაც ვერ ვხვდები, ვის მოუვიდა თავში აზრად, ჰელმუტ ნიუტონის ნამუშევრებისთვის პორნოგრაფია ეწოდება – ვინ გაუბედა?!

თავად ნიუტონი მოკრძალებით ამბობდა ხოლმე: "მე ძველმოდური ფოტოგრაფი ვარ". ძველმოდური რევოლუციონერი. დიდებული რამაა.



EURO 2004

# გერმანია მაინც გერმანიაა





1:0


1:1

მატჩის დასრულებამდე 9 წუთით ადრე რუდ ვან ნისტელროის მიერ გატანილმა ულამაზესმა გოლმა ჰოლანდიის ნაკრებს ერთი ქულა და ევროპის ჩემპიონატის ფავორიტის სტატუსი შეუნარჩუნა. ჰოლანდიელები მთლიანად ტურნირის ფავორიტებად მიიჩნევიან და ასეთებად გერმანიის ნაკრების წინააღმდეგ გუშინდელი მატჩის წინაც მიიჩნეოდნენ. ჩემპიონატის დაწყებამდე გერმანელებმა კატასტროფული მარცხები განიცადეს რუმინეთისა და უნგრეთის ნაკრებების წინააღმდეგ და ალბათ სწორედ ამ ფაქტორით იყო გამოიწვეული, რომ ჰოლანდიის ნაკრების წინააღმდეგ გერმანელები აუთსაიდერებად მონათლეს.

არადა, ბუკმეკერებმა და ფეხბურთის სპეციალისტებად წოდებულმა ადამიანებმა აშკარად იჩქარეს, როდესაც მსოფლიოს მოქმედი ვიცე-ჩემპიონის ბრძოლისუნარიანობაში შეიტანეს ეჭვი და უპირატესობა იმ გუნდს მიანიჭეს, რომელმაც ვერა და ვერ შეძლო თავისი ნაქები პოტენციალის რეალიზება. ყველას დაავიწყდა ის ფაქტიც, რომ ამ ორი გუნდის ურთიერთშეხვედრებში გერმანიას აშკარა უპირატესობა აქვს მოგებული მატჩების მხრივ.

ის, რომ პროგნოზები არც თუ ისე მართებული იყო, მატჩის დებიუტშივე გამოჩნდა. მართალია, პირველი სახიფათო მომენტი რუდ ვან ნისტელროიმ შექმნა ოლივერ კანის კართან, თუმცა ამის შემდეგ ინიციატივა გერმანელების მხარეს გადავიდა. მაშინ, როდესაც ჰოლანდიელები ინერტული შეტევებითა და მოწინააღმდეგის კარის მიმართულებით სუსტი დარტყმებით შემოიფარგლებოდნენ, გერმანელი ფეხბურთელები ერთმანეთის მიყოლებით ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს ვან დერ საარის კართან. ერთერთი ასეთი შეტევისას, ჰოლანდიელების საჯარიმო მოედანში შექმნილი ქაოსით ტორსტენ ფრინგსმა ისარგებლა და ანგარიშიც გახსნა.

მეორე ტაიმში ჰოლანდიელებმა თამაშის გამოსწორება შეძლეს, ყველაზე მეტად კი ეს რაფაელ ვან დერ ვაარტს ეხება. ეს ახალგაზრდა ფეხბურთელი შეტევაში რუდ ვან ნისტელროის უმაგრებდა ზურგს და გერმანიის ნაკრებს ყველაზე დიდ პრობლემებსაც უქმნიდა. მაგრამ, ამ მატჩში დიკ ადვოკაატის მთავარი კოზირი არა ვან დერ ვაარტი, არამედ მარჯვენა ფრთაზე მოტამაშე ვან დერ მეიდე გახლდათ. სწორედ ვან დერ მეიდეს ჩაწოდებულ ბურთს მოყვა ნისტელროის მიერ გატანილი ულამაზესი გოლი - 1:1.

მატჩი ფრედ დასრულდა, რითაც ალბათ ორივე გუნდი კმაყოფილი უნდა იყოს. ჰოლანდიელებმა საჭირო ერთი ქულა მოიპოვეს და ფავორიტის სტატუსი შეინარჩუნეს, გერმანელებმა კი ყველას დაუმტკიცეს, რომ მათი ჩამოწერა არ შეიძლება.

# თითქმის შემდგარი სენსაცია





ვერპაკოვსკისმა თავის მწვრთნელს ოცნება აუსრულა.

ლატვიის ნაკრები, რომელიც ქვეყნის ისტორიაში პირველად ასპარეზობს მაღალი დონის საერთაშორისო საფეხბურთო ტურნირზე, ევროპის მიმდინარე ჩემპიონატის D ჯგუფის აუტსაიდერად მიიჩნევა. ასე თვლიან ფეხბურთის სპეციალისტები, გულშემატკივრები, ბუქმექერები. დიდი ამბიციები არც თავად ლატვიელებს აქვთ. მათი მთავარი მწვრთნელი სტარკოვი იმასაც კი ამბობს, რომ უბედნიერესი ადამიანი იქნება, მისმა გუნდმა ერთი გოლის გატანა მაინც რომ მოახერხოს ევროპის ჩემპიონატზე...

ეს ოცნება სტარკოვს პირველივე მატჩში, პირველი ტაიმის დამატებით წუთზე აუხდა, როდესაც ვერპაკოვსკისმა გაუტანა ჩეხებს. გუშინდელ შეხვედრაში, ავეიროს მუნიციპალურ სტადიონზე ორი სრულიად განსხვავებული ამბიციების მქონე გუნდი შეხვდა ერთმანეთს. ლატვია გოლის გატანაზე ოცნებობს, ჩეხები კი ევროპის ჩემპიონის ტიტულს უმიზნებენ. რა გასაკვირია, რომ სტარკოვის გუნდი ძირითადად საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე იყო ორიენტირებული. მიუხედავად იმისა, რომ საყოველთაო ვარაუდი არ გამართლდა და ლატვიელებმა ერთი თავდამსხმელის ნაცვლად ორი ფორვარდი გამოიყვანეს მინდორზე, ევროპის ჩემპიონატის დებიუტანტი მხოლოდ კონტრ-შეტევების წყალობით ცდილობდა ჩეხების დაძლევას. თავად ჩეხები შეხვედრის პირველივე წუთებიდან უტევდნენ, თუმცა ლატვიელი მცველების თავგანწირული თამაშის გამო, ვერა და ვერ მოახერხეს გოლის გატანა. პირველი ტაიმი ჩეხების გამუდმებულ შეტევებში მიმდინარეობდა, თუმცა გოლის გატანა, როგორც უკვე მოგახსენეთ, ლატვიელმა ვერპაკოვსკისმა მოახერხა - 1:0 ლატვიის სასარგებლოდ.

უკანასკნელი მსოფლიო ჩემპიონატის და ევროპის მიმდინარე ჩემპიონატის სადებიუტო მატჩის შემდეგ, ალბათ, აღარც ის იქნებოდა დაუჯერებელი ამბავი, ლატვიელებს რომ ჩეხებისთვის მოეგოთ. თუმცა, მორიგი სენსაცია არ მოხდა. მატჩის მეორე ტაიმი იმავე სცენარით განვითარდა, რა სცენარითაც პირველი. განსხვავება კი ის იყო, რომ ლატვიელებმა გოლის გატანა ვეღარ შეძლეს, ჩეხებმა კი ორი გოლი გაიტანეს და სამი ქულა მოიპოვეს.

მიუხედავად იმისა, რომ თავიანთი თავგანწირული თამაშით, ლატვიის ნაკრებმა ბევრი გულშემატკივრის გული მოიგო, გუშინდელი მატჩის შედეგი მაინც სამართლიანია. სენსაცია არ მოხდა, მაგრამ მაინც დიდი მოულოდნელობა იყო ის ფაქტი, რომ ჩეხების მიერ დაგეგმილ "ადვილად მოსაპოვებელ" 3 ქულას დიდი საშიშროება ემუქრებოდა. ლატვია დამარცხდა, თუმცა გოლის გატანა ხომ მაინც შეძლო...

## TV-სპორტი

### ოთხშაბათი. 16 ივნისი

**НТВ+ФУТБОЛ**
07:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: სპენსერ ჰეივუდი
08:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1991. ფინალი. "CHICAGO BULLS" - "LOS ANGELES LAKERS". პირველი მატჩი
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 განვლილი სეზონის გახსენება. ესპანეთის ჩემპიონატი. "რეალ სოსიედადი" - "ბარსელონა"
14:55 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. "არსენალი" - "ჩელსი"
16:35 თავისუფალი დარტყმა
16:50 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
17:20 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. "რომა" - "მილანი"
19:05 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 2000/2001 "დინამო" (უკრაინა) - "ანდერლეხტი" (ბელგია)
20:50 თავისუფალი დარტყმა
21:05 სახვალიო ტელეპროგრამა
21:15 განვლილი სეზონის გახსენება. გერმანიის ჩემპიონატი. "ვერდერი" - "შტუტგარტი"
23:00 "დარტყმა გოლისთვის"
23:15 განვლილი სეზონის გახსენება. ჰოლანდიის ჩემპიონატი. "აიაქსი" - "ფეიენოორდი"
01:00 განვლილი სეზონის გახსენება. ესპანეთის ჩემპიონატი. "ბარსელონა" - "ბეტისი"
02:45 02:45-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს ჩემპიონატი. ფინალი. "DETROIT PISTONS" - "LOS ANGELES LAKERS". მე-5 მატჩი

**НТВ+СПОРТ**
11:00, 14:00, 17:00, 20:00 პრესცენტრი
11:20 "ოლიმპის შვილები"
11:25, 14:15 "ფორმულის ჰარმონია"
11:45 ჭადრაკი. "პეტროსიანის სახელობის გუნდი" - მსოფლიო ნაკრები
12:15 შოუ ვარსკვლავთა მონაწილეობით. მოტოსპორტი პარიზის სპორტის სასახლე "ბერსიში"
13:00 ცხენოსნობა. წინაღობათა გადალახვა. რუსეთის ჩემპიონატი. მეორე ნაწილი
14:35 "ვლადისლავ ტრეტიაკის ორი სიცოცხლე"
15:10 სპორტული ცეკვები. ევროპის ჩემპიონატი ლათინოამერიკულ ცეკვებში
16:10 ბოულინგი. PBA Tour დალასში. აშშ
17:15 ბრძოლა წესების გარეშე - "Ultimate Fighting Championship"
18:50 ცხენოსნობა. "Royal Ascot". პირდაპირი ტრანსლაცია ინგლისიდან
20:15 როდეო. "Bull Riders"
21:00 "ათენის გზაზე"
22:00 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. ფინალი. "DETROIT PISTONS" - "LOS ANGELES LAKERS". მე-5 მატჩი. შესვენებისას (22:30) - პრესცენტრი
01:00 ახალი ამბები
01:15 ტრიატლონი. მსოფლიო თასი
02:05 02:05-დან 05:40-მდე შესვენება
05:40 ფეხბურთი. ბრაზილიის თასი. "ფლამენგო" - "ვიტორია". ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**
10:00 ფეხბურთი. ევრო 2004-ის გუნდები
10:30 ფეხბურთი. ევრო 2004. ევროპის ჩემპიონატი პორტუგალიაში
11:30 ფეხბურთი. ევრო 2004-ის გუნდები
12:00 ფეხბურთი. ევრო 2004-ის გუნდები
12:30 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
13:00 რალი რეიდი. მსოფლიო თასი მაროკოში
13:30 მულტისპორტი. კვირის სტუმარი
13:45 ფეხბურთი. პლანეტა ევრო
14:15 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ლეგენდები
15:15 ფეხბურთი. ევრო 2004-ის გუნდები
15:45 ოლიმპიური თამაშები. ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტა
16:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი ჰოლანდიაში
17:30 ჩოგბურთი. ATP ტურნირი გერმანიაში
19:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ლეგენდები
20:00 ფეხბურთი. ევრო 2004-ის გუნდები
20:30 კრივი
21:45 სუმო. გრანდ ტურნირი (ბაშო)
22:45 ოლიმპიური თამაშები. ოლიმპიადის კულტურული პროგრამა
23:00 ფეხბურთის სიახლენი
23:15 ცხენოსნობა. ნაციის თასი სამსუნგი პორტუგალიაში
00:15 გოლფი. ევროპული ტური შოტლანდიაში
00:45 გოლფი. PGA ტურნირი აშშ-ში
01:45 აფროსნობა
02:15 ფეხბურთი. ევრო 2004. ევროპის ჩემპიონატი პორტუგალიაში
03:15 ახალი ამბები
03:30 ფეხბურთი. ევრო 2004. ევროპის ჩემპიონატი პორტუგალიაში

# გია გურული:
# "შეფასება - "სენსაცია" - აზრს კარგავს"

მიხეილ აბაიშვილი


გურული "ფავორიტების" წინააღმდეგია.

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საქართველოს ნაკრების მომავალი მეტოქეები პორტუგალიაში ბრწყინვალედ ასპარეზობენ. დანიამ ჩემპიონატის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტთან, იტალიის ნაკრებთან მატჩი ფრედ დაასრულა, თუმცა, თამაშის ხასიათიდან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელი იყო, შეხვედრის ბედი თავის სასარგებლოდაც გადაეწყვიტა. გაცილებით შორს წავიდა საბერძნეთის ნაკრები, რომელმაც ჩემპიონატის პირველსავე მატჩში სერიოზული სენსაცია შემოგვთავაზა: იტალიელთა მსგავსად, ფავორიტებად შერაცხული მასპინძელთა ნაკრები დაამარცხა.

საქართველოს ნაკრების მეორე მწვრთნელი გია გურული ამჟამად საფრანგეთშია და იქიდან ადევნებს თვალყურს პორტუგალიის სტადიონებზე მიმდინარე ბატალიებს. "24 საათი" გთავაზობთ გურულის კომენტარს დანიისა და საბერძნეთის ნაკრების მიერ ჩატარებულ შეხვედრებზე.

"ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე გუნდები ორ ჯგუფად, ფავორიტებად და აუტსაიდერებად დაყვეს. პირველ ჯგუფში შეიყვანეს საფრანგეთი, იტალია, პორტუგალია, ინგლისი, გერმანია და ჰოლანდია, ხოლო მეორეში - ყველა დანარჩენი. ბევრჯერ მითქვამს და გავიმეორებ, რომ ასეთი დიფერენციაცია გამართლებული აღარ არის. ჩვენი მომავალი მეტოქეები - დანია და საბერძნეთი მეორე კატეგორიაში მოახვედრეს, თუმცა თამაშებმა დაადასტურა, რომ ეს გუნდები არაფრით ჩამოუვარდებიან ფავორიტებს. არც ის მიმაჩნია სწორად, რომ საბერძნეთის გამარჯვება სენსაციად შეაფასეს. თანამედროვე ფეხბურთში ცნება "სენსაცია" თანდათან აზრს კარგავს. რა თქმა უნდა, ბევრისთვის, პირველ რიგში, მასპინძელი ქვეყნის გულშემატკივრებისთვის, მოულოდნელი იყო მათი გუნდის მარცხი უსახელო საბერძნეთის ნაკრებთან, მაგრამ ამის გამო თამაშის შედეგის სენსაციად მონათვლა სწორი არ არის. საბერძნეთის ნაკრებმა ჯერ კიდევ შესარჩევ ტურნირში დაამტკიცა, რომ სერიოზული ძალაა. ბერძნებმა სტუმრად ესპანეთის ნაკრები დაამარცხეს და გადათამაშების გარეშე მოხვდნენ ფინალურ ეტაპზე.

რაც შეეხება თავად თამაშს, ბერძნებმა თითქმის ყველა ასპექტში დაჯაბნეს მეტოქე. როგორც ჩანს, სკოლარის გუნდი არ ელოდა, რომ ასეთ სერიოზულ წინააღმდეგობას გადააწყდებოდა და ერთგვარად დაიბნა კიდეც. მასპინძლები ასეთი ორგანიზებული თამაშისთვის ტაქტიკურად მზად არ იყვნენ. ამიტომ ინდივიდუალური თამაშის, იმპროვიზაციის ხარჯზე სცადეს ფონს გასვლა. თანამედროვე ფეხბურთში კი მხოლოდ ინდივიდუალური თამაშით, თერთმეტი ფიგუ რომ გყავდეს გუნდში, არაფერი გამოგივა.

ცალკე საუბრის თემაა ოტო რეჰაგელი, რომელიც ბერძნების ამ ნახტომისებური პროგრესის მთავარი შემოქმედია. მასთან ქართველებსაც გვქონია არცთუ მთლად კეთილად მოსაგონარი ურთიერთობა. გახსოვთ, ალბათ, ჯერ კიდევ კომუნისტების დროს, 1987 წელს, თბილისის "დინამო" უეფას თასზე ბრემენის "ვერდერს" შეხვდა. მაშინ ამ გუნდს სწორედ რეჰაგელი ედგა სათავეში. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ის ახალგაზრდა და გამოუცდელი იყო, მაინც დაგვანახა, თუ რა დონის გუნდის გაკეთება შეუძლია. ვისაც ის თამაშები ახსოვს, დამეთანხმება, რომ 1987 წლის ფორმაციის "ვერდერის" წინააღმდეგ თამაში, რომელიც კოლექტიური სულისკვეთებითა და მაღალი ორგანიზებულობით გამოირჩეოდა, საკმაოდ ძნელი იყო.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, რომელიც რეჰაგელს უქმად არ დაუკარგავს და საკუთარი სამწვრთნელო განსწავლულობა საგრძნობლად გაუმდიდრებია. ეს ყოველივე ნათლად ჩანს საბერძნეთის ნაკრების თამაშში. გერმანელ სპეციალისტს იმაშიც გაუმართლა, რომ ბერძნებს რამდენიმე საკმაოდ მაღალი კლასის ფეხბურთელი ჰყავთ. შესაბამისად, მან გუნდში ერთგვარი სინთეზი მოახდინა: ბერძნები თამაშობენ ძალისმიერ, მკაცრად ორგანიზებულ ფეხბურთს, რომელიც შერწყმულია ტექნიკურ ფეხბურთთან. დარწმუნებული ვარ, საბერძნეთის წინააღმდეგ თამაში ესპანეთსაც ძალიან გაუჭირდება და ეს გუნდი დღეს ქვეჯგუფიდან გასვლაზე რეალურ პრეტენზიას აცხადებს.

ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა დანიის ნაკრებმაც. საყოველთაოდ მიღებულია აზრი, რომ წლევანდელ ჩემპიონატს ორი გამოკვეთილი ფავორიტი ჰყავს - საფრანგეთი და იტალია. აი, სწორედ ამ გამოკვეთილ ფავორიტთან მატჩში დანიელებმა, თუ უკეთესად არა, იტალიელებზე ნაკლებად ნამდვილად არ ითამაშეს. განსაკუთრებით გამოვყოფდი გუნდის მეკარე სორენსენს. მან ფანტასტიკურად ითამაშა, რამდენიმე ეპიზოდში კი, უბრალოდ, საოცრება მოახდინა. თუმცა, არც ბუფონს დასდგომია ნაკლები ჯაფა, რაც დანიის ნაკრების მაღალ შემტევ პოტენციალზე მიუთითებს. შემადგენლობასაც თუ გადავხედავთ, მორტენ ოლსენს, მართლაც, უმაღლესი კლასის ფეხბურთელებთან უწევს მუშაობა. განსაკუთრებით გამოვყოფ ჩვენი კალაძის თანაგუნდელს, იონ დალ ტომასონს, თუმცა, მას არც სხვა თანაგუნდელები ჩამოუვარდებიან.

მომდევნო შეხვედრებში კიდევ უფრო გამოჩნდება, თუ რა მიზნები აქვთ ბერძნებს და დანიელებს ამ ტურნირზე დასახული და რამდენად შეუძლიათ ამ მიზნების მიღწევა. ერთი რამ უკვე დანამდვილებით შეიძლება ითქვას: არც ბერძნებს, არც დანიელებს აუტსაიდერებად აღარ მიიჩნევენ", - თქვა გია გურულმა.



EURO 2004

# რუსებმა მოსტოვოი გაუშვეს

რუსეთის ნაკრების ნახევარმცველი ალექსანდრ მოსტოვოი ნაკრების შემადგენლობიდან დაითხოვეს. ამის მიზეზი გახდა ის კრიტიკული გამონათქვამები, რომელიც ფეხბურთელმა ესპანურ პრესასთან საუბარში გამოიყენა. მწვრთნელთა შტაბის შეკრებაზე გადაწყდა, ფეხბურთელი გუნდიდან გაეთავისუფლებინათ.

ვარაუდი, რომ მოსტოვოის ადგილი ნაკრებში აღარ იქნებოდა, ჯერ კიდევ რუსეთის ნაკრების ბოლო პრესკონფერენციაზე შეიძლებოდა. მწვრთნელმა გიორგი იარცევმა ნათლად დაადასტურა, რომ აღარა აქვს 35 წლის ნახევარმცველის იმედი. როგორც რუსეთის ნაკრების გენერალური მენეჯერი ალექსანდრ ჩერნოვი აცხადებს, საბოლოო გადაწყვეტილება ამის თაობაზე ორშაბათს, გვიან საღამოს მიიღეს. ფორმულირება ასეთი იყო: "მოსტოვოის შემდგომი ყოფნა ნაკრების შემადგენლობაში მიზანშეუწონლად ჩაითვალოს". მიზეზი: "ფეხბურთელის უადგილო და არაეთიკური გამონათქვამები ესპანურ პრესაში".

მოსტოვოი ვილამოურში ნაკრების ბაზას გუშინ დატოვებდა და შინ, ვიგოში გაემგზავრებოდა. ნაკრები კი გეზს აიღებდა ლისაბონისკენ, სადაც დღეს რუსები პორტუგალიის გუნდს შეხვდებიან. გამგზავრების წინ იარცევმა პრესისთვის განცხადება გააკეთა: "არც ერთ ფეხბურთელს, ერთის გარდა, არ გამოუთქვამს ეჭვი ვარჯიშის მეთოდებთან დაკავშირებით. ამას გარდა, მოსტოვოის უარმა, ბოლომდე ებრძოლა ესპანეთის წინააღმდეგ მატჩში, განაპირობა დამატებითი დატვირთვა გუნდის დანარჩენ ფეხბურთელებზე. ხოლო დამარცხებული კაცის გამონათქვამები, რომელსაც მოსტოვოი ესპანური პრესისთვის აკეთებდა, გუნდში მის შემდგომ დარჩენას მიზანშეუწონელს ხდის".

ესპანური რადიოსთვის მიზეზი გახდა მოსტოვოის ინტერვიუ, რომელიც მან ესპანელებთან მატჩის შემდეგ მისცა. "ჩვენ სრულიად გამოვიფიტეთ იმ დატვირთვით, რომელიც მწვრთნელთა შტაბმა შემოგვთავაზა. არა მგონია, ესპანელები იმავე რეჟიმში ვარჯიშობდნენ. მე საშინლად გაბრაზებული ვარ. არც ის მგონია, რომ რუსეთის ნაკრებს ჯგუფიდან გასვლის შანსი დარჩა". პრინციპში, ასეთი განცხადებების შემდეგ იარცევს სრული უფლება ჰქონდა, ფეხბურთელი ნაკრებიდან



მოსტოვოი შინ გაისტუმრეს.

დაეთხოვა, - მიიჩნევენ რუსი ჟურნალისტები. იარცევმა პორტუგალიაში გამგზავრების წინ დიდი მიზნები დაისახა - სულ ცოტა, ჯგუფიდან გასვლა. "რაში სჭირდება გუნდს ფეხბურთელი, რომელსაც არ სწამს, რომ მის გუნდს ამ მიზნის განხორციელება შეუძლია", - აცხადებენ ჩვენი რუსი კოლეგები. "თუ ვინმე ფიქრობს, რომ ნაკრებს პერსპექტივა არა აქვს, ეს მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ასეთ ფეხბურთელს თავად არა აქვს პერსპექტივა ნაკრებში", - თქვა გიორგი იარცევმა.

შეიძლება ასეთი გადაწყვეტილება სხვა ფეხბურთელის მიმართ მაშინვე მიეღოთ, მაგრამ მოსტოვოის ნაკრებისთვის სულ სხვა მნიშვნელობა ჰქონდა და იარცევს ეს კარგად მოეხსენება. მართალია, ფეხბურთელმა ესპანეთის წინააღმდეგ ვერ გაიბრწყინა, მაგრამ ყველაზე უარესადაც არ უთამაშია. ასეა თუ ისე, მწვრთნელებმა მაინც მაქსიმალურად ბოლომდე გადადეს მოსტოვოის გუნდიდან დათხოვნის გადაწყვეტილება.

პრინციპში, მოსტოვოი დიდი ხანია უსიამოვნებას ეძებდა. მან კარგად იცოდა, რომ ევრო 2004 მისი ბოლო შანსი იყო, რაიმე სერიოზული წარმატებისთვის მიეღწია, მაგრამ, ამის მიუხედავად, პრესისთვის სკანდალურ განცხადებებს აკეთებდა. ევრო 2004-ის წინ იყო შემთხვევები, როცა მოსტოვოის, უბრალოდ, ვერ უგებდნენ. ესპანურ პრესაში ის ხან მსაჯების საქციელს კიცხავდა, ხან ამტკიცებდა, რომ მისი გამონათქვამები ზოგადად მსაჯობას ეხებოდა. "მე არ ვაპირებ, ვისაუბრო მსაჯების ქმედებაზე რომელიმე კონკრეტული მატჩის მიხედვით. როგორც ჩანს, ჟურნალისტმა, უბრალოდ, ჩემი სიტყვების არასწორი ინტერპრეტაცია მოახდინა. მის კითხვაზე პასუხისას მე განვაცხადე, რომ ზოგადად მსაჯობის პრობლემებს განვიხილავდი. თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ ხანდახან ჩემი სიტყვები მკაცრად ჟღერს, მაგრამ სხვანაირად არ შემიძლია", - განაცხადა მოსტოვოიმ.

ფაქტია, რომ 35 წლის ზრდასრულ მამაკაცს, რომელსაც ვიგოს "სელტას" ბოლო წლების წარმატებები უკავშირდება და გუნდის ფანები მზად არიან, მოსტოვოის ძეგლიც კი დაუდგან, გიორგი იარცევი ვერ ასწავლიდა სხვანაირად მოქცევას. მოსტოვოის პროფესიულ კარიერაში რამდენიმე წელიწადიღა დარჩა და როგორ აღიბეჭდება ის გულშემატკივრის მეხსიერებაში, ეს მთლიანად მოსტოვოიზეა დამოკიდებული.

მაგალითად, დაიმახსოვრებენ თუ არა მას, როგორც საუკეთესო გამთამაშებელსა და სტანდარტული მდგომარეობების შესრულების ოსტატს, რომლის წყალობითაც "სელტა", პირველად არსებობის ისტორიაში, ჩემპიონთა ლიგაში გავიდა. თუ ფანების მეხსიერებაში დარჩება როგორც კონფლიქტური ადამიანი, რომელსაც მწვრთნელთან მუდმივი კონფლიქტი აკავშირებს? ეს ყველაფერი მხოლოდ მასზეა დამოკიდებული.

ფაქტია, რომ მოსტოვოის წასვლით გუნდი ვერაფერს მოიგებს. მეგობრული ატმოსფერო კი, როგორც რუსთა ბანაკში ვარაუდობენ, გაუმჯობესდება. თუმცა, რუსეთის საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა ვალერი დრაგანოვმა განაცხადა:

"მე ძალიან ვწუხვარ ამ გადაწყვეტილების გამო. ის რუსეთის ნაკრებს არ წაადგება. ის, რომ მოსტოვოის დათხოვნა გუნდში მორალურ ატმოსფეროს გააუმჯობესებს, მხოლოდ მოჩვენებითია. სინამდვილეში მიზანშეწონილი არ არის, ისეთი პრინციპული მატჩების წინ, რომელიც რუსეთის ნაკრებს ელის, გუნდში არსებული უთანხმოება სააშკარაოზე გამოვიდეს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოსტოვოი კრიტიკულად მიუდგა მწვრთნელის სავარჯიშო მეთოდებს, არა მგონია, ეს მისი გათავისუფლების ნამდვილი მიზეზი იყოს. ჩვენ ზუსტად მოსტოვოის ტიპის ფეხბურთელთა დეფიციტს განვიცდით და მათ ჩვენთვის ოქროს ფასი აქვთ. ყველამ კარგად იცის, რომ მოსტოვოი ძლიერი ხასიათის ადამიანია, მაგრამ ხასიათის თავისებურებათა კომპენსაციას თამაშით ახდენს. გულშემატკივრისთვის ეს ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მწვრთნელისა და ფეხბურთელის კონფლიქტი".

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ რუსეთის ნაკრებმა პორტუგალიასთან გადამწყვეტი მატჩის წინ ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი დაკარგა.

ჭიდაობა

# მძიმეწონოსანი "ფალავანი" აქაა

გიგა გურასაშვილი

*ხომ ძლიერები ვართ ჭიდაობაში? შედეგების მხრივ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციაც ხომ ერთ-ერთი მოწინავეა საჭიდაო სამყაროში? რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ქართველ ფალავნებს საჭიდაო სამყაროში დიდი წვლილი აქვთ შეტანილი, რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, ფაქტია: ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (ფილა) უმთავრეს "ფალავანს" არასდროს მოუნახულებია საკუთარი, ამასთან, ბეჯითი შეგირდი - საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია.*



შეხვედრა მარტინეტთან.

გუშინ, სისხამ დილით, 6 საათზე თბილისის აეროპორტში დაეშვა ფილა-ს პრეზიდენტის, შვეიცარიელი რაფაელ მარტინეტის თვითმფრინავი. რა მიზანს ისახავს მარტინეტის ვიზიტი საქართველოში? როგორც შევიტყვეთ, ოქტომბერში თბილისში გაიმართება ბერძენ-რომაელთა მსოფლიო თასი. ვიზიტიც ამ დიდი შეჯიბრების მომზადებას მიეძღვნება.

ბუნებრივია, სტუმართან უამრავი კითხვა გვქონდა, თუმცა მასთან გასაუბრება ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში მისვლამდე ვერ მოვახერხეთ. ძირითადი, რაც გვაინტერესებდა, ეს ბადრი ხასაიას საკითხი გახლდათ. საქმე ისაა, რომ გაზაფხულზე, ბოლო სალიცენზიო ტურნირზე ასპარეზობისას, მსაჯებმა ხასაიას გასაქანი არ მისცეს. კერძოდ, მაშინ, როდესაც ქართველი ფალავანი ნახევარფინალში გადასასვლელ ორთაბრძოლას იგებდა, ანუ როდესაც ლიცენზიისთვის საჭირო მომდევნო ეტაპამდე იკვლევდა გზას, მსაჯებმა უსინდისოდ მეტოქეს ჩაუთვალეს მოგება. არადა, მერვედფინალურ ორთაბრძოლას ხასაია 2:0 იგებდა, თუმცა... უკანასკნელი შანსის დაკარგვის გამო საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა გოჩა ძასოხოვმა მსაჯთა განაჩენი უმალ გააპროტესტა. ის იყო, საქმე ხასაიას სასარგებლოდ შემობრუნდა, რომ მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდა. ჩვენი გაზეთი იუწყებოდა კიდეც, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ გამონაკლისი დაუშვა და შემორჩენილი ერთადერთი ლიცენზია ქართველ ფალავანს არგუნაო, მაგრამ გაირკვა, რომ ჩვენც შეცდომაში შევუყვანივართ. მას შემდეგ ვცდილობდით, დაგვედგინა, ბოლოს და ბოლოს, რა ვითარება იყო, ხასაიასთან დაკავშირებით, მაგრამ ერთობ ბუნდოვან პასუხებს ვიღებდით. ჭიდაობის ფედერაციაში გვეუბნებოდნენ, ხასაიას შანსი კიდევ აქვსო, ანუ, შესაძლებელია, ფილა-მ, მართლაც, დაუშვას გამონაკლისი და ხასაიას ლიცენზია, ეგრეთ წოდებული "ველური ბარათი" მისცესო. როდესაც ფილა-ს ვებ-გვერდზე 74 კილოგრამ წონით კატეგორიაში ლიცენზიანტთა ნუსხას ვამოწმებდით, საქართველოს გასწვრივ გრაფა ცარიელი იყო. ერთადერთი, ვინც ვითარებაში ბოლომდე გაგვარკვია, ანუ ვინც კითხვაზე საბოლოო პასუხი გაგვცა, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტია. აქ გვითხრეს, რომ საქართველო ათენის ოლიმპიურ თამაშებში ამ წონაში არ იასპარეზებსო. შეგვეძლო კიდეც, ეს ინფორმაცია ჩვენ გაგვევრცელებინა, მაგრამ მაინც რაღაცის იმედი გვქონდა, თანაც, არ გვინდოდა, ისედაც გაურკვეველ მდგომარეობაში მყოფი ფალავნისთვის ფსიქოლოგიური ტვირთი მიგვემატებინა. ამიტომ საბოლოო პასუხს პირველი პირისგან ველოდით. და აი, რაფაელ მარტინეტისგან მივიღეთ პასუხი: "ველური ბარათი" ექვემდებარება იმ პრინციპს, რომლის მიხედვითაც იგი გადაეცემათ იმ კონტინენტის წარმომადგენლებს, რომლებსაც არ ჰყავთ კვალიფიციური სპორტსმენები, ანუ, იმ ქვეყნებს, სადაც ჭიდაობა ნაკლებადაა ათვისებული. ჯერჯერობით "ველური ბარათები" კამერუნსა და ინგლისს გადაეცათ. რაც შეეხება საქართველოს, ამ შემთხვევაში თქვენთვის "ველური ბარათის" გაცემა არათუ ნაადრევი, დაგვიანებულიც კია, მით უფრო, რომ თქვენ ათენში შვიდიდან ექვს წონაში გამოდიხართ. ამით იმის თქმა მინდა, რომ საქართველოს არ სჭირდება "ველური ბარათი", ქართველი სპორტსმენების მიერ მოპოვებული შვიდიდან ექვსი ლიცენზია იმაზე მიუთითებს, რომ თქვენი ქვეყანა საჭიდაო სამყაროში მოწინავეთაგანია. ერთი სიტყვით, საქართველოს ასეთი რამ, ფაქტობრივად, არც კი სჭირდება".

ცხადია, მიხვდით, რომ ხასაია ლიცენზიის გარეშე დარჩა. ვერაფერი ნუგეშია, მაგრამ შვეიცარიელმა სტუმარმა იქვე დასძინა, რომ კარგად იცის ხასაიას შესაძლებლობები და, ეჭვი არ ეპარება, რომ ქართველი ფალავანი პეკინის 2008 წლის თამაშებზე იასპარეზებს.

მეორე კითხვა, რომელიც მარტინეტს დაუსვეს, ეს მსაჯობაა. უფრო სწორად, როგორი იქნება მსაჯობა ათენის ოლიმპიურ ხალიჩაზე.

"ვერ შეგპირდებით, რომ თქვენს მაგივრად ვიჭიდავებ, მაგრამ გპირდებით, რომ საქართველოს ათენში არავინ დაჩაგრავს. გპირდებით, რომ სამართლიანი მსაჯობა იქნება. დანარჩენი თქვენზე იყოს - კარგი მწვრთნელი და ძლიერი გუნდი".

მძიმეწონოსან სტუმარს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის უმაღლესი ჯილდო - "ოლიმპიური მედალი" გადასცეს. მარტინეტმა სინანულით დასძინა, თქვენთვის მეც მქონდა საჩუქარი, მაგრამ ბარგი დამეკარგა. კიდევ კარგი, მე და გოჩა ძასოხოვს ერთი ზომის ტანისამოსი გვჭირდება, თორემ, არ ვიცი, რა უნდა მექნაო.

# კონკურსი ევრო 2004

ლიდერთა მდგომარეობა 4 მატჩის შემდეგ და მათი პროგნოზები

| ადგ | გვარი, სახელი, მამის სახელი | ქულა | პროგნოზი 05 | 06 | 07 |
|---|---|---|---|---|---|
| 1-2. | დოხნაძე გიორგი ტუგოს ძე | 38 | 0:0 | 1:0 | 1:0 |
| 1-2. | ყირიმლიშვილი ჯაბა ელგუჯას ძე | 38 | 0:0 | 1:0 | 2:2 |
| 3-18. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | 33 | 0:2 | 3:0 | 2:0 |
| 3-18. | ახვლედიანი ვასილ ალექსანდრეს ძე | 33 | 1:2 | 2:0 | 1:0 |
| 3-18. | გაბრიჩიძე გიორგი იულონის ძე | 33 | 0:2 | 2:0 | 1:0 |
| 3-18. | გიორგობიანი მერაბ რევაზის ძე | 33 | 1:3 | 3:0 | 1:1 |
| 3-18. | გრიშაშვილი მამუკა იურის ძე | 33 | 1:3 | 2:0 | 1:0 |
| 3-18. | დიდიძე გიორგი ზურაბის ძე | 33 | 1:2 | 3:1 | 1:1 |
| 3-18. | დოლიძე დავით პაატას ძე | 33 | 0:1 | 4:1 | 1:1 |
| 3-18. | თავბერიძე ზურა კახის ძე | 33 | 1:2 | 2:0 | 1:1 |
| 3-18. | იმნაიშვილი ია ზაზას ასული | 33 | 1:1 | 1:1 | 3:1 |
| 3-18. | კალანდარიშვილი დავით გიორგი | 33 | 0:2 | 3:0 | 1:0 |
| 3-18. | კახელიშვილი მამუკა ნოდარის ძე | 33 | 0:2 | 2:0 | 3:1 |
| 3-18. | მამაცაშვილი თეო გურამის ას | 33 | 0:2 | 2:2 | 2:0 |
| 3-18. | მესხელი ნიკოლოზ ვლადიმერის ძე | 33 | 0:2 | 2:0 | 1:0 |
| 3-18. | მუმლაძე აკაკი დომენტის ძე | 33 | 1:3 | 2:0 | 2:1 |
| 3-18. | ნიკოლაიშვილი ალექსი ზურაბის ძე | 33 | 0:2 | 2:0 | 1:0 |
| 3-18. | ჯიბლაძე ნიკოლოზ ლერის ძე | 33 | 0:2 | 2:0 | 1:1 |
| 19-21. | კალანდარიშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე | 32 | 0:2 | 0:1 | 2:1 |
| 19-21. | ფირცხალაიშვილი თეიმურაზ მურმანის ძე | 32 | 1:3 | 2:1 | 1:0 |
| 19-21. | ჩიტაიშვილი გიორგი თომას ძე | 32 | 1:3 | 2:0 | 1:0 |
| 22-80. | ადიკაშვილი დანიელ დავითის ძე | 27 | 0:2 | 3:1 | 3:1 |
| 22-80. | ადუაშვილი თორნიკე ამირანის ძე | 27 | 1:3 | 2:1 | 3:0 |
| 22-80. | ალბუთაშვილი გიორგი ელგუჯას ძე | 27 | 0:4 | 3:1 | 1:0 |
| 22-80. | ანთაური გიორგი ხვთისოს ძე | 27 | 0:1 | 3:1 | 1:0 |
| 22-80. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | 27 | 0:2 | 3:0 | 2:0 |
| 22-80. | ახვლედიანი ვასილ ალექსანდრეს ძე | 27 | 0:2 | 3:1 | 2:0 |
| 22-80. | ახვლედიანი ვასილ ვასილის ძე | 27 | 0:2 | 3:0 | 2:1 |
| 22-80. | ბაქრაძე ბესარიონ გიორგის ძე | 27 | 0:2 | 3:1 | 2:0 |
| 22-80. | ბერიძე თორნიკე მუხრანის ძე | 27 | 0:3 | 3:2 | 2:1 |
| 22-80. | გეგეჭკორი შალვა ალექსანდრეს ძე | 27 | 0:1 | 2:0 | 2:1 |
| 22-80. | გეთიაშვილი გიორგი გოჩას ძე | 27 | 0:2 | 3:0 | 1:0 |
| 22-80. | გელაშვილი ზურა ვაჟას ძე | 27 | 0:3 | 3:0 | 2:1 |
| 22-80. | გელაძე გელა ტარიელის ძე | 27 | 1:2 | 3:0 | 2:2 |
| 22-80. | გოდერძიშვილი ლაშა ძე | 27 | 0:2 | 2:0 | 2:1 |
| 22-80. | დალაქიშვილი ქეთევან ოთარის ძე | 27 | 1:2 | 2:0 | 2:0 |
| 22-80. | დანელია არველოდ ილიას ძე | 27 | 1:2 | 1:0 | 0:0 |
| 22-80. | ზაზაშვილი ზურაბ ბეჟანის ძე | 27 | 0:2 | 3:0 | 2:0 |
| 22-80. | ზილფიმიანი ლევან დავითის ძე | 27 | 1:2 | 2:0 | 2:1 |
| 22-80. | იმნაიშვილი არჩილ ვაჟას ძე | 27 | 0:1 | 2:0 | 1:1 |
| 22-80. | ირემაძე გოგა გიზოს ძე | 27 | 1:2 | 2:0 | 1:0 |
| 22-80. | კავკასიძე თამარ ვაჟას ასული | 27 | 0:3 | 2:0 | 1:0 |
| 22-80. | კაპანაძე იოსებ აბელის ძე | 27 | 0:2 | 3:0 | 2:0 |
| 22-80. | კაციტაძე ჯემალ ბენიას ძე | 27 | 1:3 | 2:0 | 2:1 |
| 22-80. | კუბლაშვილი თენგო მიხეილის ძე | 27 | 0:2 | 3:1 | 1:0 |
| 22-80. | ლაგვილავა ედემ ტერენტის ძე | 27 | 0:2 | 3:1 | 2:0 |
| 22-80. | მატარაძე ლევან მამუკას ძე | 27 | 0:2 | 2:0 | 2:1 |
| 22-80. | მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე | 27 | 1:2 | 3:0 | 1:0 |
| 22-80. | მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე | 27 | 0:2 | 3:0 | 2:0 |
| 22-80. | მესხელი ნიკოლოზ ვლადიმერის ძე | 27 | 1:2 | 2:0 | 1:0 |
| 22-80. | მინაშვილი აკაკი ვლადიმერის ძე | 27 | 0:4 | 3:1 | 2:0 |
| 22-80. | მუმლაძე მარეხ შოთას ასული | 27 | 1:2 | 1:0 | 1:1 |
| 22-80. | ნაცვლიშვილი შოთა ოთარის ძე | 27 | 1:3 | 3:0 | 2:2 |
| 22-80. | ნებიერიძე გიორგი გიორგის ძე | 27 | 1:2 | 2:0 | 1:0 |
| 22-80. | ნიქაბაძე ალექსანდრე თამაზის ძე | 27 | 0:2 | 1:0 | 1:1 |
| 22-80. | ნონიკაშვილი კახაბერ მიხეილის ძე | 27 | 0:3 | 0:0 | 1:0 |
| 22-80. | როგავა რეზო თამაზის ძე | 27 | 0:1 | 2:1 | 1:0 |
| 22-80. | სანაკოევი რუსლან ალექსანდრეს ძე | 27 | 1:2 | 2:0 | 1:0 |
| 22-80 | სუთიაშვილი არჩილ ზურაბის ძე | 27 | 0:2 | 0:1 | 1:0 |
| 22-80. | ფაცია გიორგი მურმანის ძე | 27 | 0:3 | 4:0 | 0:2 |
| 22-80. | ქებულაძე თამაზ ვარლამის ძე | 27 | 0:2 | 2:0 | 2:1 |
| 22-80. | ქურციკიძე დავით თამაზის ძე | 27 | 1:2 | 2:0 | 2:1 |
| 22-80. | ღუღუნიშვილი ევგენი ტარასის ძე | 27 | 1:3 | 4:1 | 2:0 |
| 22-80. | ყურაშიძე ვახტანგ მიხეილის ძე | 27 | 1:1 | 2:0 | 2:0 |
| 22-80. | შამუგია მამუკა კოკის ძე | 27 | 0:3 | 3:1 | 3:1 |
| 22-80. | ჩაჩანიძე არჩილ ტიტეს ძე | 27 | 1:3 | 2:0 | 1:1 |
| 22-80. | ცინცაძე დავით გიორგის ძე | 27 | 0:2 | 3:1 | 2:1 |
| 22-80. | ცუცქირიძე თეიმურაზ გიორგის ძე | 27 | 1:2 | 2:0 | 2:0 |
| 22-80. | ჭუმბურიძე თეა ვლადიმერის ასული | 27 | 0:1 | 2:0 | 2:1 |
| 22-80. | ხვედელიანი ირაკლი მიხეილის ძე | 27 | 0:2 | 2:0 | 2:1 |
| 22-80. | ჯაბაური დავით ლევანის ძე | 27 | 0:2 | 1:0 | 3:0 |
| 22-80. | ჯალაღონია ლაშა გენადის ძე | 27 | 0:2 | 2:1 | 2:0 |
| 22-80. | ჯალაღონია ლაშა გენადის ძე | 27 | 0:2 | 2:0 | 2:1 |
| 22-80. | ჯალაღონია ლაშა გენადის ძე | 27 | 0:2 | 2:0 | 2:0 |
| 22-80. | ჯალაღონია ლაშა გენადის ძე | 27 | 0:2 | 2:0 | 2:1 |
| 22-80. | ჯამბურია ლევან გივის ძე | 27 | 0:2 | 3:1 | 2:0 |
| 22-80. | ჯაყელი ანრი გიორგის ძე | 27 | 0:2 | 2:0 | 3:0 |
| 22-80. | ჯინჭარაძე ლამზირა ალექსანდრეს ასული | 27 | 1:3 | 2:1 | 2:0 |
| 22-80. | ჯოგლიძე ბესიკ ბეჟანის ძე | 27 | 1:1 | 2:0 | 2:0 |
| 22-80. | ჯორჯიაშვილი ზაალ დავითის ძე | 27 | 1:2 | 2:0 | 1:0 |
| 81-149. | გელაშვილი გიორგი ჯემალის ძე | 26 | 1:2 | 3:0 | 3:0 |
| 81-149. | უშვერიძე გიორგი თამაზის ძე | 26 | 0:3 | 3:2 | 1:0 |
| 81-149. | ამბარცუმიანი დავით ვლადიმერის ძე | 22 | 1:3 | 1:1 | 2:0 |
| 81-149. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | 22 | 0:1 | 3:0 | 1:0 |
| 81-149. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | 22 | 0:1 | 3:0 | 2:0 |
| 81-149. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | 22 | 0:2 | 3:0 | 2:0 |
| 81-149. | ახვლედიანი ვასილ ალექსანდრეს ძე | 22 | 1:2 | 2:0 | 1:0 |
| 81-149. | ახვლედიანი ვასილ ალექსანდრეს ძე | 22 | 0:2 | 2:0 | 2:0 |
| 81-149. | ახვლედიანი ვასილ ალექსანდრეს ძე | 22 | 1:2 | 2:0 | 1:0 |
| 81-149. | ახვლედიანი ვასილ ალექსანდრეს ძე | 22 | 1:2 | 2:0 | 1:0 |
| 81-149. | ბაქრაძე ბესარიონ გიორგის ძე | 22 | 1:2 | 2:0 | 1:0 |
| 81-149. | ბაქრაძე ბესარიონ გიორგის ძე | 22 | 1:2 | 2:0 | 1:0 |
| 81-149. | ბაქრაძე ბესარიონ გიორგის ძე | 22 | 1:2 | 2:0 | 1:0 |
| 81-149. | ბერძენიშვილი ანტონ აკაკის ძე | 22 | 0:1 | 1:0 | 1:0 |
| 81-149. | ბილანიშვილი მარიამ ნუგზარის ასული | 22 | 1:2 | 2:1 | 2:1 |
| 81-149. | ბოლქვაძე ლევან თამაზის ძე | 22 | 1:3 | 2:0 | 0:0 |
| 81-149. | გაბრიჩიძე გიორგი იულონის ძე | 22 | 0:2 | 3:0 | 2:0 |
| 81-149. | გაბრიჩიძე გიორგი იულონის ძე | 22 | 0:2 | 2:0 | 2:0 |
| 81-149. | გირკელიძე არჩილ ვალერის ძე | 22 | 1:3 | 2:1 | 0:0 |
| 81-149. | გორგაძე საბა ირაკლის ძე | 22 | 0:3 | 3:1 | 3:1 |
| 81-149. | დავითაშვილი ლიანა გიორგის ასული | 22 | 0:1 | 1:0 | 2:0 |
| 81-149. | თეთვაძე ოთარ ვლადიმერის ძე | 22 | 2:0 | 4:1 | 3:1 |
| 81-149. | თვალაძე თეიმურაზ ნოეს ძე | 22 | 1:2 | 1:0 | 3:1 |
| 81-149. | კაკუბავა გიორგი კარლოს ძე | 22 | 0:2 | 1:0 | 2:1 |
| 81-149. | კაკუბავა გიორგი კარლოს ძე | 22 | 1:1 | 3:2 | 1:0 |
| 81-149. | კალანდარიშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე | 22 | 0:1 | 2:1 | 0:0 |
| 81-149. | კალანდარიშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე | 22 | 0:0 | 1:1 | 0:0 |
| 81-149. | კალანდარიშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე | 22 | 0:1 | 2:0 | 2:0 |
| 81-149. | კალანდარიშვილი დავით გიორგი | 22 | 0:1 | 3:0 | 2:0 |
| 81-149. | კალანდარიშვილი დავით გიორგი | 22 | 0:2 | 3:1 | 1:0 |
| 81-149. | კალანდარიშვილი დავით გიორგი | 22 | 0:2 | 3:0 | 2:0 |
| 81-149. | კალანდარიშვილი დავით გიორგი | 22 | 0:1 | 3:1 | 1:0 |
| 81-149. | კალანდარიშვილი დავით გიორგი | 22 | 0:2 | 3:1 | 1:0 |
| 81-149. | კაპანაძე იოსებ აბელის ძე | 22 | 0:2 | 2:0 | 1:0 |
| 81-149. | კაპანაძე იოსებ აბელის ძე | 22 | 0:2 | 3:0 | 1:0 |
| 81-149. | კაპანაძე იოსებ აბელის ძე | 22 | 1:2 | 1:0 | 1:0 |
| 81-149. | კვიტაშვილი სანდრო თეიმურაზის ძე | 22 | 0:1 | 1:0 | 3:0 |
| 81-149. | ლაგვილავა ედემ ტერენტის ძე | 22 | 1:2 | 2:0 | 1:0 |
| 81-149. | ლაგვილავა ედემ ტერენტის ძე | 22 | 1:2 | 2:0 | 1:0 |
| 81-149. | ლაგვილავა ედემ ტერენტის ძე | 22 | 1:2 | 2:0 | 1:0 |
| 81-149. | ლომიძე გიორგი ოლეგის ძე | 22 | 0:1 | 2:0 | 1:0 |
| 81-149. | მაწარაშვილი ელგუჯა ზაალის ძე | 22 | 0:2 | 3:0 | 3:0 |
| 81-149. | მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე | 22 | 0:1 | 2:0 | 2:0 |
| 81-149. | მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე | 22 | 0:2 | 3:0 | 1:0 |
| 81-149. | მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე | 22 | 0:2 | 2:0 | 1:0 |
| 81-149. | მუმლაძე აკაკი დომენტის ძე | 22 | 0:2 | 3:0 | 2:1 |
| 81-149. | მღვდლიაშვილი გიორგი ირაკლის ძე | 22 | 0:3 | 1:1 | 2:0 |
| 81-149. | მღვდლიაშვილი გიორგი ირაკლის ძე | 22 | 1:3 | 2:1 | 1:0 |
| 81-149. | ონიანი დავით როლანდის ძე | 22 | 0:2 | 2:1 | 2:0 |
| 81-149. | ჟღენტი დიმიტრი გიორგის ძე | 22 | 0:3 | 0:0 | 2:0 |
| 81-149. | ქავთარაძე გივი ილიას ძე | 22 | 1:3 | 3:0 | 2:0 |
| 81-149. | ღამბაშიძე კოტე გიორგის ძე | 22 | 0:3 | 3:1 | 1:0 |
| 81-149. | ყიფიანი ავთანდილ გრიგოლის ძე | 22 | 0:3 | 0:0 | 2:2 |
| 81-149. | ყურაშიძე ვახტანგ მიხეილის ძე | 22 | 0:2 | 2:1 | 2:0 |
| 81-149. | ჩინჩალაძე ლევან ალექსანდრეს ძე | 22 | 0:2 | 2:0 | 1:1 |
| 81-149. | ცომაია დავით თეიმურაზის ძე | 22 | 1:2 | 2:0 | 1:0 |
| 81-149. | ცოტაძე ციური გრიგოლის ძე | 22 | 0:1 | 4:0 | 2:0 |
| 81-149. | წიკლაური თამაზ ალექსანდრეს ძე | 22 | 0:2 | 2:0 | 1:1 |
| 81-149. | ხარხელაური ვლადიმერ ლევანის ძე | 22 | 0:2 | 1:1 | 1:0 |
| 81-149. | ხიზანიშვილი ალექსი აბელის ძე | 22 | 1:2 | 2:0 | 2:0 |
| 81-149. | ხმიადაშვილი ნუგზარ ანზორის ძე | 22 | 1:2 | 1:0 | 1:0 |
| 81-149. | ჯამბურია ლევან გივის ძე | 22 | 0:1 | 2:0 | 1:0 |
| 81-149. | ჯამბურია ლევან გივის ძე | 22 | 1:2 | 2:0 | 1:0 |
| 81-149. | ჯამბურია ლევან გივის ძე | 22 | 1:2 | 2:0 | 1:0 |
| 81-149. | ჯამბურია ლევან გივის ძე | 22 | 1:2 | 2:0 | 1:0 |
| 81-149. | ჯინჭარაძე ნიკა გიორგის ძე | 22 | 1:2 | 2:0 | 1:0 |
| 81-149. | ჯიქია ლაშა ვლადიმერის ძე | 22 | 1:3 | 1:0 | 1:1 |
| 81-149. | ჯიჯეიშვილი თენგიზ ალექსანდრეს ძე | 22 | 0:2 | 2:0 | 2:1 |
| 81-149. | აბაშიძე ლევან ზაზას ძე | 21 | 0:2 | 2:0 | 3:1 |

# ავადმყოფი, ოჯახი, ექიმი

XIX საუკუნის დასაწყისში წელს ლა ფერონეთა ფრანგულ ოჯახში, რომელიც პოლიტიკური მიზეზების გამო იტალიას გადასახლებულიყო, ათი შვილი დაიბადა. ოთხი მათგანი დაბადებისთანავე გარდაიცვალა, კიდევ სამი ჭლექმა იმსხვერპლა 1834-დან 1848 წლამდე პერიოდში. 1867 წლისთვის ერთადერთი ქალიშვილიღა დარჩენილიყო ცოცხალი — პოლინა კრავენი, რომელმაც მამისა და მამიდის დღიურები შეაგროვა და გამოაქვეყნა სათაურით "დის ნაამბობი". თუმცა კი წიგნის ნამდვილი სათაური უნდა ყოფილიყო "სიკვდილის მოტრფიალე ოჯახი"...

1834 წელს ალბერ ლა ფერონე ოცდაორი წლისა იყო. ჭლექმა უკვე საფუძვლიანად დაიბუდა მის ორგანიზმში. იგი წერს: "რაღაც ანთებითი დაავადება მჭირს, რომელმაც საფლავის პირას მიმიყვანა. დაღლილი და ნერვიული ვარ, მაგრამ ვინ არ იქნება ასეთი ორი წლის გაუთავებელი მკურნალობის, სამედიცინო შემოწმებების, სისხლის გამოშვებებისა და ათასგვარი ტანჯვა-წამების შემდეგ".

მაგრამ ჯანმრთელობის ამ მდგომარეობას ხელი არ შეუშლია იმავე წელს ცოლად შეერთო რუსი დიპლომატის ქალიშვილი. მისი ოჯახი შეძრწუნებულია, ოღონდ არა ვაჟის ჯანმრთელობის გამო, არამედ იმით, რომ მას მემკვიდრეობა და კარიერა არ გააჩნია. მაგრამ რომანტიკულ სიყვარულს ვერაფერი აბრკოლებს. ქორწილიდან ორი დღის შემდეგ ალბერს პირველად აქვს სისხლდენა პირიდან. ექიმები ოდესაში გამგზავრებას ურჩევენ. დაბრუნების შემდეგ სისხლდენები მეორდება, აქვს მხუთავი შეტევები. ახალგაზრდა ცოლი, ალექსანდრინა წერს: "მეგონა საყმაწვილო სენი იყო და როცა ოცდაათი წლის ბედნიერ ასაკს მიაღწევდა, ლამაზი და ღონიერი იქნებოდა".

1836 წელს ალექსანდრინა, ჭკვიანი და დაკვირვებული ქალი, როგორც იქნა, ცდილობს, მტანჯველი ავადმყოფობის მიზეზი და სახელწოდება გაარკვიოს. აქამდე წერილებში მხოლოდ ბუნდოვანი სიტყვა გვხვდება: ანთება. იგი წერს: "ვიკითხე, რა უნდა ყოფილიყო ამ საშინელი ავადმყოფობის სახელი. ჩემმა მაზლმა, ფერნანმა მითხრა, რომ ეს ფილტვის ტუბერკულოზია. მაშინ კი ყოველგვარი იმედი დავკარგე". დღეს ალბათ ასეთივე ეფექტს გამოიწვევდა სიტყვა "კიბო". მაგრამ ვხედავთ, რომ წლების განმავლობაში, მიუხედავად ავადმყოფობის მძიმე ხასიათისა, არც თვითონ დაავადებული და არც მისი ოჯახის წევრები ხანგრძლივი დროის განმავლობაში არანაირ ინტერესს არ იჩენენ დიაგნოზის მიმართ. მათ თითქოს სრულიად არ ეხება დაავადების მეცნიერული შინაარსი, მისი ბუნება, ანუ ის საკითხები, რომლებიც პირველ რიგში იწვევს დღევანდელი ადამიანის ცნობისმოყვარეობას. საკმარისია ოდნავ დავფიქრდეთ, და მივხვდებით, რომ ჩვენს თანამედროვეთა უმრავლესობა საკუთრივ ავადმყოფობის გარდა არანაკლებ იტანჯება დიაგნოზის გაურკვევლობით: მძიმე დიაგნოზიც კი ხშირად გვამშვიდებს თავისი მეცნიერული გარკვეულობით. ამ განწყობის კვალსაც კი ვერ ვპოულობთ XIX საუკუნის ოჯახში.

ახლა უკვე ალექსანდრინამ იცის, რომ ალბერს დიდი დღე არ დარჩენია. მისი პირველი იმპულსია, დაუმალოს ქმარს საქმის ვითარება. ასეთი არჩევანი შედარებით ახალია: ადრეულ ეპოქებში ავადმყოფს აუცილებლად გააფრთხილებდნენ მოახლოებული აღსასრულის შესახებ. მაგრამ ალებრის მდგომარეობა იმდენად მძიმეა, რომ სულ მალე კომედიის გაგრძელებას აზრი აღარა აქვს: სნეული თავისთავად გრძნობს, რომ მალე მოკვდება. მას სამშობლოში, საფრანგეთში სურს სიკვდილი. 1836 წლის 10 აპრილს იწყება საშინელი მოგზაურობა, რომელიც 13 მაისს მთავრდება პარიზში ჩასვლით. მხოლოდ ახლა ეუბნება ექიმი ალექსანდრინას, რომ ავადმყოფობა გადამდებია. ქალი წერს: "გავიგე, რომ სასიკვდილო საშიშროებას შეიცავდა ჩემთვის ალბერთან ერთ ოთახში ძილი".

27 ივნისს ალბერის ოთახში ბევრი ხალხი იკრიბება და წირვას აღასრულებენ. ასევე ეძლევა ზეთის კურთხევის საიდუმლოება. ალბერმა ყველას სათითაოდ გადასწერა პირჯვარი. თავისთან მოიხმო მომვლელი ქალი და ხელზე ეამბორა. სიკვდილი იგვიანებს: 28 ივნისს ავადმყოფი აღსარებას ამბობს და ცოდვათა შენდობას იღებს. ღამით ხელში ჯვარცმა უპყრია, სთხოვს, რომ სასთუმალი აღმოსავლეთისკენ მიუბრუნონ. განთიადისას ითხოვს სავარძელში გადაყვანას. ჩაეძინება. იღვიძებს და "ძალიან ბუნებრივად" საუბრობს. ექვსი საათისთვის ცოლის დღიურში ასეთი ჩანაწერი ჩნდება: "შევხედე და მივხვდი, რომ ჟამმა დარეკა. მომვლელმა მომაკვდავთა ზედა ლოცვის კითხვა დაიწყო. უძრავი თვალები მე მომჩერებოდა". ალბერი სულ 24 წლისა იყო.

მისი და, ოლგა 1843 წელს 21 წლის ასაკში გარდაიცვალა ჭლექით. მან თავისი თვალით ნახა ძმის სიკვდილი 1836 წელს, როცა 14 წლისა იყო. კიდევ ერთი და, ეჟენი 1842 წელს გარდაიცვალა. ისიც დიდი ხნის განმავლობაში იტანჯებოდა, მაგრამ თავის წერილებში არასოდეს ასახელებს ავადმყოფობას: ეს მას არ ეხება, ეს სპეციალისტების საქმეა. სიკვდილის წინ ეს ოცდაორი წლის ქალი გულში იკრავს თავის ძმას, შარლს და ეუბნება: "იყავი კეთილი და გიყვარდეს ღმერთი".

ეს რეალური მოვლენებია. მაგრამ მსგავსი აღწერებითაა სავსე იმ ეპოქის მხატვრული პროზაც. ონორე დე ბალზაკის რომანებიდან ვიგებთ, რომ ახლობელის სიკვდილის გამო ღრმა მწუხარება არ წყვეტს ოჯახის ყოველდღიურ საქმიანობას. მეზობლები მოდიან წინა დღით გარდაცვლილი გლეხის ოჯახში მწუხარების გასაზიარებლად, მაგრამ ამავე დროს ქვრივისაგან ყიდულობენ რძეს, როგორც სხვა დღეებში. "ხედავთ, — ეუბნება ექიმი თავის მეგობარს, — აქ სიკვდილი სრულიად ჩვეულებრივი მოვლენაა, რომელიც ყოველდღიური ცხოვრების რიტმს არ არღვევს".

გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ სიკვდილისადმი განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება, მისი ამაღლება საკმაოდ ახალი მოვლენაა და მისი სათავეები რომანტიზმისათვის დამახასიათებელ მენტალობაშია. ეს მხატვრული მიმდინარეობაც ხომ ადამიანის პასუხი იყო ინდუსტრიალიზაციით გამოწვეულ სოციალურ და ყოფით ცვლილებებზე. სიკვდილის რომანტიზაცია, რომელსაც ზემოთ აღწერილ მაგალითებში ჯერ ვერ ვნახულობთ, მოგვიანებით გადაიქცა საყოველთაო მოვლენად. ის თავის თავში შეიცავდა სიკვდილის ტრადიციულ რიტუალებს: ცოცხლებთან გამომშვიდობებას, აღსარებას, აგონიის საჯარო ხასიათს, მწუხარების გარეგნულ ნიშნებს — ზუსტად ისე, როგორც ეს მანამდე იყო საზოგადოების საშუალო და დაბალ ფენებშიც კი. მაგრამ ამას ემატებოდა დრამატიზაცია და ახალი ემოციები: სიკვდილი იქცა იმად, რაც ადრე არ ყოფილა — ტრაგედიისა და გულსაკლავი ტანჯვის ადგილად, ამასთან ერთად დიდი გრძნობებისა და სიყვარულის გამჟღავნების საბაბად. ყველაზე ინტიმური გრძნობები მომაკვდავის სარეცელთან არნახული ინტენსიობით გამოითქმის. XIX საუკუნეში რომანტიკული ხელოვნების გავლენით, გამომშვიდობების სცენებმა, თუმც კი ყოველთვის არსებობდა, განსაკუთრებით ხაზგასმული და მკვეთრი მნიშვნელობა შეიძინა, რომელსაც დღევანდელი დასავლეთის მენტალობა უეჭველად ავადმყოფურად და გადაჭარბებულად მიიჩნევს.



# როგორ წაართვეს ევროპელს სიკვდილი

ადამიანი ათასწლეულთა განმავლობაში საკუთარი სიკვდილის სრული ბატონ-პატრონი იყო. დღეს განვითარებულ დასავლურ საზოგადოებაში ვითარება ძირეულად შეიცვალა. ერთი მხრივ, ადამიანებს თითქოს რცხვენიათ სიკვდილის, ერიდებიან მასზე ლაპარაკს; მეორე მხრივ კი, გახშირდა არამოტივირებული მკვლელობები, რომლებიც ზოგჯერ განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩევა. ხშირად ამ უარყოფით მოვლენებს კინო და ტელეეკრანებიდან მოწოდებულ ძალადობას აბრალებენ. მაგრამ შორეულ წარსულში ადამიანი გაცილებით უფრო მეტ ძალადობას ხედავდა მაშინ არსებულ "პირდაპირ ეთერში" ანუ თვალნათლივ: კვირა არ გავიდოდა ისე, რომ ბაზრის მოედანზე საჯაროდ ვინმე არ დაესაჯათ სიკვდილით ან სასტიკად არ ეწამებინათ. ჩამოხრჩობილები კვირების ან თვეობის განმავლობაში ეკიდნენ სახრჩობელებზე და მათი ნახევრად გახრწნილი გვამები საყოველთაო სანახაობას წარმოადგენდა.



სიკვდილი დაშორდა ადამიანს, გაუცხოვდა მისგან და ეს მოვლენა გაცილებით უფრო საშიშია, უფრო დამღუპველია ადამიანის პიროვნული მთლიანობისთვის ვიდრე ძალადობის ხილვა. ყველაზე დიდი საშიშროება კი სწორედ საკუთარი სიკვდილისაგან გაუცხოებაა.

ამ ისტორიულ და საზოგადოებრივ პროცესებს, ეგრეთ წოდებულ "სიკვდილის სოციოლოგიას" შეისწავლიდა გასული საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფრანგი მკვლევარი **ფილიპ არიესი**. მისი მრავალი ნაშრომის მთავარი საგანია სიკვდილის წინაშე მდგომი ადამიანი, მისი ქცევა წარსულსა და დღევანდელობაში...

უპირველეს ყოვლისა უნდა ვთქვათ, რომ წარსულში ადამიანებმა იცოდნენ სიკვდილის მოახლოება: თუ თვითონ ვერ ამჩნევდნენ, ვილაცას აუცილებლად უნდა გაეფრთხილებინა და ეს კეთილ საქმედ ითვლებოდა. ძველი ტექსტების ავტორთათვის ჩვეული იყო სიკვდილის ისეთი აღწერა, რომლის დროსაც მომაკვდავს სრულიად გაცნობიერებული აქვს თავისი მდგომარეობა და ემზადება ღირსეული სიკვდილისათვის. დასავლეთში და აღმოსავლეთში ადამიანები ერთნაირად შესთხოვდნენ ღმერთს: დაგვიცავ უცნაური (ე. ი. მოულოდნელი, გაუცნობიერებელი) სიკვდილისაგან. აქ მხოლოდ ის როდი იყო მთავარი, რომ ამგვარად ადამიანს აღსარებისა და ცოდვათა მონანიებისათვის საკმარისი დრო რჩებოდა: სიკვდილის მოულოდნელი მოსვლა უბედურებად იყო მიჩნეული და წარსულის მორალისტები და სატირიკოსები კიცხავდნენ და დასცინოდნენ მათ, ვინც მოახლოებული აგონიის აშკარა ნიშნებს ვერ ამჩნევდა ან ჯიუტად უარყოფდა.

სიკვდილის წინაშე ერთნაირი იყო მეფეთა და გლეხთა, მეომართა და სამღვდელოთა ქცევა. ყველანი წინასწარ გრძობდნენ სიკვდილს და მისდამი მათი დამოკიდებულება განპირობებული იყო რელიგიური და სოციალური მოთხოვნებით. ცნობილია, მაგალითად, რომ ებრაელები ძველი აღთქმის დროიდან მოყოლებული საუკუნეთა განმავლობაში სიკვდილის წინ ტრადიციულად იქცეოდნენ: პირით კედლისკენ მიქცეულნი დუმილს ეძლეოდნენ. XV-XVI საუკუნეების ესპანეთში, სადაც ინკვიზიცია ფართომასშტაბიან რეპრესიებს აწარმოებდა ებრაელთა წინააღმდეგ, მრავალი იუდეველი ოჯახი გარეგნულად იღებდა ქრისტიანობას და საიდუმლოდ განაგრძობდა თავისი ტრადიციული მრწამსის აღსარებას. ინკვიზიტორები სწორედ ოჯახებში მომაკვდავთა ქცევაზე სცნობდნენ იუდეველებს და ეს დასკვნა ოფიციალურადაც იყო აღიარებული.

ერთი სიტყვით, როცა ადამიანი ვერ ამჩნევდა საკუთარ მდგომარეობას, ვილაცას ევალებოდა მისი გაფრთხილება. შუა საუკუნეებში ამ ფუნქციას, ჩვეულებრივ, ექიმი ასრულებდა. გავიხსენოთ, როგორ ექცევა ექიმი სნეულ დონ კიხოტს: "**მაჯა გაუსინჯა და მაინცდამაინც კმაყოფილი არ დარჩენილა, უფრო მეტიც, თქვა, რომ უბედურების თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო სულის ცხოვნებაზე ზრუნვა, რადგან, მისი აზრით, მდგომარეობა საშიში იყო**". უბედურება აქ თვითონ სიკვდილი კი არა, სოციალურად და რელიგიურად მოუმზადებელი სიკვდილია, რომელიც შესაბამისი რიტუალის გარეშე ხდება.

XV საუკუნის ევროპაში ფართოდ იყო გავრცელებული ე. წ. Artes moriendi, ანუ "სიკვდილის ხელოვნებანი" — განსაკუთრებული ჟანრის ტექსტები, საიდანაც ადამიანს უნდა ესწავლა სიკვდილის ღირსეული დახვედრა. საინტერესოა, რომ ექიმის არარსებობის შემთხვევაში ეს ტექსტები შესაბამის ფუნქციას მომაკვდავის უახლოეს მეგობარს აკისრებდნენ და მას შავბნელი ლათინური ტერმინით აღნიშნავდნენ: nuncius mortis — **სიკვდილის მაცნე**. ეს დასახელება შავბნელად მხოლოდ დღეს ჟღერს, შესაბამის ეპოქაში კი ყოველი ადამიანისთვის მეტად საპატიო და ღირსეული მისია იყო.

მაგრამ რაც უფრო ვითარდება ურბანიზაცია და მაღლდება ევროპის მოსახლეობის ცხოვრების დონე, მით უფრო იშვიათად ატყობს ადამიანი აღსასრულის მოახლოებას. ამ მხრივ იგი სულ უფრო მეტად ხდება სხვებზე დამოკიდებული. ექიმმა, რომელსაც უნდა განეცხადებინა ადამიანისთვის მნიშვნელოვანი მომენტის დადგომა, ამ როლზე XVIII საუკუნეში უარი თქვა. XIX საუკუნეში იგი მხოლოდ მაშინ ამხელს საქმის ნამდვილ ვითარებას, როცა ეკითხებიან, და ისიც უხალისოდ და ქარაგმებით. გავიხსენოთ, როგორ იქცევიან ექიმები **ჯუზეპე ვერდის** "ტრავიატას" და **ჯაკომო პუჩინის** "ბოჰემას ბოლო მოქმედებებში". ვიოლეტამ და მიმიმ არ იციან მოახლოებული სიკვდილის შესახებ, უფრო მეტიც, ისინი ირგვლივ შეკრებილთათვის სრულიად მოულოდნელად კვდებიან. საიდუმლო მხოლოდ ექიმებმა იციან, მაგრამ ისინი სდუმან. ამისგან განსხვავებით, **რიხარდ ვაგნერის** ტრისტანი თავისი ეპოქის შესაბამისი კანონებით იქცევა, იგი გრძნობს სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს და ამ მომენტისათვის შესაბამის ფრაზებს წარმოთქვამს. იგივე ითქმის **ზაქარია ფალიაშვილის** აბესალომზეც. ეს ყოველივე არა ჟანრისათვის დამახასიათებელი წმინდად მხატვრული, არამედ აღსაწერი ეპოქის თანდაყოლილი სოციალური პირობითობებია.

რა მიზეზით განვითარდა ეს ცვლილებები? ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი ოჯახური გრძნობის გაძლიერებაა, ანუ ადამიანის ინტიმური კავშირების სულ უფრო მაღალი კონცენტრირება ოჯახის ფარგლებში. ეს ვითარება განსაკუთრებით საგრძნობია ქალაქებში, სადაც ცხოვრებისეული პირობების სპეციფიკის გამო ადამიანი ნაკლებადაა დაკავშირებული უცხო პირებთან.

აი, ერთ-ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ კვდებოდნენ ევროპაში ინდუსტრიული ეპოქის აღმავლობისას. 1848 წელს, პარიზში, ლა ფერონეს ოჯახში მიწვეული ექიმი ამბობს, რომ დედის მდგომარეობა სახიფათოა. ერთი საათის შემდეგ იგი ეუბნება ქალიშვილს, რომ გადარჩენის იმედი აღარაა. ქალიშვილი წუხს, არ იცის, როგორ გაუმჟღავნოს დედას ექიმის ნათქვამი. რამდენიმე ხანში დედა მშვიდად ამბობს: "ველარაფერს ვხედავ, როგორც ეტყობა, სიკვდილი მოვიდა". ამის შემდეგ ლოცვას იწყებს. ქალიშვილი იხსენებს, რომ ამ მშვიდმა სიტყვებმა გულიდან ტვირთი ჩამოხსნა. ეს მონათხრობი ზედგამოჭრილია გარდამავალი სოციალური სიტუაციისათვის, რომელშიც არეულია ძველი და ახალი: ის, რომ ქალიშვილმა სული მოითქვა პრობლემის თავისთავად გადაწყვეტის გამო, ახალი დროის ნიშანია; დიაგნოზის პაციენტისთვის გამჟღავნების აუცილებლობა — ძველი დროის გადმონაშთი.

ადრე კი სიკვდილი საჯარო მოვლენა იყო, სოციალური პროცესი, რიტუალი, რომელსაც თვით მომაკვდავი თავმჯდომარეობდა და წარმართავდა. ცნობილია, როგორ აღწერა **სენ-სიმონმა** საფრანგეთის მეფის **ლუი XIV**-ის სიკვდილი. მაგრამ ასე იმ დროს მარტო მეფეები კი არა, ყველა ადამიანი კვდებოდა. როგორც კი ვინმეს სნეულება ლოგინში ჩააწვენდა, მისი ოთახი მაშინვე ივსებოდა ოჯახის წევრებით, ნათესავებით, მეგობრებით, ნაცნობებით. ეძახდნენ მღვდელს, რომელიც საგანგებო ზანზალაკის რეკვით მიისწრაფოდა სნეულის სახლისკენ და თან უკანასკნელი ზიარება მოჰქონდა. ყველა, ვინც ამ ხმას გაიგონებდა, თაყვანს სცემდა ნაკურთხ ძღვენს და თავის ვალად მიიჩნევდა, გაჰყოლოდა მღვდელს, უკანასკნელად მისალმებოდა მომაკვდავს, თუმც კი ცხოვრებაში არასოდეს იცნობდა მას. სიკვდილის სიახლოვე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილად აქცევდა მომაკვდავის საწოლ ოთახს. ამიტომაც თვლიდნენ პარადოქსად **ბლეზ პასკალის** სიტყვებს — "ადამიანი მარტოობაში კვდება" — დღეს ეს უბრალო ბანალობაა, ოდესღაც კი საკმაო ინტელექტუალური ძალისხმევა იყო საჭირო იმის მისახვედრად, რომ ფილოსოფოსი ადამიანის შინაგან მარტოობას გულისხმობს, რომელსაც ირგვლივ შეკრებილთა სიმრავლეც ვერ ერევა.

XVII საუკუნიდან მოყოლებული, ექიმები, რომლებიც ახლებურ აზროვნებას იზიარებდნენ, საშინლად ეწინააღმდეგებოდნენ ამ ჩვეულებას: სუფთა ჰაერი, ამბობდნენ ისინი, ჯანმრთელობის საწინდარია; ამიტომ ნუ ვაქცევთ ავადმყოფის ოთახს თეატრად, ჩავაქროთ სანთლები და გავხსნათ დარაბები.

არც ის უნდა ვიფიქროთ, რომ ეკლესია მხარს უჭერდა ამ გავრცელებულ ჩვეულებას. როგორც "სიკვდილის ხელოვნება", ისევე მრავალი სახის კატეხიზმოები და ზნეობრივი სწავლებები მოუწოდებდნენ, ღმერთთან მარტო დაეტოვებინათ მომაკვდავი, რათა სინდისთან და უზენაესთან შერიგების სრული საშუალება ჰქონოდა. მაგრამ ეს რჩევები და მოწოდებები იშვიათად სრულდებოდა. დღევანდელ დასავლეთში, როცა ადამიანები უფრო ხშირად სწორედ მარტოობაში კვდებიან, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ეკლესია საწინააღმდეგოს მოუწოდებს და საზოგადოებაში გამეფებული "საყოველთაო გაუცხოების" წინააღმდეგ იბრძვის. აქედან სრულიად არ გამომდინარეობს, რომ ამ ორ ქადაგებას შორის ლოგიკური შეუსაბამობა სულიერი გზიდან რაღაც რეალურ გადახვევას ნიშნავს: ეკლესია ყოველთვის ამხელდა საზოგადოებაში არსებულ ძირითად ტენდენციებს, რომლებიც, მისი აზრით, რელიგიის ფუძემდებლურ პრინციპთა განხორციელებას აბრკოლებდა — ამიტომ აქ ქადაგების კონკრეტული შინაარსი კი არაა მნიშვნელოვანი, არამედ მისი მიმართულება და განზრახვა, რომ ადამიანის მიწიერი არსებობაც სახარების მოთხოვნებს შეესაბამებოდეს.

მაგრამ ეკლესიის მოთხოვნათა მიუხედავად, ცხოვრება თავისი გზით მიემართება. წარსულში სიკვდილის საჯარო აღსრულებას თვით მომაკვდავი ხელმძღვანელობდა. ახალგაზრდაც რომ ყოფილიყო, არასოდეს ეშლებოდა თავისი როლი: ბავშვობიდანვე ხომ მრავალჯერ დასწრებია ამგვარ სცენებს. სათითაოდ ეძახდა ოჯახის წევრებს, ნათესავებს, მსახურებს თვით ყველაზე მდაბლისა და უმნიშვნელოს ჩათვლით. ყველას ემშვიდობებოდა, აკურთხებდა და პატიებას სთხოვდა. სნეულების პირველი ნიშნებიდანვე მომაკვდავი იწყებდა სოციალური როლის თამაშს და ეს როლი მას რაღაც განუმეორებელ ავტორიტეტსა და ძალაუფლებას ანიჭებდა. ოჯახის უმცროსი ქალიშვილი, თითქმის ბავშვი, რომელსაც არათუ ჭკუას არ ეკითხებოდა ვინმე, არავის აზრადაც არ მოუვიდოდა მისი სურვილის გათვალისწინება, სასიკვდილო სარეცლიდან ბრძანებებს იძლეოდა. ყოველივე ამას მორჩილად ისმენდნენ მის გარშემო შეკრებილები. სიცოცხლეში ერთხელ, სიკვდილის წინ დიქტატორის როლის თამაში ნამდვილად ეიფორიით ავსებდა ადამიანს და სიცოცხლის ბოლო წუთებს უადვილებდა.

მაგრამ ქალაქური და ინდუსტრიული ყოფის განვითარებასთან ერთად ადამიანის უშუალო პირადი გრძნობები სულ უფრო იკეტება ოჯახურ წრეში. ოჯახი კი ვერ ითმენს მისი რომელიმე წევრის უბედურებას და იმ დისკომფორტს, რომელსაც თვითონ გრძნობს ამ უბედურების გამო. თუმცა სიკვდილი გარდაუვალია, მისგან თავს ვერ დაიხსნი. ამიტომ გამოსავალი ერთადერთია: მისი არსებობა არ უნდა შეამჩნიო. ქირისუფალთა მეტყველებაში სულ უფრო ხშირად ისმის შემდეგნაირი ფრაზები: "ის მაინც დამრჩა ნუგეშად, რომ თვითონ ვერ მიხვდა". დღევანდელ რომანში უკვე ველარსად შეხვდებით წინადადებას: "... სიკვდილის მოახლოება იგრძნო". ადამიანს წაართვეს სიკვდილი.

მართალია, გარდაცვლილები ჩვენებებს არ იძლევიან, მაგრამ შეიძლება დავასკვნათ, რომ უმრავლეს შემთხვევაში მათ შესანიშნავად იცოდნენ მოახლოებული აღსასრულის შესახებ, მაგრამ შეცვლილი სოციალური პირობები მათაც აიძულებდათ განსხვავებული როლის თამაშს. თუ ადრე მომაკვდავი იმით იმშვიდებდა თავს, რომ გარშემო მყოფებზე ბატონობს, ახლა საკუთარი დიდსულოვნებით ტკბება იმის გამო, რომ არავის აგრძნობინებს თავის სასოწარკვეთილებას. პუშკინის "ბოჰემაში" ამის კვალსაც ვნახულობთ: რუდოლფის სიტყვებზე "განთიადივით ლამაზი ხარ", მიმი პასუხობს: "უნდა გეთქვა, მწუხრივითო".

მომაკვდავი უარს ამბობს თავის სიკვდილზე, მის აღიარებაზე. ამ უარის მიზეზი სიკვდილის შიში არაა. მიზეზი ოჯახის დღევანდელ სოციალურ არსში მის შეცვლილ ფუნქციაში უნდა ვეძებოთ. ოჯახი იქცა ტირანად, რომელსაც პიროვნება ხარკს უხდის. ამიტომ **ლევ ტოლსტოის** მოთხრობის გმირი ივან ილიჩი ითხოვს, რომ მისი სიკვდილის წინ ბავშვმა დატოვოს ოთახი — მან არ უნდა იხილოს შოკის მომგვრელი რეალობა. იგივეს ითხოვს **ნოდარ დუმბაძის** ოლღა ბებია. ოჯახის უშფოთველობას არ უნდა დაეტყოს ცხადად ეს მწუხარება და ტკივილი. ამიტომ არავინ ამბობს "კიბო" — ამბობენ "სასახლე". დღეს ამას ოდნავ დაჰკრავს ცუდი გემოვნების ელფერი, მაგრამ როგორც კი საზოგადოება ამ ტერმინს მიეჩვევა, ხოლო მოსახლეობის საყოველთაო გაღარიბება ნამდვილ სასახლეებს სულ უფრო იშვიათ მოვლენად აქცევს, ენა მაშინვე მოითხოვს ახალი ევფემიზმის წარმოქმნას.

თუმცა ლევ ტოლსტოისა და ნოდარ დუმბაძის მომაკვდავ პერსონაჟებს ერთი რამ მაინც აქვთ საერთო: მიუხედავად ქარაგმებისა და აშკარა სიმულაციისა, მათი სიკვდილი მაინც გაცილებით უფრო რეალური და ხელშესახებია. დღევანდელი ინგლისის პირობებში კი გვამის დასაბალზამირებლად მოსული დამკრძალავი ბიუროს თანამშრომლები მოკრძალებული ღიმილით ეუბნებიან ჭირისუფლებს: "ახლა პაციენტი ნამდვილად კარგად გამოიყურება". თვით მუმიფიცირებისა და ბალზამირების რთული და დახვეწილი პროცედურა, ხოლო მეორე მხრივ მისი ერთი შეხედვით საწინააღმდეგო კრემაცია ერთსა და იმავე მიზანს ემსახურება: ცხოვრებაში სიკვდილის გარდაუვალობა, თვით მისი არსებობა უნდა შეინიღბოს.

გვამის ბალზამირება უკვე პირველად რელიგიურ საზრისს აღარ მოიცავს, ის უბრალოდ ანელებს ხრწნის პროცესს. ბალზამირებული გვამი თითქოს მკვდარი არაა: ის უკეთესად გამოიყურება, ვიდრე მომაკვდავი, აგონიაში მყოფი ადამიანი. ახალი დროის მრავალ ხელოვანს აუსახავს თავის ნაწარმოებებში მკვდარი სხეულის, კუბოში ჩასვენებული მიცვალებულის ესთეტიკა. ბალზამირებულ გვამს თავისუფლად ვუწოდებთ პაციენტს (ლათინურად მომთმენს ნიშნავს), თუმცა კი ის უკვე ველარაფერს გრძნობს და, შესაბამისად, ვერაფერს ითმენს. ამგვარი დამოკიდებულება გვამთან განსაკუთრებით პოპულარულია ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ევროპაში კი, განსაკუთრებით ინგლისში, სიკვდილის გაუქმების ნაკლებად სანახაობრივი და უფრო რადიკალური გზაა გავრცელებული: კრემაცია. აქ გვამი და, შესაბამისად, სიკვდილი საერთოდ არ არსებობს, იგი დაყვანილია ელემენტარულ ნივთიერებამდე, მას ველარ ხედავ და ველარ იცნობ.

და თუ ადრე ბავშვებს ეგონათ, რომ ისინი კომბოსტოში იპოვეს ან ყარყატმა მოიტანა, სამაგიეროდ კი ხშირად ხედავდნენ აგონიასა და სიკვდილს. დღეს ვითარება საპირისპიროდ შეიცვალა: ბავშვები ადრეული ასაკიდანვე ეცნობიან საკუთარი დაბადების საიდუმლოებასა და სექსის ზოგად საწყისებს, სამაგიეროდ, შეკითხვაზე — სადაა ბებია? — მათ პასუხობენ, რომ ის ძალიან შორეულ ქვეყანაში გაემგზავრა, ან რომ ის ახლა მშვენიერ ბაღში ისვენებს აყვავებული ხეების ჩრდილში.

*ნოდარ ლადარია*
*ლეილა ბეზარაშვილი*

ისტორია

# ჰოლანდიის დედოფლის საჩუქარი საქართველოს

ანდრე კარბელაშვილი

მაისში თბილისის ქუჩებში ჰოლანდიელების მიერ ნაჩუქარი ავტობუსი გამოჩნდა. ჰოლანდიური ავტობუსებია აჭარაშიც. საქართველოში შემოდის ჰოლანდიური ავიაკომპანია.

ამან გაგვახსენა - 1913 წელს, ჰოლანდიის 23 წლის დედოფალმა ვილჰელმინამ საქართველოს საჩუქარი გამოუგზავნა.

* * *

ქართველ საზოგადოებას ჰოლანდიის დედოფალი ვილჰელმინა პირველად ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამომავალმა ყოველდღიურმა "ივერიამ" გააცნო. "ივერიაში" არაერთხელ დაიბეჭდა წერილები და ცნობები დედოფლის შესახებ:

"ჰოლანდიელები დიდადა სწუხდნენ, რადგანაც ჰხედავდნენ, რომ მეფე ვილჰემ მესამეს შვილი არა ჰყავდა და მეფის გვარეულობა უნდა მოსპობილიყო. ვილჰელმ III ერთი შვილი პარიზში გარდაიცვალა, მეორე - შვეიცარიაში. მეორე შვილის სიკვდილის დღეს მეფე 62 წლისა იყო და ფიქრადაც არავის მოუვიდოდა, რომ შვილი ჰყოლოდა. მაგრამ შეუძლებელი შესაძლებლად შეიქმნა. მეფემ მეორედ დაიწერა ჯვარი და შეირთო ცოლად ვალდეკის პრინცესა ემმა. რამდენსამე თვის შემდეგ გამოცხადდა: დედოფალი ფეხმძიმედ არისო. ჰოლანდიის ქვეშევრდომთა სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ დედოფალს ვაჟი-შვილი ეყოლებოდა, მაგრამ იმედმა უმტყუნათ. 1880 წლის 19 აგვისტოს დედოფალს ეყოლა პრინცესა ვილჰელმინა, ეხლანდელი დედოფალი ჰოლანდიისა. მოხუცი მეფე კიდევ ელოდა ვაჟი-შვილის ყოლას, მაგრამ როდესაც ეს იმედიც გაუცრუვდა, იმდენს ეცადა, რომ პარლამენტმა შესცვალა ტახტის მემკვიდრეობის კანონი და გამოაცხადა, პრინცესა ვილჰელმინა ჰოლანდიის ტახტის მემკვიდრე არისო.

მეფე ვილჰემი გარდაიცვალა 1890 წელს. ჰოლანდიელებმა დედოფლად დააყენეს პრინცესა ვილჰელმინა, ხოლო დედოფალი ემმა დროებით განაგებდა სახელმწიფო საქმეებს. ჰოლანდიელები სიხარულით აღარ იყვნენ. ახალგაზრდა დედოფალი მიაჩნდათ "ერის შვილად" და ასე ეძახდნენ კიდეც. დიდის ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს თავიანთ ახალგაზრდა ბრძანებლის ზრდას და განვითარებას. ხალხში ათასობით ვრცელდებოდა ამბავი ახალგაზრდა დედოფლის შესახებ. აქებდნენ იმის გონებას, ხასიათს და კეთილ გულს. დედოფლის მოვალეობად შეიქმნა აღზრდა ვილჰელმინასი. ყველაზე უწინ მიაქცია ყურადღება შვილის ჯანმრთელობას. ვილჰელმინა მშვენიერი მხედარია და აგრეთვე ველოსიპედით სიარულში ბადალი არა ჰყავს. ამსტერდამის მცხოვრებნი ხშირად ჰხედავენ ხოლმე ვილჰელმინას ეტლში, რომელშიაც ოთხი მშვენიერი ცხენი აბია და თვით ვილჰელმინა ასრულებს მეეტლის მოვალეობას. დახურულის ეტლით ვილჰელმინა არ დადის, როგორი დარიც უნდა იყოს: წვიმა, თოვლი, ყინვა."



ჰოლანდიის პირველი მონარქი ქალი ვილჰელმინა



ნიდერლანდების დღევანდელი დედოფალი ბეაქტრისი

როგორც გაზეთი აღნიშნავდა, ვილჰელმინა ეუფლებოდა ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ და იტალიურ ენებს. მას ასწავლიდნენ ადმინისტრაციულ საქმეს, კონსტიტუციების ისტორიას და პოლიტიკურ ეკონომიკას. გაზეთს რამდენიმე საინტერესო შემთხვევა მოჰყავდა ვილჰელმინას ბავშვობიდან და დასძენდა:

"დედოფალი ვილჰელმინა მეტად ლამაზი ქალია, ჰოლანდიელებს ძლიერ უყვართ და დიდს პატივსა სცემენ. არ არის მთელს ჰოლანდიაში ისეთი სახლი, სადაც რომ არ იყოს დედოფლის ვილჰელმინას სურათი, მარტო კედლებზე კი არა, არამედ ჭურჭელზე, ხელსახოცებზე, თამბაქოს ყუთებზე, საათებზე, სხვადასხვა სამკაულებზე" - აგრძელებდა "ივერია".

ვილჰელმინას დედა - ემმა სახელმწიფო საქმეებს უშუალოდ 1898 წლამდე განაგებდა და როცა ვილჰელმინას 18 წელი შეუსრულდა, ტახტზე ავიდა და ახალგაზრდა დედოფალმა დაიწყო ქვეყნის პირდაპირი მართვა.

* * *

1907 წელს თბილისში ილია წინამძღვრიშვილმა გახსნა ყვავილების სალონი "სოლეი დორი" და იქ 34 წლის მიხეილ მამულაშვილი მიიწვია.

სწორედ ამ სალონში, ერთხელ, შევიდნენ ჰოლანდიური ფირმა "ვანზენტენის" წარმომადგენლები და გაოცებული დარჩნენ გამოფენილი ყვავილებით. კიდევ ოთხჯერ ჩამოსულან ისინი თბილისში და ოთხჯერვე უსაუბრიათ მიხეილთან. დარწმუნდნენ, რომ იგი არა მარტო ყვავილების დიდოსტატი იყო, არამედ მოქალაქეებისაგან მიტანილი ყვავილებისგანაც შესანიშნავ თაიგულებს ჰქმნიდა შეკვეთებით.

ჰოლანდიიდან მიხეილმა მოულოდნელად დეპეშა მიიღო - ჩვენი ხარჯით გვესტუმრეთ ჰოლანდიაში და სიამოვნება მოგვანიჭეთ თქვენთან შეხვედრითო. ჯერ იუარა დაპატიჟება, მაგრამ როცა მეორედ მიიღო დეპეშა, წასვლა გადაწყვიტა.

1913 წელს თავის უფროს ვაჟიშვილთან ერთად ჰოლანდიაში გაემგზავრა.

ჰოლანდიის სოფელ ჰილეგემში, სადაც ხუთ ძმა ვანზანტელებს საყვავილეები ჰქონდათ, დიდი პატივისცემით მიიღეს სტუმრები.

"წამიყვანეს ჰააგაში და ქალაქგარეთ დედოფლის სასახლის ბაღში შემიყვანეს. დიდ, გაშლილ მწვანე მინდორზე თვალმომჭრელად ჰყვაოდნენ ჰოლანდიური "ტიულპანები" ხალიჩასავით გაფენილ მწვანეზე" - წერს მიხეილი თავის მოგონებებში.

როცა მიხეილი აღფრთოვანებით შესცქეროდა ამ უჩვეულო ხალიჩას ბაღში, სასახლის ფანჯრიდან დედოფალ ვილჰელმინას გამოუხედავს. გაჰკვირვებია კაცი, რომელიც თვალს არ აშორებდა ტიულპანებს.

- საინტერესოა, მოდი, ჩავალ და გამოველაპარაკები, როგორ მოსწონს ჩემი ბაღი, - გაიფიქრა ვილჰელმინამ და ასეც მოიქცა.

- უთხარი მამას, რომ ჩვენკენ მოდის დედოფალი ვილჰელმინა, - სთხოვა მიხეილის ვაჟს ერთმა ჰოლანდიელმა.

ლამაზი ქალბატონი კი პირდაპირ მათკენ მიდიოდა მოღიმარი სახით. მოსულთ მიესალმა და ძმებ ვანზანტელებს უთხრა:

- ვფიქრობ, რომ თქვენთან ერთად მოსული, უცხოელია. საიდან არის ჩამოსული?

- საქართველოდან, კავკასიიდან. იქ ქალაქი ტფილისია მთავარი ქალაქი. შესანიშნავი ყვავილების სალონი აქვს და ჩვენ მოვიპატიჟეთ. დედოფალი დაფიქრდა.

- აბა, მაშინ უთხარით სტუმარს, რომ როცა 1697 წელს რუსეთის მეფე პეტრე პირველი ჩამოვიდა ჰოლანდიაში. თან ჰყოლია ერთი ქართველი, რომელიც სულ პეტრეს გვერდით იმყოფებოდა. მოითმინეთ, მოითმინეთ... მგონი გვარიც მახსენდება... დიახ, ბაგრატიონი, ალექსანდრე ბაგრატიონი.

რაკი შეიტყო, რომ მიხეილის ვაჟიშვილმა გერმანული იცოდა, ვილჰელმინამ მას გერმანულად რამდენიმე შეკითხვა მისცა. დაინტერესდა, სად ჰქონდა ყვავილების ბაღი და რა ყვავილები გამოჰყავდა.

- როდის აპირებთ საქართველოში დაბრუნებას?

- ბელგიაში, შვეიცარიაში და საფრანგეთში ჩავალთ. ტფილისში სექტემბრისათვის ვიქნებით.

ვილჰელმინამ ჰოლანდიელებს მიმართა:

- შეგიძლიათ დამიტოვოთ სტუმრის მისამართი ტფილისში?

დედოფალი გულთბილად დაემშვიდობა მოსულთ და დინჯი ნაბიჯებით სასახლისაკენ გაემართა.

მიხეილი თავის მოგონებებში წერდა:

"ჩვენ დიდხანს დავრჩით ბაღში ტიულპანებთან, დედოფალი, ალბათ, ჩვენმა სითამამემ გააოცა და ბაღში ჩამოვიდა: მოგვესალმა, ხელი ჩამოგვართვა და ჩემი ვინაობა იკითხა, მერე მკითხა, რა უფრო მომეწონა მის ბაღში. მე შემრცხვა, მომეხათრა, მაგრამ მაინც მოკრძალებით გავბედე და ხელითაც ვანიშნე - ეს ტიულპანები-მეთქი. თხუთმეტიოდე წუთი გველაპარაკა და წავიდა".

* * *

თბილისში ევროპიდან დაბრუნებული მიხეილ მამულაშვილი თავის მოღვაწეობას აგრძელებდა ყვავილების სალონში "სოლეი დორი" და არაერთხელ იხსენებდა ევროპაში მოგზაურობას, იმასაც, რომ უცხოეთში შესთავაზეს სამუშაოდ დარჩენა, მაგრამ უარი უთხრა. მიხეილს, რასაკვირველია, არ ავიწყდებოდა ჰოლანდიაში ყოფნის დღეები და დედოფალ ვილჰელმინასთან საუბარი.

ერთხელ სალონში მყოფს, ვიღაცამ ქუჩიდან დაუძახა:

- მინდია, მოდი წაიღე შენი ყუთები.

- რა ყუთები, მიტუშ?

- მე რა ვიცი, ევროპიდან ვიღაცას გამოუგზავნია, ხელი მომიწერე, საბუთი რომ მიიღე და ყუთები მშვიდობაში მოიხმარე.

- ვინ, რა ყუთები გამოგზავნა? საფოსტო დოკუმენტში რა წერია?

- ფოსტის ნაჩალნიკმა სთქვა, მიუტანე მცხეთელ მინდიას ყველაფერი წესრიგში, ჰოლანდიის დედოფალთან თავი არ შეირცხვინოს ფოჩტამო. ეს იყო და ეს. ჰოდა, ჩაიბარე რაღა, თუ ძმა ხარ...

- აუჰ, - აღმოხდა სიხარულით მიხეილს.

მიხეილ მამულაშვილმა თავის მოგონებებში ჩაწერა:

"სწორედ სექტემბრის თვე იყო, გული რომ გამიხარა ჰოლანდიის დედოფლის საჩუქარმა. ცხრა მოზრდილი ყუთი გამოეგზავნა ოცდაცამეტი სხვადასხვა ჯიში ტიულპანის ჰოლანდიური ჰიბრიდები".

საქართველოში პირველად გაიცნეს ჰოლანდიური ტიტები.

**P.S.** დედოფალი ვილჰელმინა ტახტიდან 1948 წელს გადადგა. მან ტახტი დაუთმო თავის ქალიშვილ იულიანას. 1980 წლის 30 აპრილიდან ნიდერლანდების დედოფალია ბეატრიქსი.

სკანვორდი



## TV პროგრამა

16 ივნისი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.50** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.15** მხ. ფილმი "მორიდებული ვარ, მაგრამ ვმკურნალობ"(გ). **15.20** სერიალი "სასწრაფო" **16.25** სერიალი "ალფი" **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** სერიალი "ნათლია" **23.00** ღამის კურიერი **23.45** ევროპის ჩემპიონატი. "რუსეთი"-"პორტუგალია" **02.00** მხ. ფილმი "ჩიხში". მთ. რ-ში: ბენისიო დელ ტორო (18).

### TV5

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 03.00(შვეიცარია), 03.30(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა. **17.25** დისონანსი. მხ.ფილმი. რეჟისორი ჯერომ კორნუო. 2003. **19.20** TV5-ის სტუმარი. **21.25** ყველაფერი ბიჭების, გოგონებისა და თავსაბურავების შესახებ. ეგვიპტე. დოკ.ფილმი. **01.30** პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება. **03.50** სამხრეთის ანარეკლი. **05.20** მეშინია სიყვარულის. მხ.ფილმი. რეჟისორი ლორანს ფერეირა ბარბოზა. 1997.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ჯუჯების ახალი სამყარო" **10.10** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **12.00, 15.00, 20.00, 00.40** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.05** დოკ. სერიალი "ცეკვის ისტორია" **15.20** სერიალი "რვაფეხა-4" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.10** სერიალის გაგრძელება **17.00** მულტსერიალი "ჯუჯების ახალი სამყარო" **17.30** "მუსიკალური არჩევნები" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "უშიშართა ახალი თავგადასავალი" **18.45** "ევრო-2004" (მიმოხილვა) **19.05** "იმღერე რამე" **19.40** ბასტიბუბუ **20.45** "ევრო-2004" (საბერძნეთი-ესპანეთი) **23.20** "ღამის მატარებელი" **00.20** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.40** მხ. ფილმი "პიანისტი" (15)

### ıSı

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **16.00** მუსიკა **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** ქართ. მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** პოპ. ად. ათეული **02.00** "ბრავო" **03.00** პაუზის გარეშე

### 202

**10.00** მულტფილმი **12.00** 20 სთ-იანი ფილმის გამეორება **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "ბორნის იდენტიფიკაცია" (მეთ დეიმონი) (12) **17.00** მულტფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **20.00** მხ. ფილმი "ნოტინგ-ჰილი" (ჯ. რობერტსი) (გ) **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. სალინაძის "კენო" **22.45** დებატები 202-ზე **00.00** მხ. ფილმი "ვარდნის სიჩქარე" (ჩარლი შინი) (12)

### მზე

**09.00** მზერა დღის ბოლოს **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10, 20.50** სერიალი "დორის დუკის იდუმალი ცხოვრება" **12.10, 21.45** დეტ. სერიალი "პოლიციელთა ამბები" **13.10** მხ. ფილმი "მუშკეტერი" (გ) (კეტრინ დენევი) **15.10** სერიალი "მარია ემილია" **16.00, 17.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **16.10** სერიალი "ჯეკი და ლობიოს ხე" **17.10** მულტსერიალი "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **17.35** მულტსერიალი "არგაი" **18.10** მულტსერიალი "კლიფორდი" **18.35** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **22.45** მზერა დღის ბოლოს **00.00** მხ. ფილმი "დაუმარცხებელი" (ბილი ზეინი) (15)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა"(გ) **21.00** დოკ. ფილმი "ჩემი საყვარელი ოჯახი" **21.20** ჩვენი მისამართია **22.00** მხ. ფილმები "ბაგრატიონი"(გ)

### კავკასია

**17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მუსიკა **19.20, 21.00** სპექტრი **23.00, 00.30** მუსიკა

### იმედი

**06.00** ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია **08.30, 13.15, 17.20, 02.05** იმედის მელოდიები **09.00** "იმედის" დილა **10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** ქრონიკა **10.10** სერიალი "ტყუპები" **11.05** "ჩ-კლუზივი" **12.10** სერიალი "კლონი" **13.25, 01.35** ტვ-მარკეტი **14.05** სერიალი "ნირო ვულფის საიდუმლოება" **15.15** ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია **17.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.15** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი "პრინცესა ნერის თავგადასავალი" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.30** ქართ. სერიალი "ცხელი ძაღლი-2" **21.30** "პირველი ნახევარი" **23.00** არტ-ბულვარი **23.30** მხ. ფილმი "წყვდიადი" (ლ. ოლინა) (18) **01.35** არტ-ბულვარი

### იბერია

**18.00** სერიალი "გრაფინია დე მონსორო" **18.55** დოკ. ფილმი **19.50** კონცერტი **21.30** მხ. ფილმი "შიშის საფასური" (15)

### აჭარის ტელევიზია

**08.30, 01.30** საინფორმაციო დაიჯესტი **09.00** სათავგადასავლო ფილმი "განყის მაყიებელნი" **10.35** მუსიკა **11.00** მხ. ფილმი "ფესალიელი გოლიათი" **12.20** მუსიკა **12.30, 16.30, 20.30, 22.30** საინფორმაციო გამოშვება **12.45** ბოევიკი "ბაზა" **14.10** მუსიკა **14.20** კომედია "როგორ მოვიცილოთ თავიდან მამაკაცი 10 დღეში" **16.10** მულტფილმი **16.45** ისტორიული ფილმი "ახალგაზრდა აივენჰო" **18.15** მუსიკა **18.30** საინფორმცჯიო გამოშვება "ნოვოსტი" **18.50** სათავგადასავლო ფილმი "ფათერაკების მაძიებელნი" **21.00** დრამა "სამხედრო ექიმი" **23.00** წინასაარჩევნო პროექტი "არჩევნებამდე" **00.00** თრილერი "ჩამშვებები" **02.00** დრამა "სიკვდილისწინა სურვილი" **03.30** დეტექტივი "თეთრი ძაღლის სიზმარი" **05.25** მუსიკა

### ОРТ

**07.00, 11.00, 13.00, 19.00** Новости **07.10** "Ералаш" **07.20 Приключенческий фильм "Железная воля" 09.20** Служу Отчизне! **09.50** Следствие ведет Колобков **10.10** "В мире животных" **11.10** "Непутевые заметки" с Дм.Крыловым **11.30** Пока все дома **12.00** "Дачники" **13.10** Евгений Матвеев в фильме **"Судьба".** Фильм 2-й **14.30** "КВН-2004". Высшая лига. Первый четвертьфинал **16.50** "Ералаш" **17.00** Брюс Уиллис в фильме **"Малыш" 19.10** Отечественный боевик **"Спецназ" 21.10** Телевизионная национ. премия в области популярной музыки-2004 **23.35 Футбол. Чемпионат Европы. Сборная Швеции - сборная Болгарии. 01.40 Бокс.** Мэни Пакуао - Хуан Мануэль Маркес **02.40** "Миллион минут Аниты Цой" **03.40** Триллер **"Томминокеры".** Фильм 2-й Комедия **"Зять"**

### НТВ

**07.40** Иван Переверзев в фильме **"ПЕРВАЯ ПЕРЧАТКА". 09.00, 13.00, 17.00, 20.00** Сегодня **09.20** Стивен Сигал в детективе **"СКВОЗНЫЕ РАНЕНИЯ" 11.15** Кулинарный поединок: Николай Фоменко - Антон Турчин. **12.05** "Квартирный вопрос". "Шелковая кухня". **13.20** "Внимание: розыск!" "Легкая добыча". **14.15** Роберт Шоу в боевике **"ОТРЯД 10 ИЗ НАВАРОНА" 17.20** Фильм из цикла "Новейшая история". "Андропов". **19.35** Протокол. Расследование. **20.35** Олег Стриженов в фильме **"ПРИСТУПИТЬ К ЛИКВИДАЦИИ". 23.25** Алиса Богарт в фильме **"ЛУННЫЕ ПОЛЯНЫ". 01.50 Боевик "ШИРИ".**

# ბელით ყველას... ფილარმონიის ფოიეში

## წელს პირველად წიგნის ფესტივალი სახელმწიფოს პატრონატით ტარდება

თამარ სუხიშვილი

დღეს ფილარმონიის ფოიე წიგნის მოყვარულებს ელის. თბილისის წიგნის VI საერთაშორისო ფესტივალი უკვე დაიწყო. ოფიციალური გახსნა დღის სამ საათზეა დაგეგმილი... ამასთან დაკავშირებით კულტურის მინისტრი გიორგი გაბაშვილი და ქართველი გამომცემლები (ბაკურ სულაკაური, თამარ ლებანიძე, მერაბ ქათამაძე, ლაშა ბერაია, ლევან თითმერია...) გუშინ კულტურის სამინისტროში შეიკრიბნენ და პრესკონფერენცია გამართეს. კულტურის მინისტრმა მოკლედ ისაუბრა ფესტივალის მნიშვნელობაზე, მადლობა გადაუხადა "წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის" წევრებს და ყველანი ფილარმონიაში მიგვიწვია.

აქ მკითხველის ყურადღებას აღარ შევაჩერებთ და აღარ დავიწყებთ იმაზე საუბარს, რაც ფაქტობრივად ყველამ კარგად ვიცით - ფესტივალის უპირველესი მიზანი წიგნის პოპულარიზაციაა. წიგნის ფესტივალის დიდ მნიშვნელობას კი ერთი პატარა სტატისტიკური მონაცემიც ადასტურებს: ოთხი დღის განმავლობაში (ფესტივალი ხომ ოთხი დღის განმავლობაში გრძელდება) მკითხველი დაახლოებით იმდენ წიგნს ყიდულობს რამდენი წიგნიც სხვა დროს ხუთი-ექვსი თვის განმავლობაში იყიდება. რას იტყვით, როგორია?!

წლევანდელ ფესტივალზე რამდენიმე სიახლეა – 2004 წლის ფესტივალი პირველი ფესტივალია თავისი ექვსწლიანი არსებობის მანძილზე, რომელიც სახელმწიფო (კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს) პატრონატით ტარდება. ამას გარდა, ფესტივალის დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე ყველა გამომცემელი ერთ ასოციაციაში – "საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციაში" გაერთიანდა. გუშინდელ პრესკონფერენციაზე ასოციაციის პრეზიდენტმა, გამომცემელმა ლევან თითმერიამ პირობა მოგვცა, რომ ფესტივალი უამრავ საინტერესო პრეზენტაციას და, შესაბამისად, უამრავ ახალ წიგნს შემოგვთავაზებს. მართალია, ზუსტი მონაცემები ცნობილი არ არის, მაგრამ გასული წლის ფესტივალიდან მოყოლებული საქართველოში დაახლოებით ათასამდე ახალი გამოცემა გამოვიდა. ასე რომ, ჩვენს წიგნისმოყვარულებს დიდი არჩევანი ელოდებათ... რაც შეეხება ფესტივალის შინაარსობრივ მხარეს, ამ თვალსაზრისითაც საინტერესო სიურპრიზი გველის. ბევრმა თქვენგანმა, ალბათ, უკვე იცის, რომ 17 ივნისს, ანუ ხვალ რუსთაველის დღეს ვიზეიმებთ – წიგნის ფესტივალზე "ვეფხისტყაოსნის" საჯარო კითხვა გაიმართება. გუშინ მწერალმა დათო ტურაშვილმა სიხარულით გვამცნო, რომ უკვე უამრავმა ადამიანმა გამოთქვა პოემის წაკითხვის სურვილი. ამ აქციაში მონაწილეობის მისაღებად მკითხველმა რაიონებიდან ჩამოსვლაც კი არ დაიზარა. "ვეფხისტყაოსნის" კითხვა ხვალ დილის 10 საათიდან დაიწყება და მთელ დღეს გასტანს. მსურველებს ჯერ კიდევ გაქვთ აქციაში მონაწილეობის შანსი. ორი საუკეთესო მკითხველი რუსთაველის მშვენიერი ახალი გამოცემით დაჯილდოვდება. ეს - ხვალ. დღეს კი? დღეს გახსნაა. არ დაგავიწყდეთ.

როგორც გავიგეთ, ფესტივალის ორგანიზატორებმა ძალიან ოპერატიულად იმუშავეს. გუშინ საღამოსვე, ასე სადღაც ექვსი საათისთვის, ფილარმონიაში ყველა სტენდი უკვე გამზადებული იყო.

















# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.